



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
ბიზნესის ადმინისტრირება

ნათია შარაბიძე

ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ  
ზრდაზე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი

ხელმძღვანელი: მიხეილ ჩიკვილაძე  
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

თბილისი

2023

## ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საჯარო ფინანსების როლი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, ეფექტიანი ბიუჯეტის ფორმირების პროცესი თანამედროვე პირობებში, რომელიც სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს, ასევე, საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. სახელმწიფოს მიერ სახსრების მიზნობრივი ხარჯვა განსაკუთრებით საინტერესო ხდება საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ზრდის პარალელურად. მისი მეშვეობით შესაძლებელია თავისუფალი ფინანსური რესურსების მიმართვა მაღალშემოსავლიან პროექტებზე, რომლებიც ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფენ.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს, რომელიც მიიღწევა ფისკალური პოლიტიკის მეშვეობით. ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილიზაციას. ნაშრომის „ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე“ აქტუალობას განაპირობებს ეკონომიკური ზრდის მიღწევის პროცესში ეფექტიანი ბიუჯეტის ფორმირებისა და ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების - საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობა.

ბიუჯეტის ხარჯვის ეფექტიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბიუჯეტო პროცესზე და საბიუჯეტო სისტემის წარმატებით ფუნქციონირების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. საბიუჯეტო გადასახდელების ოპტიმალური განაწილება ამარტივებს სახელმწიფო პროგრამების შემუშავებას, მიღებასა და მონიტორინგს, ასევე, ამაღლებს ფინანსური მენეჯმენტის ხარისხს და აუმჯობესებს ხარჯვის კონტროლის პროცედურას. საბიუჯეტო პროექტების პრიორიტეტულობის დადგენა სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში, ხელს უწყობს ხარჯვის ეფექტიანობის ზრდას. საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, მიზანშეწონილია ეფექტიანობის პარამეტრების შეფასების ერთიანი სისტემური მიდგომის გამოყენება.

ქვეყანაში საბიუჯეტო ხარჯების ანალიზისა და მთავრობის ზომის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის ოპტიმალური ზომა.

ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ასევე, მთავრობის მიერ გატარებული საგადასახადო პოლიტიკა, კერძოდ სხვადასხვა სახის გადასახადებით დაბეგვრის პირობები და შედეგები. ამ საკითხზე არსებული არაერთი ემპირიული კვლევის მიხედვით, ეკონომიკურ ზრდაზე გადასახადების გავლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყანაში საგადასახადო სისტემის სტრუქტურაზე. ნაშრომში შესწავლილია მთლიან საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილის გავლენა ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და შემოთავაზებულია შესაბამისი მოდელი საქართველოს ეკონომიკისათვის.

ნაშრომის კვლევის ობიექტი არის საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა, ხოლო კვლევის საგანია საქართველოს საბიუჯეტო გადასახდელები, საგადასახადო შემოსულობები, მთავრობის ვალი და მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

ნაშრომში წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ანალიზი, გამოვლენილია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მთავარი ნაკლოვანებები და შემოთავაზებულია ფისკალური პოლიტიკის გაჯანსაღებისა და სრულყოფის გზები.

## Abstract

The study reviews the role of public finances in the development of a market economy, the process of effective budget formation in modern conditions, which is one of the most important goals of the state budget policy, as well as the impact of budget revenues and expenditures on economic growth. Targeted spending of funds by the state becomes particularly interesting in parallel with the transparency of the budget process and the increase of accountability to the public for the activities of the executive branch. Through it, you can direct free financial resources to highly profitable projects that ensure economic growth.

Promoting economic growth is one of the most important tasks facing the state at the current stage of Georgia's development. Fiscal policy is the key mechanism by which the government can influence economic growth. Effective fiscal policy helps to achieve economic stabilization of the country. The relevance of the article "State fiscal policy, effective budgeting and economic growth" lies in the formation of an effective budget in the process of achieving economic growth and the most effective use of fiscal policy instruments, budget revenues and expenditures.

Evaluation of the effectiveness of budget expenditures affects the motivation of the parties involved in the budget process, and therefore is a key factor in the successful functioning of the evaluation system. On the other hand, it will simplify the development, adoption and monitoring of government programs, improve the quality of financial management and improve the procedure for controlling expenditures. Prioritizing budget projects in the strategic planning and budgeting process helps to improve spending efficiency. Also, a systematic approach to evaluating efficiency parameters is advisable to ensure spending rationality.

On the basis of the analysis of budget expenditures in the country and the results of the research on the optimal size of the government, the optimal size of the government of Georgia is presented.

The tax policy of the state, in particular the conditions and results of tax collection with various types of taxes, has a significant impact on the effectiveness of the country's economic system. According to numerous empirical studies on this topic, the impact taxes have on economic growth depends significantly on the structure of the tax system in the country. The

study evaluates the impact of the shares of direct and indirect taxes in total amount of tax revenues on economic growth rates and presents a simplified model of the economy of Georgia.

The object of the research is the tax-budgetary system of Georgia, and the subject of research is the budget payments, tax revenues, government debt and their impact on economic growth.

The study presents an analysis of the main parameters of the state budget, reveals the main disadvantages of the Georgian budget system and suggests ways to enhance and improve fiscal policy.

# შინაარსი

შესავალი.....	7
თავი 1. საჯარო ფინანსების მართვა.....	11
1.1. საჯარო ფინანსების როლი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში.....	11
1.2. საჯარო ფინანსების მართვის ფუნქციები და ამოცანები ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში.....	16
1.3. საჯარო ფინანსები და სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკა.....	20
თავი 2. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა.....	30
2.1. საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო პროცესი.....	30
2.2. გადასახადები, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების საფუძველი.....	35
2.3. საბიუჯეტო ასიგნებების განაწილების ძირითადი ასპექტები.....	66
თავი 3. ფისკალური პოლიტიკა და მისი სრულყოფის გზები.....	83
3.1. სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ანალიზი.....	83
3.2. საბიუჯეტო ხარჯების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.....	99
3.3. საგადასახადო შემოსავლების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.....	116
3.4. სახელმწიფო ვალი და მისი მართვის პრობლემები საქართველოში.....	126
დასკვნა.....	145
გამოყენებული ლიტერატურა.....	159
დანართები.....	174

## შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ეფექტიანი საბიუჯეტო სისტემის ფორმირება, ეკონომიკის უწყვეტი ზრდის ხელშეწყობისა და სოციალური სფეროს გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით. საბიუჯეტო სისტემის მდგრადობა მოითხოვს ბიუჯეტის ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლებას, მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში. საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობის ამაღლება, თავის მხრივ, დაკავშირებულია საბიუჯეტო პროცესში მიმდინარე ცვლილებებთან. საბიუჯეტო პროცესის ძირითად მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების რაციონალური განაწილება, მათ შორის, საინვესტიციო ხარჯების ზრდა და არამწარმოებლური ხარჯების შემცირება.

სახელმწიფო ბიუჯეტი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ინდიკატორს წარმოადგენს. სახელმწიფოს ეკონომიკური რეფორმების შედეგი მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ერგება საბიუჯეტო პოლიტიკა თანამედროვე მოთხოვნებს. დღეისათვის საქართველოში ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულია რიგი ღონისძიებები.

თანამედროვე პირობებში საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო გადასახდელების რაციონალური განაწილება და ეკონომიკური ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ქვეყანაში საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების მიზნით ერთ-ერთი წინადადგმული ნაბიჯი იყო 2004 წლის საჯარო ფინანსების რეფორმა, რომლის შედეგად შემოღებული იქნა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვა. მისი ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მრავალწლიან პერსპექტივაში წარმოდგენა იყო.

2012 წელს საბიუჯეტო პროცესში დაინერგა პროგრამული ბიუჯეტირება. პროგრამული ბიუჯეტი მზადდება შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე და ითვალისწინებს: საბაზისო და მიზნობრივ მაჩვენებლებს თითოეული პროგრამისთვის, ცდომილების ალბათობას და შესაძლო რისკებს. საბიუჯეტო პროგრამები გამომდინარეობენ სახელმწიფოს სტრატეგიული მიზნებიდან და

ამოცანებიდან. ქვეყანაში არსებობს დახვეწილი საბიუჯეტო კოდექსი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი საბიუჯეტო პროცესი. საბიუჯეტო კანონმდებლობით განსაზღვრულია საშუალოვადიანი დაგეგმვის როლი საბიუჯეტო პროცესში.

პროგრამული ბიუჯეტი წარმოადგენს შედეგზე ორიენტირებულ ფინანსურ დოკუმენტს, რომლის ამოსავალი წერტილი მისაღები შუალედური და საბოლოო შედეგებია. ფინანსური რესურსების გარდა, მასში გაითვალისწინება დასაფინანსებელი პროგრამების შედეგები და ის ინდიკატორები, რომელთა მეშვეობითაც მათი გაზომვა გახდება შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ინდიკატორები მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ინდიკატორების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლებიც ასახავენ რეალურ სიტუაციას ბიუჯეტის ხარჯვის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. თუ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის მაჩვენებლები არაა რეალური, გასაგები, გამჭვირვალე, რთულია გაზომვაც, მათი მნიშვნელობა იკარგება და ფორმალურ ინსტრუმენტად იქცევიან, რომელთაც არ გააჩნიათ რეალური ძალა და გავლენა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პროცესში. ასეთი მაჩვენებლების მისაღებად აუცილებელია იმ ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, რომლებმაც მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების მართვის პოლიტიკის სრულყოფის საქმეში.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანია, გამოავლინოს საქართველოში ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების - საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ეფექტიანი გამოყენების მექანიზმები და ხელშემწყობი ფაქტორები და დასახოს მათი პრაქტიკული რეალიზაციის გზები.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად კვლევაში დასახულია შემდეგი ამოცანები: საჯარო ფინანსების როლის, მისი ფუნქციებისა და ამოცანების განსაზღვრა საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, საბიუჯეტო სისტემის თავისებურებების განხილვა საქართველოში, ეფექტიანი ბიუჯეტის ფორმირების როლის განსაზღვრა საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის პროცესში და ეკონომიკურ ზრდაზე მისი გავლენის შეფასება, გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის ეფექტიანობის ასამაღლებლად



განსახორციელებელი ღონისძიებების, ასევე, მათი შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფა პერსპექტივაში, სახელმწიფო ბიუჯეტის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი და მის საფუძველზე გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანს წარმოადგენს ბიუჯეტში მობილიზებული შემოსულობებისა (მათ შორის, საგადასახადო შემოსავლები და ვალდებულებების ზრდა) და გაწეული გადასახდელების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა საქართველოში. კვლევის ობიექტი კი არის საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და მისი სრულყოფის გზები.

**კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი.** ნაშრომი ეყრდნობა ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა კვლევებს ფისკალური პოლიტიკის შესახებ, ეკონომიკური ზრდის თეორიულ კონცეფციებსა და მოდელებს, საქართველოში მოქმედ საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობას, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებს, წლიურ ანგარიშებსა და სტატისტიკურ მონაცემებს. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ჩატარებულია ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენებით.

**კვლევის ძირითადი შედეგები და ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** საქართველოში საბიუჯეტო პოლიტიკისა და ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა საქართველოს ფისკალური პოლიტიკის ძირითადი პარამეტრების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, საგადასახადო სისტემისა და ვალის მართვის პოლიტიკის ნაკლოვანი მხარეები და განისაზღვრა მათი სრულყოფის გზები.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შეფასებას ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკურ მოდელზე დაყრდნობით, რომელშიც ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორს ქვეყანაში მთავრობის ზომა წარმოადგენს.

ეკონომიკური ზრდის აღნიშნულ თეორიულ მოდელზე დაყრდნობით, კვლევის პროცესში გაანალიზდა კავშირი საბიუჯეტო დანახარჯებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის, გამოვლინდა და შეფასდა საქართველოში მშპ-ის ზრდისა და მის პოტენციურ ღონესთან დაახლოებისათვის საჭირო მთავრობის ოპტიმალური ზომა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია საბიუჯეტო ხარჯების საორიენტაციო

მოცულობის გამოთვლა. ქვეყნის მაგალითზე შეფასებულია მთავრობის მიერ გაწეული სხვადასხვა ხარჯების გავლენა რეალური მშპ-ის ზრდის ტემპზე, შესწავლილია მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

ნაშრომში, ასევე, გამოკვლეულია ურთიერთკავშირი საგადასახადო შემოსავლებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის. შედეგად, შემოთავაზებულია საგადასახადო მოდელი საქართველოსათვის, განსაზღვრულია საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმალური სტრუქტურა, რომელიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს საგადასახადო პოლიტიკაში გასატარებელ ცვლილებებს. ასევე, წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები მთავრობის ვალის მართვის პოლიტიკის განვითარებისთვის.

კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები ხელს შეუწყობს ქვეყანაში ოპტიმალური საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავებასა და მთავრობის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავის, ათი პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან, თან ახლავს 11 დანართი. იგი მოიცავს 192 გვერდს.

## თავი 1. საჯარო ფინანსების მართვა

### 1.1. საჯარო ფინანსების როლი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფინანსებს, როგორც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მთავარ ინსტრუმენტს. ფინანსების როლის მკვეთრად გაძლიერებამ მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან თვისებრივი ცვლილებები გამოიწვია ფინანსურ ურთიერთობებში. თანამედროვე ეკონომიკა წარმოადგენს ფინანსურ ეკონომიკას, რომელიც ეფექტიანად იმართება ფინანსური ურთიერთობების, ფინანსური მექანიზმებისა და ბაზრების მეშვეობით.

საჯარო ფინანსები გულისხმობს ქვეყნის შემოსავლების, ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის მართვას სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით. იგი არის ეკონომიკური ინტერვენციის ფორმა, რომელიც მთავრობის მიერ გამოიყენება ეკონომიკური ზრდის გაფართოების ან შენელებისათვის. სხვადასხვა სახის შემოსავლებსა და ხარჯებს, როგორც ფისკალურ ინსტრუმენტებს, სახელმწიფო იყენებს სხვადასხვა მიზნის მისაღწევად. მისი ძირითადი მიზნებია: მაღალი ეკონომიკური ზრდა, ფასების სტაბილურობა, ვაჭრობისა და გადასახადების ხელსაყრელი ბალანსი, შემოსავლისა და სიმდიდრის სამართლიანი განაწილება, რესურსების სწორი განაწილება, დაბალანსებული და სტაბილური ეკონომიკური ზრდა და ა.შ. სახელმწიფომ თავიდან უნდა აიცილოს ინფლაცია და დეფლაცია, რეცესია ან დეპრესია, რესურსების არამიზნობრივად გამოყენება, ფასების ცვალებადობა, მაღალი უთანასწორობა და ა.შ.

სახელმწიფო ფინანსები წარმოადგენს ქვეყნის ფინანსური სისტემის მთავარ რგოლს. სახელმწიფო ფინანსების არსი არის ეკონომიკის ყველა დარგის ფინანსური რესურსების მობილიზება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად.

სახელმწიფოს ფინანსური სისტემის ძირითადი რგოლებია: სახელმწიფო ბიუჯეტი, სახელმწიფო საწარმოები, სახელმწიფო ვალი და არასაბიუჯეტო ფონდები.

საჯარო ფინანსების სტრუქტურა მოიცავს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს, არასაბიუჯეტო ფონდებსა და ხელისუფლების ორგანოების საკრედიტო ურთიერთობებს.

როგორც ეკონომიკურ კატეგორიას, ფინანსებს გააჩნია მახასიათებლები. ნებისმიერი ეკონომიკური კატეგორიის ფუნქცია აჩვენებს მის არსს, იმ პასუხისმგებლობების წრეს, რომელიც ამ კატეგორიამ უნდა შეასრულოს. ფინანსები ასრულებენ განმანაწილებელ, მარეგულირებელ და საკონტროლო ფუნქციებს.

ფინანსების განმანაწილებელი ფუნქცია ხორციელდება ეკონომიკის ყველა სფეროში. მიკრო დონეზე განაწილების სუბიექტები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, მაკრო დონეზე კი - სახელმწიფო. ამ ფუნქციის გამოყენებით ხდება ახალი ღირებულების განაწილება (მიკრო დონეზე) და გადანაწილება (მაკრო დონეზე). განმანაწილებელი ფუნქცია მოიცავს სამ თანმიმდევრულ ეტაპს: ფულადი სახსრების ფორმირება, ფულადი სახსრების განაწილება, სახსრების გამოყენება.

ფულადი სახსრების ფორმირების მიზნით, მიკრო დონეზე იქმნება სამეურნეო სუბიექტების ფინანსური რესურსები, ხოლო მაკრო დონეზე - სახელმწიფოს ცენტრალიზებული სახსრები. მაკრო დონეზე სახელმწიფო ახდენს სახსრების ცენტრალიზებას, იქმნება ყველა დონის ბიუჯეტები და არასაბიუჯეტო ფონდები, მშპ-ისა და ეროვნული შემოსავლის განაწილების შედეგად იქმნება საზოგადოებრივი შემოსავალი.

ფულადი სახსრების განაწილება მაკრო დონეზე ხდება შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტებით, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებისა და არასაბიუჯეტო ფონდების შექმნის გზით. სახსრების გამოყენება ხორციელდება სახალხო-სამეურნეო პროპორციებისა და ქვეყნის ეროვნული საჭიროებების გაუმჯობესების მიზნით.

ფინანსებს აქვთ უნარი, რაოდენობრივად წარმოადგინონ კვლავწარმოების პროცესი ფინანსური რესურსების საშუალებით. ეს უნარი აადვილებს ფინანსური კონტროლის განხორციელებას. ფინანსური კონტროლის არსი საზოგადოების ეკონომიკურ და ფულად ურთიერთობებში არსებული ყველა პრობლემის შესახებ ინფორმირებაა.

სახელმწიფო ფინანსები გავლენას ახდენს ეკონომიკაზე სხვადასხვა გზით. შემოსავლები, ხარჯები, დეფიციტი, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს წარმოადგენენ: ისინი ხელს უწყობენ ინფლაციის ტემპის, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის, სახელმწიფო ვალის ზრდისა და ეკონომიკური საქმიანობის დონის განსაზღვრას, ასევე, გავლენას ახდენენ

რეგულირებასა და ზრდაზე, მოხმარების ტემპებზე, დანაზოგებსა და ინვესტიციებზე ზემოქმედებით, როგორც ფიზიკურ, ისე ადამიანურ კაპიტალში. მიკროეკონომიკურ დონეზე, გადასახადები, სუბსიდიები და საქონლის სახელმწიფო შესყიდვები ასტიმულირებენ ცალკეული საქონლის წარმოებასა და მოხმარებას და ხელს უშლიან სხვა დანარჩენის წარმოებასა და მოხმარებას. სახელმწიფო ფინანსების პოლიტიკას შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკონომიკის ყველა სექტორზე როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში.

სახელმწიფო ფინანსები საშუალებას აძლევს საჯარო მმართველობის ორგანოებს შეასრულონ თავიანთი ძირითადი ფუნქციები ნორმალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პირობების შესაქმნელად. სახელმწიფოს აქვს შემდეგი ძირითადი ფუნქციები, რომლებიც უზრუნველყოფს ნორმალურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას:

- საკანონმდებლო აქტების შემუშავება, მიღება, განხორციელება და სრულყოფა, მათ შორის საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური საფუძვლების შემუშავება;
- საერთო დანიშნულების საჯარო მომსახურების გაწევა;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
- სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- ძირითადი საჯარო და სოციალური სერვისების დაფინანსება, მოსახლეობის ნაკლებად დაცული ჯგუფების მხარდაჭერა;
- საბინაო და კომუნალური მომსახურების სფეროში ზომების შემუშავება და განხორციელება;
- გლობალურ პოლიტიკურ სისტემაში და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის პროცესის რეგულირება;
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება.

სახელმწიფო ფინანსებს აქვს ორი მხარე: სახელმწიფო შემოსავლები და სახელმწიფო ხარჯები.

სახელმწიფო შემოსავლები მოიცავს მთავრობის მიერ მიღებულ ფულად სახსრებს გადასახადების, მოსაკრებლების, როიალტის, ჯარიმების, კონფისკაციების, სანქციების სახით და ა.შ.

სახელმწიფო ხარჯები მოიცავს როგორც ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობ ხარჯებს, აგრეთვე, ადმინისტრაციულ და წარმომადგენლობით ხარჯებს, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს, სახელმწიფო დავალიანების მომსახურებისა და სხვა ხარჯებს. ისინი გამოიყენება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტები, სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად.

სახელმწიფო დაფინანსება მნიშვნელოვანია მდგრადი მაღალი ეკონომიკური ზრდის დონის მისაღწევად. სახელმწიფო იყენებს ფისკალურ ინსტრუმენტებს, რათა მოახდინოს მთლიანი მოთხოვნისა და მთლიანი მიწოდების სტიმულირება. ფისკალურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს: გადასახადები, სახელმწიფო ვალი, სახელმწიფო ხარჯები და ა.შ.

სახელმწიფო ფინანსებს იყენებს ინფლაციისა და დეფლაციის დასაძლევად. ინფლაციის დროს იგი ამცირებს არაპირდაპირ გადასახადებსა და საერთო ხარჯებს, მაგრამ ზრდის პირდაპირ გადასახადებსა და კაპიტალურ ხარჯებს. იგი ზრდის შიდა სახელმწიფო ვალს და ახდენს სახსრების მობილიზებას ინვესტიციებისთვის. დეფლაციის შემთხვევაში, პოლიტიკა საპირისპიროდ იცვლება.

სახელმწიფო ფისკალურ ინსტრუმენტებს იყენებს ეკონომიკის სტაბილიზაციის მიზნით. კეთილდღეობის დროს სახელმწიფო აწესებს მეტ გადასახადს და ზრდის შიდა სახელმწიფო ვალს, ამცირებს შიდა ხარჯებს. რეცესიის დროს სიტუაცია საპირისპიროა.

ეკონომიკური განვითარების პრობემების შექმნის გარდა, სახელმწიფო საკუთარ შემოსავლებსა და ხარჯებს იყენებს სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად. ამ მიზნით, ხშირად ქვეყნების ხელისუფალნი იყენებენ საგადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტს - აწესებენ გადასახადების პროგრესულ განაკვეთებს. შედეგად, მაღალი სოციალური უთანაბრობის შემთხვევაში, მდიდარი ადამიანების შემოსავალს, მოგებას და ქონებას და მათ მიერ მოხმარებულ საქონელს უფრო მეტი გადასახადი ეკისრება. შეგროვებული თანხები გამოიყენება საზოგადოების მოწყვლადი ფენების სასარგებლოდ სუბსიდიების, შემწეობებისა და პირდაპირი და არაპირდაპირი

სარგებლის სხვა სახეობების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის განსაკუთრებით მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის სოციალურ გამოთანაბრებას.

სახელმწიფო დაფინანსება მნიშვნელოვანია ბუნებრივი, ტექნოლოგიური და ადამიანური რესურსების სწორად გამოყენებისთვის. ამ მიზნით, ნაკლებად სასურველი საქონლის წარმოებასა და გაყიდვებზე სახელმწიფო აწესებს შედარებით მაღალ საგადასახადო ტვირთს და საპირისპიროდ, გასცემს სუბსიდიებს ან აწესებს შედარებით დაბალ გადასახადებს სასურველი პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის.

მთავრობა საბიუჯეტო შემოსავლებსა და ხარჯებს იყენებს ქვეყნის სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონსა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს შორის განსხვავების აღმოსაფხვრელად. ამისათვის იგი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში აფინანსებს ამა თუ იმ რეგიონში ინფრასტრუქტურულ განვითარებას და უზრუნველყოფს პირდაპირი ეკონომიკური სარგებლის ზრდას.

სახელმწიფო ხელს უწყობს ექსპორტის სტიმულირებას ნაკლები გადასახადების დაწესებით, გადასახადებისგან განთავისუფლებით ან სუბსიდიების გამოყოფით ექსპორტზე ორიენტირებულ საქონელზე. ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ხელშეწყობისათვის აწოდებს რესურსებს სუბსიდირებულ ფასებში, აწესებს გადასახადს იმპორტზე.

## 1.2. საჯარო ფინანსების მართვის ფუნქციები და ამოცანები ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაში

საჯარო ფინანსების მართვა მოიცავს კანონების, წესების, სისტემების და პროცესების ერთობლიობას, რომელსაც იყენებენ სახელმწიფოები, რათა მოახდინონ შემოსავლების მობილიზება, სახელმწიფო სახსრების განაწილება და ხარჯვა, ასევე, ანგარიშგება და კონტროლი. იგი მოიცავს ფუნქციების უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე ფინანსური მენეჯმენტი და ჩვეულებრივ წარმოდგენილია ექვსი ეტაპისაგან შემდგარი ციკლით, რომელიც პოლიტიკის შემუშავებით იწყება და გარე აუდიტით მთავრდება. ამ ციკლში არაერთი ადამიანი მონაწილეობს, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი ეფექტიანი და გამჭვირვალე მუშაობა, პასუხისმგებლობის შენარჩუნების პარალელურად.

საჯარო ფინანსების მართვის ძლიერი სისტემა ეფექტიანი სახელმწიფოს ინსტიტუციური ჩარჩოს მნიშვნელოვანი ასპექტია. საჯარო მომსახურების ეფექტიანი მიწოდება მჭიდრო კავშირშია სიღარიბის შემცირებასთან და ეკონომიკურ ზრდასთან, ხოლო ძლიერი, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული საჯარო ფინანსების მართვის სისტემების მქონე ქვეყნები უფრო ეფექტიანად და სამართლიანად აწვდიან მომსახურებას და არეგულირებენ ბაზრებს.

საჯარო მმართველობა საზოგადოებრივი საქონლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია - საზოგადოების ყველა წევრი იღებს სარგებელს უკეთესი, უფრო ეფექტიანი და პასუხისმგებლიანი მთავრობით. თუ მთავრობას შეუძლია შეამციროს საგადასახადო ტვირთი ისე, რომ შეინარჩუნოს ეფექტიანობა და სამთავრობო მომსახურების იგივე დონე, მაშინ ყველა მოგებულია (Stiglitz 2000, 149).

სახელმწიფოებრიობის მთავარი ელემენტი სამართლიანად და ეფექტიანად დაბეგვრის და პასუხისმგებლიანად ხარჯვის შესაძლებლობაა. ისინი ინკლუზიური სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნდამენტური მახასიათებლებია, რომლებიც წარმოქმნიან ნდობას, ხელს უწყობენ ინოვაციებს და იწვევენ საზოგადოების განვითარებას.

სახელმწიფო ფინანსების მართვის მიზანია საერთო ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება. იგი უნდა უზრუნველყოფდეს გადასახადების შეგროვებისა და



სახელმწიფო ხარჯების საერთო დონის შესაბამისობას ფისკალური დეფიციტის მიზნებთან, ასევე, სახელმწიფო ვალის მდგრადი დონის შენარჩუნებას.

სისტემის მიზანია უზრუნველყოს ოპერატიული ეფექტიანობა მომსახურების მიწოდებისას. აგრეთვე, სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემამ უნდა დაიცვას ყველა სათანადო პროცედურა, იყოს გამჭვირვალე, ყველასთვის ხელმისაწვდომი და უზრუნველყოს ანგარიშვალდებულება.

საჯარო ფინანსების მართვის მიზანია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი, ეკონომიური, ეფექტიანი გამოყენება. მის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა.

საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2010 წელს დაიწყო სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის რეფორმა, რომელიც განპირობებული იყო საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებით. ამავე წელს მიღებული კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ ხელს უწყობს „საჯარო დაწესებულებების გამართულ, მენეჯერულ ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ ფუნქციონირებას და შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების კანონიერ, მიზნობრივ, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას“ (საქართველოს მთავრობა 2021).

შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტებია:

1. ფინანსური მართვა და კონტროლი (FMC);
2. შიდა აუდიტი (IA);
3. ჰარმონიზაციის ცენტრი (CHU).

ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება საბიუჯეტო სახსრების კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად და ეფექტიანად გამოყენების მიზნით. შესაბამისად, ამ სისტემის დანერგვის მთავარ მიზანს საჯარო ფინანსების მართვის ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს.

შიდა აუდიტი არის „დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისკენ, მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისა და მისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და

ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას“ (საქართველოს პარლამენტი 2010ა).

საქართველოში ფინანსური მართვისა და კონტროლის, ასევე შიდა აუდიტის სისტემის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მხარჯავ დაწესებულებებში სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებას.

გამართული შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა არის ერთგვარი ინდიკატორი ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტიანობის შესაფასებლად, რომლის განვითარება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნებისათვის.

საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. პროგრესი დასტურდება სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების წლიური შეფასებებით (PEFA), გარდა ამისა, ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის მიერ გამოქვეყნებული ბიუჯეტის გამჭვირვალობის წლიური კვლევის შედეგებით, რომლითაც 2021 წელს საქართველო ქვეყნებს შორის მოწინავე ადგილზე იყო ბიუჯეტის გამჭვირვალობის მიხედვით (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2022).

მიუხედავად ამისა, საბიუჯეტო პროცესის მეტი გამჭვირვალობისა და მასში მოქალაქეთა ჩართულობის ზრდის, ასევე საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად კვლავ არის საჭირო ცვლილებები.

რეფორმის შემდგომ ეტაპებზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციების გათვალისწინება. ამ კუთხით საყურადღებოა, ასევე, საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიები, რომლებში ჩართული ინდიკატორები ასახავენ რეფორმის ამოცანებს შესაბამისი წლებისთვის.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის შესაბამისი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საშუალოვადიანი დაგეგმვის მდგრადობის ამაღლება, რისთვისაც საქართველოს მთავრობის პროგრამა და სექტორული სტრატეგიები თავსებადი უნდა იყვნენ ბიუჯეტის საშუალოვადიან პარამეტრებთან.

მთავრობამ უნდა განახორციელოს ღონისძიებები სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების შედეგებით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

გარდა ამისა, აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაცია პოლიტიკის ცვლილებების ბიუჯეტზე გავლენის შესახებ წარმოდგენილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტში (BDD). საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების პროცესის გასაუმჯობესებლად კი მაკრო-ფისკალური ინდიკატორების ანალიზი ხორციელდება საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტიკური მოდელით (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2018).

### 1.3. საჯარო ფინანსები და სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკა

სახელმწიფო ფინანსები ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ხელისუფლების მიერ ფულადი რესურსების მობილიზება მისივე ვალდებულებებისა და ფუნქციების შესასრულებლად, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მონაწილეობის ეკონომიკურ საფუძველს.

სახელმწიფო ფინანსები მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, ბერკეტია, რომლითაც იგი გავლენას ახდენს წარმოებისა და განაწილების მთელ პროცესზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ფინანსების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის ქვეშ, იგულისხმება ეკონომიკური (ფულადი) ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის ცენტრალიზებული სახსრების ფორმირებასთან, განაწილებასთან (გადანაწილებასთან) და გამოყენებასთან.

სახელმწიფო ფინანსების ძირითადი კომპონენტები მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლების შეგროვებასთან, საზოგადოების მხარდასაჭერად განხორციელებულ ხარჯებთან და დაფინანსების სტრატეგიის განხორციელებასთან (მაგალითად, სახელმწიფო ვალის გაცემა). მისი ძირითადი კომპონენტებია: გადასახადების შეგროვება, ბიუჯეტი, ხარჯები, დეფიციტი (სიჭარბე), სახელმწიფო ვალი.

სახელმწიფო შემოსულობებს მიმართავს ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის, მშვიდობის, სამართლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს. ყოველივე ამისათვის იგი იყენებს ფისკალურ ინსტრუმენტებს: შემოსავლებს და ხარჯებს. ამასთან, შესაძლებელია სხვადასხვა წყაროდან მიღებული სახელმწიფო შემოსავლები მიმართული იყოს სხვადასხვა მიზნების განხორციელებაზე.

ხარჯები არის ყველაფერი, რაზეც მთავრობა რეალურად ხარჯავს ფულს, მაგალითად, სოციალურ პროგრამებზე, განათლებასა და ინფრასტრუქტურაზე. მთავრობის ხარჯების დიდი ნაწილი შემოსავლის ან ქონების გადანაწილების ფორმად, რომელიც მიზნად ისახავს მთლიანად საზოგადოების სარგებლის და კეთილდღეობის ზრდას.

ხარჯები შესაძლებელია აღემატებოდეს შემოსავლებს. საბიუჯეტო დეფიციტის შემთხვევაში მთავრობა სხვაობას აფინანსებს ფულის სესხებით და სახელმწიფო ობლიგაციების გამოცემით.

სახელმწიფო ხარჯები კლასიფიცირდება განვითარების ხარჯებად და ადმინისტრაციულ ხარჯებად. მთავრობა, ქვეყნის გაცხადებული პრიორიტეტების შესაბამისად, გამოყოფს რესურსებს სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით.

რეალური პრიორიტეტები ყველაზე უკეთ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებშია გამოკვეთილი. სახელმწიფო ხარჯების როლი და მნიშვნელობა გამოიხატება შემდეგში:

1. ჯანდაცვა და სოცუზრუნველყოფა;
2. თავდაცვა და ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნება;
3. კანონისა და წესრიგის დაცვა;
4. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი;
5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;
6. ადმინისტრაციული მომსახურების უზრუნველყოფა;
7. ინვესტიციების განხორციელება ისეთ სოციალურ სფეროებში, როგორცაა ტრანსპორტი, კომუნიკაცია, ირიგაცია, ენერგეტიკა, განათლება, კულტურა, მეცნიერება, პროფესიული მომზადება;
8. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა;
9. ეკონომიკური სამართლიანობის უზრუნველყოფა საზოგადოებაში;
10. ინსტიტუციონალური განვითარება;
11. საერთაშორისო ურთიერთობები;
12. ძირითადი და სტრატეგიული დარგების განვითარება და ხელშეწყობა.

მთავრობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები გათვალისწინებულია, ასევე, „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტში“, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო 2019 წელს გაეროს 2015 და 2017 წლების შესაბამის რეზოლუციებზე დაყრდნობით, ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად. დოკუმენტი ითვალისწინებს: სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, სრულ

და პროდუქტიულ დასაქმებასა და ღირსეულ სამუშაოს ყველასთვის, მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნას, უთანასწორობის შემცირებას ქვეყნებში და ა.შ. მასში, ასევე, წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნების შესრულების ინდიკატორები (საქართველოს მთავრობა 2019).

სახელმწიფო ხარჯები მოიცავს: განვითარების ხარჯებს (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, კომუნიკაცია, განათლება, ჯანდაცვა, ენერგეტიკა), კომუნალურ ხარჯებს (განათლების ობიექტები, სანიტარული, სასმელი წყალი, ტრანსპორტი), თავდაცვის ხარჯებს, ზოგად ადმინისტრაციულ ხარჯებს (კარგი მმართველობისთვის, ქვეყანაში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის შესანარჩუნებლად, მთავრობის მიერ გაწეული ხარჯები სხვადასხვა სამინისტროების, უწყებებისა და საკონსტიტუციო ორგანოების მეშვეობით), რესურსების დაცვის ხარჯებს, ძეგლების შენარჩუნებისა და აღდგენის ხარჯებს (ქვეყნის ხალხთა კულტურის, ტრადიციების, ხელოვნებისა და უნარების შენარჩუნებისათვის, ასევე, ისტორიული, არქეოლოგიური, რელიგიური ძეგლების შეკეთებაზე).

მთავრობა შემოსავლებს იღებს სხვადასხვა წყაროებიდან, მათგან ზოგიერთი სახის შემოსავალი რეგულარულად იკრიბება, დანარჩენი - არარეგულარულად. სახელმწიფო შემოსავლები შეიძლება კლასიფიცირდეს საგადასახადო შემოსავლებად და არასაგადასახადო შემოსავლებად.

გადასახადი ეფექტური ფინანსური ინსტრუმენტია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. პირდაპირი გადასახადის გადახდა წარმოებს რეალურად მიღებული შემოსავლიდან (მოგებიდან), შესაბამისად, იგი ითვალისწინებს გადამხდელის გადახდისუნარიანობას. მას დასაბეგრი პირი პირდაპირ იხდის ხაზინაში. პირდაპირი გადასახადებია: მოგების, ქონებისა და საშემოსავლო გადასახადები.

არაპირდაპირი გადასახადები გადაიხდება წარმოებაზე, გაყიდვებზე, ექსპორტსა და იმპორტზე, ისინი დგინდება ფასზე დანამატის სახით, ხოლო მათი გადამხდელი საბოლოო მომხმარებელია. არაპირდაპირი გადასახადებია: დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი.

არასაგადასახადო შემოსავლებს მიეკუთვნება: მოსაკრებლები, ჯარიმები და საურავები, როიალტი, გრანტები.

მთავრობა იღებს ფულად რესურსებს სხვადასხვა სერვისების გაყიდვიდან, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, ასევე, რეგისტრაციისა და ლიცენზიის საფასური.

წესებისა და რეგულაციების დარღვევისთვის, მთავრობა იღებს საურავებს, ხოლო კანონისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში - ჯარიმებს. ჯარიმები და საურავები არ არის სახელმწიფოს შემოსავლის მუდმივი წყარო.

მთავრობა იღებს როიალტის წარმოების უფლების, კოპირების უფლების, საზოგადოებრივი მიწის და შენობების, კაპიტალური აღჭურვილობისა და ქარხნების გამოყენების უფლების მიღებაზე. აგრეთვე, მთავრობის შემოსულობებს მიეკუთვნება დივიდენდები სახელმწიფო საწარმოებიდან, ქირა სახელმწიფო საკუთრებიდან. ზემოაღნიშნული სახელმწიფოს შემოსავლის მუდმივი წყაროა. სახელმწიფო აწესებს და იღებს სხვადასხვა სახის ადგილობრივ მოსაკრებელს.

მთავრობა იღებს მიზნობრივ გრანტებს უცხო ქვეყნის მთავრობებისგან და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

პირდაპირი - საშემოსავლო, მოგებისა და ქონების გადასახადები შედარებით არაპოპულარული, მაგრამ ძალიან ეფექტური ინსტრუმენტია, ფასების სტაბილურობის შენარჩუნებისათვის, შემოსავლის და სიმდიდრის გადანაწილებისთვის, ეკონომიკური სტაბილურობისთვის.

პირდაპირ გადასახადებს რიგი უპირატესობები გააჩნია. ისინი საიმედოა, მთავრობას მარტივად შეუძლია შეაფასოს გადასახადის ოდენობა, რომლის შეგროვებაც შეუძლია მომდევნო საბიუჯეტო წელს. დაბეგვრა დაფუძნებულია გადახდისუნარიანობაზე. პირდაპირი გადასახადები დაწესებულია ხალხისა და ორგანიზაციების გადახდისუნარიანობის საფუძველზე. ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც უფრო მეტ შემოსავალსა და მოგებას იღებენ, უფრო მეტ გადასახადს იხდიან. გადასახადის განაკვეთი ერთნაირია ყველასთვის. ამასთან, პირდაპირი გადასახადების აკრეფა საჭიროებს ნაკლებ დროსა და შრომას. პირდაპირი გადასახადების კიდევ ერთი უპირატესობაა ის, რომ გადასახადის გადამხდელებმა იციან რამდენს იხდიან, რატომ უნდა გადაიხადონ.

პირდაპირი გადასახადი ძალიან სასარგებლოა შემოსავლისა და კეთილდღეობის ხელახლა გადანაწილებისთვის მაღალი უთანასწორობის პირობებში.

მისი გამოყენება შესაძლებელია ანტიინფლაციური პოლიტიკის ფარგლებში: ინფლაციის შესამცირებლად მთავრობა ზრდის პირდაპირი გადასახადის განაკვეთს, რაც ხელს უწყობს საერთო მოთხოვნისა და ფასების დონის ზრდის გაკონტროლებას. პირდაპირი გადასახადი სასარგებლოა არასასურველი ან ნაკლებად სასურველი სექტორისგან უფრო სასურველ სექტორში რესურსების გადანაწილებისთვის.

პირდაპირი გადასახადებს აქვთ უარყოფითი მხარეებიც. უშუალო გადასახადის გადამხდელებმა იციან, გადასახდელი თანხის ოდენობა, დაბეგვრის საფუძველი და საგადასახადო განაკვეთი დროის ერთეულში, შესაბამისად განიცდიან ტვირთს. პირდაპირი გადასახადის ზრდას შეიძლება მთავრობის სერიოზული პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოქცევა მოჰყვეს, ამიტომ ის ნაკლებად მოქნილი ინსტრუმენტია. პირდაპირი გადასახადის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია არაპროდუქტიულობაც, რადგან ვერ ასტიმულირებს შრომას, წარმოებასა და ინვესტიციებს.

მთავრობა ფლობს შესაძლებლობას გამოიყენოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფისკალური ინსტრუმენტი - სახელმწიფო ვალი. საქართველოს სახელმწიფო ვალი არის „საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მისი გარანტიით სხვა ორგანოების/დაწესებულებების მიერ დადებული ხელშეკრულებებით აღებული, ეროვნული ვალუტით გამოსახული, აგრეთვე სამინისტროს მიერ ეროვნულ ან უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული საფინანსო რესურსიდან მიღებული სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების ჯამური თანხა“ (საქართველოს პარლამენტი 1998).

სახელმწიფოს საშინაო ვალი სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული. იგი წარმოიქმნება ქვეყნის სახელით დადებული ხელშეკრულებებით აღებული პირდაპირი ვალდებულებების, ასევე, ეროვნული ვალუტით გამოსახული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსების შედეგად. სახელმწიფოს საგარეო ვალი კი წარმოადგენს უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში გამოსახულ სახელმწიფო ვალის შემადგენელ ნაწილს. საქართველოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით აღებული პირდაპირი



ვალდებულებებისა და უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გარდა, იგი მოიცავს სსფ-ის მიერ საქართველოსთვის დამტკიცებულ ფინანსურ რესურსებს (საქართველოს პარლამენტი 1998).

მთავრობა ზემოქმედებს ეკონომიკაზე ფისკალური პოლიტიკის გამოყენებით, კერძოდ, გადასახადებისა და ხარჯების მეშვეობით. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები გამოიყენება ეკონომიკური ზრდის სტიმულების შესაქმნელად, ერთობლივი მოთხოვნის გაფართოების გზით, განსაკუთრებით რეცესიების პერიოდში. ხელისუფლება ფისკალურ პოლიტიკას ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებისა და გადასახადების განსაზღვრის მიმართულებით.

სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს მის მოქმედებას შემოსავლების მიღების, სახელმწიფო ხარჯების მოცულობისა და მიმართულებების სფეროში, შეიძლება მიმართული იყოს სტაბილიზაციის, ეკონომიკური ზრდის ან ცალკეული ბიზნეს საქმიანობის შეზღუდვისაკენ.

სტაბილიზაციის პოლიტიკა გულისხმობს ფისკალური და ფულად-საკრედიტო ზომების გამოყენებას მშპ-ის მაქსიმალური მიახლოებისთვის მის პოტენციურ დონესთან, სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილური დონის უზრუნველსაყოფად. ეკონომიკური ზრდის პოლიტიკაში იგულისხმება მშპ-ის ზრდის ხელშესაწყობი ღონისძიებების განხორციელება.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია ექსპანსიური და შემზღუდველი ფისკალური პოლიტიკა. ეკონომიკური ვარდნის პირობებში მთავრობა ხშირად იყენებს ექსპანსიურ ანუ მასტიმულირებელ ფისკალურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ხარჯების ზრდას, გადასახადების შემცირებას და შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას. ეკონომიკური ბუმის პერიოდში, გადაჭარბებული მოთხოვნით გამოწვეული ინფლაციის პირობებში კი მთავრობა იყენებს შემზღუდველ ფისკალურ პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ხარჯების შემცირების, გადასახადების ზრდის, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ან მისი დადებითი სალდოს მიღწევის გზით. ზემოაღნიშნული ღონისძიებები ამცირებს საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივ მოთხოვნას.

საბიუჯეტო პოლიტიკისა და, შესაბამისად, საბიუჯეტო ფუნქციების ძირითადი მიმართულებაა საბიუჯეტო სახსრების გამოყენება ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მისაღწევად, ეკონომიკური ზრდისთვის პირობების შექმნა და ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების შედეგების შერბილება. ამასთან, სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულ გრძელვადიან პრობლემებს, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას, კაპიტალის დაგროვებასა და ეფექტიან ეკონომიკურ ზრდას.

ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროებსა და დაფინანსების მეთოდებს, ასევე, სახელმწიფოს ფინანსური რესურსების განაწილების ძირითად მიმართულებებს, თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურის ფართო განხილვის საგანს წარმოადგენს.

ფისკალური პოლიტიკის კვლევა წარმოდგენილია შემდეგი ეკონომისტების ნაშრომებში: ა. სმიტი, დ. რიკარდო, მ. ფრიდმანი, ჯ. მ. კეინსი და ა.შ.

ამჟამად არსებული საგადასახადო პოლიტიკის თეორიების საფუძველი არის ის კონცეფციები, რომლებიც განხილულია ეკონომიკის კლასიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ადამ სმიტის ცნობილ ნაშრომში - “გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ”. იგი აღნიშნავდა, რომ გადასახადის ოდენობა, მისი გადახდის ვადა და წესი ზუსტად უნდა იყოს დადგენილი გადამხდელისთვის, ხოლო გადასახადის ამოღება უნდა ხდებოდეს გადამხდელისთვის ხელსაყრელი წესით (სმიტი 2007).

ადამ სმიტის მოძღვრება გადასახადების თეორიაზე განავითარა ინგლისელმა ეკონომისტმა, დევიდ რიკარდომ თავის საყოველთაოდ ცნობილ შრომებში. მისი თეორიის მიხედვით, მოგების გადასახადის ზრდა აისახება პროდუქციისა და მომსახურების ფასებზე. აღნიშნული დებულება დასტურდება პრაქტიკით და დღესაც ძალაშია.

დევიდ რიკარდოს მიერ ჩამოაყალიბებული ექვივალენტობის თეორემა ეჭვქვეშ აყენებს საბიუჯეტო პოლიტიკის მასტაბილიზირებელ როლს. მისი თეორიით, გაზრდილი სახელმწიფო ვალით დაფინანსებული გადასახადების შემცირება, გამოიწვევს საგადასახადო ტვირთის ზრდას გრძელვადიან პერიოდში. ამგვარი

პოლიტიკა არ იწვევს მოხმარების სტიმულირებას და შესაბამისად, არაეფექტურს ხდის მას.

1923-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გამოავლინა, რომ კლასიკურ ეკონომიკურ თეორიებს არ შეეძლო მიმდინარე სიტუაციის ახსნა. საჭირო იყო მოვლენების ახლებური ხედვა, რომელიც არსებულ სიტუაციას გააუმჯობესებდა.

ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა, მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიის ფუძემდებელმა, ჯ. მ. კეინსმა ნაშრომში „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“, ჩამოაყალიბა ფისკალური პოლიტიკისადმი ახლებური მიდგომა. მისი მტკიცებით, მთავრობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკონომიკის მწარმოებლურობის დონეზე, გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების მეშვეობით. მისი რეკომენდაცია მთავრობისადმი გამოიხატებოდა წარმოების გასაფართოებლად ხარჯების გაზრდაში, რითაც უმუშევრობის პრობლემა ნაწილობრივ აღმოიფხვრებოდა. მისი აზრით, ეკონომიკის კლასიკური თეორიის პოსტულატები მისაღებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ეკონომიკურ მეცნიერებაში კეინსმა პირველმა გამოთქვა აზრი კრიზისულ პერიოდში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობის შესახებ. მისი აზრით, გადასახადებით დაბეგვრის მექანიზმი მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია. იგი ასაბუთებს, რომ მაღალი საგადასახადო განაკვეთები საგადასახადო ბაზის არასტაბილურობას იწვევენ, გადასახადების შემცირება კი ასტიმულირებს შემოსავლების და შესაბამისად, მოთხოვნის ზრდას, რაც, თავის მხრივ, ქმნის ეკონომიკური ზრდის წინაპირობას.

კეინსის თეორიით, ეკონომიკური კრიზისები ძირითადად განპირობებულია მოთხოვნის ფაქტორით და მხარს უჭერს ხელისუფლების მიერ ეგრეთ წოდებული კონტრაციკლური ფისკალური პოლიტიკის განხორციელებას, მოთხოვნის ამაღლების და შესაბამისად, წარმოების გაფართოების გზით, ეკონომიკაში სრული დასაქმების მისაღწევად (Jahan, Mahmud and Papageorgiou 2014).

ეკონომიკური ზრდის კეინსიანური თეორიის კრიტიკული გაანალიზების შედეგად 1970-იან წლებში შეიქმნა ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო რეგულირების ნეოკეინსიანური მოდელი, რომლის მიხედვითაც, „რეცესია ბაზრების არაეფექტიანობის გამოვლინებაა. აქედან გამომდინარე, ნეოკეინსიანელები

რაციონალურად მიიჩნევენ ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. კერძოდ, მათ მიერ განიხილება ანტიციკლური ფულადი და ფისკალური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა“ (მექვაბიშვილი 2016, 30).

გასული საუკუნის შუა ხანებში წარმოიშვა ნეოკლასიკური ეკონომიკური მიმართულება, რომელიც ეკონომიკური ზრდის წყაროებად შრომის, კაპიტალისა და ტექნოლოგიების ფაქტორებს მიიჩნევს. ამასთან, ნეოკლასიკოსები ეკონომიკის რეგულირებისათვის ფისკალურ პოლიტიკასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ ფასების სტაბილურობის მიღწევას. ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით, გადასახადების დაბალი განაკვეთები და სახელმწიფო ხარჯების შემცირება, კერძო სექტორისა და შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. თეორიის მიმდევრების აზრით, მიწოდების ერთ-ერთი მასტიმულირებელი ფაქტორი სწორედ გადასახადების შემცირებაა. ნეოკლასიკოსების აზრით, ზედმეტად მაღალი საგადასახადო ტვირთი დაგროვების ტემპების შემცირებას იწვევს. აღნიშნულ დებულებას საფუძვლად დაედო „მიწოდების ეკონომიკის“ ერთ-ერთი ფუძემდებლის, არტურ ლაფერის ცნობილი მრუდი, რომელიც გამოხატავს საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო შემოსავლების ურთიერთდამოკიდებულებას.

ნობელის პრემიის ლაურეატმა, ამერიკელმა ეკონომისტმა პოლ სამუელსონმა პირველმა შეიმუშავა კონცეფცია იმის თაობაზე, რომ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ოპტიმალურ ურთიერთშეხამებას შეუძლია სრული დასაქმების ხელშეწყობა და ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

ზემოაღნიშნული იდეა კიდევ უფრო განავითარა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, მონეტარიზმის ფუძემდებელმა მილტონ ფრიდმანმა. მან დაასაბუთა ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის ეფექტიანობა და ეკონომიკის წონასწორობის უზრუნველსაყოფად მოთხოვნას დაუპირისპირა მიწოდება. სწორედ აღნიშნული თეორია გახდა მრავალი განვითარებული ქვეყნის საგადასახადო სისტემის საფუძველი.

„მონეტარისტები არაეფექტიანად მიიჩნევენ ფისკალურ პოლიტიკას და მთავრობებს ურჩევენ მის შეცვლას რეგლამენტირებული პოლიტიკით, რომელიც გარკვეულ წესებს ემყარება. ასეთ პოლიტიკად კი მიჩნეულია ადაპტირებული

მონეტარული წესი. ფისკალური პოლიტიკის არაეფექტიანობას მონეტარისტები უკავშირებენ დიდი “დროითი ბიჯის” არსებობას, რომელმაც საქმიანი აქტიურობის ციკლის მერყეობის შერბილების ნაცვლად შეიძლება მისი გაძლიერება გამოიწვიოს“ (მექვაბიშვილი 2016, 47).

ამრიგად, სხვადასხვა ეკონომიკური თეორია ფისკალური პოლიტიკის როლს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საქმეში სხვადასხვაგვარად აფასებს.

საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის ღონისძიებების ფარგლებში ეკონომისტები შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სახელმწიფოს არსებობის ეკონომიკური საფუძვლები, ფინანსური სისტემა, საბიუჯეტო სისტემა, საგადასახადო სისტემა, შემოსავლების განაწილება, ლარის კურსი, ინფლაცია და სხვა.

საჯარო ფინანსების მართვის პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მაკროეკონომიკური ფუნქციების, ფინანსური რესურსების რაციონალურად განაწილებისა და გამოყენების სხვადასხვა ასპექტების შესწავლას.

საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება, მათ შორის:

- ეფექტიანი საჯარო მმართველობის უზრუნველყოფა;
- საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა;
- საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება;
- ფისკალური დისციპლინის განმტკიცება;
- საფინანსო სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება;
- ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განვითარება;
- საინვესტიციო კანონმდებლობის სრულყოფა და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მეტწილად მთავრობის მიერ გატარებულ საბიუჯეტო პოლიტიკაზეა დამოკიდებული.

## თავი 2. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

### 2.1. საბიუჯეტო მოწყობა და საბიუჯეტო პროცესი

ბიუჯეტი წარმოადგენს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტს, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაზე, რისი შედეგიცაა ისეთი დადებითი პროცესები, როგორცაა ინფლაციის დონის, გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთების შემცირება.

ყოველწლიურად ფორმირებული ბიუჯეტი ასახავს არა მხოლოდ ფულადი სახსრების ხარჯვისა და მობილიზაციის ნაკადებსა და მიმართულებებს, არამედ საფინანსო სექტორში განხორციელებულ კონკრეტულ ეკონომიკურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს ეკონომიკის ცალკეულ სექტორებსა და რგოლებში.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი „განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტების შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების, მუნიციპალიტეტების და მათ მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას“ (საქართველოს პარლამენტი 2009).

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს საბიუჯეტო პოლიტიკისა და პროცესის, ასევე, საქართველოს სახელმწიფო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ხელისუფლებების ბიუჯეტებისა და მათი საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ერთობლიობას. ამავე დროს, იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ზემოქმედების ბერკეტს წარმოებისა და განაწილების მთელ პროცესზე.

საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია შემდეგი პრინციპების დაცვა: ყოვლისმომცველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა, ერთიანობა, უნივერსალობა, კონსოლიდირება (საქართველოს პარლამენტი 2009).

საბიუჯეტო პროცესი, რომელიც საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობას, ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის მიზნით.

„ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს მთავრობა;
- ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო;
- გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის – შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო“ (საქართველოს პარლამენტი 2009).

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს განიხილავს, ამტკიცებს და კონტროლს უწევს საქართველოს პარლამენტი.

საბიუჯეტო შემოსულობებს მიეკუთვნება საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული: შემოსავლები, ფინანსური აქტივები (გარდა ნაშთის გამოყენებისა), არაფინანსური აქტივები, ვალდებულებები.

ბიუჯეტის გადასახდელებს კი მიეკუთვნება საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა: ხარჯები, ფინანსური აქტივები (გარდა ნაშთის დაგროვებისა), არაფინანსური აქტივები, ვალდებულებები.

„საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, აგრეთვე პროგრამულ კლასიფიკაციას“ (საქართველოს პარლამენტი 2009).

ყოველწლიურად, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენამდე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იწყებს მუშაობას ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე, რომლის მომზადება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის პირველი ეტაპი. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ძირითად გეგმას, რომელშიც მოცემულია საშუალოვადიანი მაკრო-ფისკალური პროგნოზები, ასევე საქართველოს სხვადასხვა დონის ხელისუფლებების

განვითარების ძირითადი მიმართულებები. დოკუმენტს ადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შესაბამის მხარჯავ დაწესებულებებთან კოორდინაციით, რისთვისაც აღნიშნული დაწესებულებები სამინისტროს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარუდგენენ მოთხოვნილ ინფორმაციას.

„ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

I. დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის:

- სახელმწიფოს ერთიანი, საქართველოს ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;
- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო პრიორიტეტებს;
- სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების პროგრამებს, მათ მიზნებსა და დაფინანსების ოდენობებს;
- აგრეგირებულ მაჩვენებლებს სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობის შესახებ;
- დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნობას მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით;

II. „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების ზღვრული მოცულობების ფარგლებში პროგნოზირებულ ძირითად ფისკალურ მაჩვენებლებს“ (საქართველოს პარლამენტი 2009).

ყოველი წლის არაუგვიანეს 10 ივლისისა მთავრობა იწონებს აღნიშნული დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რის შემდეგაც არაუგვიანეს 5 დღეში ფინანსთა სამინისტრო მხარჯავ დაწესებულებებს მიაწოდებს საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს.

მხარჯავი დაწესებულებები ფინანსთა სამინისტროში არაუგვიანეს 1 სექტემბრისა წარადგენენ ინფორმაციას, მათ შორის: გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის მათთვის ასიგნებების გაანგარიშებას როგორც



საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველაზე დაბალი თანრიგის, ასევე, პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით, დასაგეგმი და მისი შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის განსახორციელებელ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, მოსალოდნელ შედეგებსა და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს, დამტკიცებულ და საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას და ა.შ.

განაცხადების განხილვის შემდგომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და მთავრობას განსახილველად წარუდგენს არაუგვიანეს 15 სექტემბრისა. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და მის შესაბამის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს პარლამენტს წარუდგენს სამჯერ. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი პარლამენტს წარედგინება არაუგვიანეს 30 ნოემბრისა. დამტკიცებული საბიუჯეტო კანონი დანართებითურთ ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვას ზედამხედველობს ფინანსთა მინისტრი. საბიუჯეტო ორგანიზაციები ასიგნებების შესაბამისად ახორციელებენ გადახდებს და შემოსულობების მობილიზებას. საქართველოს პარლამენტი მთავრობის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებას აკონტროლებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით. სახელმწიფო ხაზინა აღრიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად გაწეულ გადასახდელებსა და მიღებულ შემოსულობებს.

„სახელმწიფო ხაზინა ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს“ (საქართველოს პარლამენტი 2009).

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მომზადება საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია. ფინანსთა სამინისტრო ამზადებს და პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველკვარტალურ მიმოხილვას, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ასევე, ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლებლები.

„ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა – ბიუჯეტის მთლიანი სალდო“ (საქართველოს პარლამენტი 2009). მთლიანი სალდოს უარყოფითი ნიშანი მიუთითებს ბიუჯეტის დეფიციტზე.

ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობა იღებს ვალს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით. წლიური საბიუჯეტო კანონით დგინდება ლიმიტები საბიუჯეტო წლის ბოლოს დაუფარავი სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე.

სახელმწიფო ხაზინის მონაცემებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინება საქართველოს მთავრობას. მთავრობა საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში გადასცემს მას სახელმწიფო აუდიტის სამსახურს. საქართველოს პარლამენტს ანგარიში წარედგინება კოდექსით დადგენილ ვადაში. პარლამენტი ანგარიშებს ამტკიცებს დადგენილებით.

## 2.2. გადასახადები, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების საფუძველი

ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და საგადასახადო სისტემის გამართულ მუშაობაზე. ეფექტიანი საგადასახადო სისტემა, თავის მხრივ, ემსახურება მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას.

საგადასახადო სისტემა საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო ადმინისტრირების ერთობლიობაა. იგი ფისკალური პოლიტიკისა და საჯარო სექტორის მმართველობის ცენტრალური ელემენტია. ეკონომიკური ზრდისა და ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია საკმარისი საგადასახადო შემოსავლების ამოღება შესაბამისი ხარჯების გაწევისა და ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების განვითარების ხელშესაწყობად.

საგადასახადო პოლიტიკა წარმოადგენს იმ გადაწყვეტილებების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ საგადასახადო სისტემის მახასიათებლებს და ხელს უწყობენ ეკონომიკურ საქმიანობას სახელმწიფო ხარჯების დაფინანსების გზით.

საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ ეფექტიანობას, თანასწორობას, ადმინისტრირების სიმარტივესა და გამჭვირვალობას.

საგადასახადო პოლიტიკა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე, განსაზღვრავს ადამიანების ცხოვრების დონესა და პირობებს. შესაბამისად, საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებები უნდა გამომდინარეობდეს მთლიანი საზოგადოების და არა ცალკეული ჯგუფების ინტერესებიდან.

საგადასახადო კოდექსით, გადასახადი არის „სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე“ (საქართველოს პარლამენტი 2010).

გადასახადები სახელმწიფოს შემოსავლის ძირითადი ფინანსური წყაროა და გამოიყენება განვითარების მიზნებისათვის. პრაქტიკით დასტურდება, რომ იმ

სახელმწიფოებში, რომელთაც ძლიერი ეკონომიკა აქვთ, გადასახადების შემცირებამ შესაძლოა გამოშვების ზრდის სტიმულირება მოახდინოს. ამგვარად, მომავალში შესაძლებელი იქნება დროებით შემცირებული საგადასახადო შემოსავლების კომპენსირება გაზრდილი საგადასახადო ბაზის ხარჯზე. ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები საგადასახადო პოლიტიკის გატარებისას. ამასთან, გადასახადები ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მძლავრი ინსტრუმენტია, რომელიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის განაწილებაზე, საზოგადოებრივი კვლავწარმოების სტრუქტურაზე, მოხმარებისა და კაპიტალის დაგროვების პროცესზე, ასევე, სოციალურ სფეროზე.

განვითარებადი ქვეყნები გადასახადებს სხვადასხვა მიზნებისთვის იყენებენ. ისინი ახორციელებენ საგადასახადო პოლიტიკას რესურსების გადანაწილების დასარეგულირებლად, კერძო სექტორის ინვესტიციების მხარდასაჭერად, ინფლაციის დასარეგულირებლად. საგადასახადო განაკვეთების ნებისმიერი ზრდა ან შემცირება მნიშვნელოვნად აისახება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

მოკლევადიან პერიოდში გადასახადების შემცირება ზრდის მოთხოვნას წმინდა შემოსავლის, დასაქმებისა და ინვესტიციების ზრდის მეშვეობით. საგადასახადო პოლიტიკამ, ასევე, შეიძლება გავლენა მოახდინოს სამუშაო ძალის მიწოდებაზე მოკლევადიან პერიოდში, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის შემცირებამ შეიძლება წახალისოს შრომის ბაზარზე მიწოდების ზრდა, მომუშავეთა ან სამუშაო დროის გაზრდის საშუალებით.

გადასახადების მაღალი განაკვეთები აფერხებს სამუშაო ძალის მიწოდებას, დანაზოგების, ინვესტიციებისა და ინოვაციების განხორციელებას, ხოლო საგადასახადო შეღავათები გავლენას ახდენს ეკონომიკური რესურსების განაწილებაზე. გრძელვადიან პერიოდში გადასახადები ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მიწოდების მეშვეობით. გადასახადების შემცირებას შეუძლია შეანელოს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა დეფიციტის ზრდის გამო. ამასთან, გადასახადების შემცირებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს შრომის ბაზრის მიწოდებაზე, თუ ზოგიერთი მონაწილე გაზრდილი შემოსავლების პირობებში გადაწყვეტს ნაკლები იმუშაოს. მიწოდება მნიშვნელოვან როლს თამაშობს

ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრაში. ქვეყნის საწარმოო პოტენციალი დამოკიდებულია სამუშაო ძალის რაოდენობასა და კვალიფიკაციაზე, მათ მიერ გამოყენებული ფიზიკური კაპიტალის რაოდენობასა და ხარისხზე, ცოდნისა და იდეების მარაგზე.

როდესაც ეკონომიკა ფუნქციონირებს მისი შესაძლებლობების ზღვარზე, მთავრობის მიერ სესხის აღება ამცირებს კერძო ინვესტიციებს ან მომავალ შემოსავალს ამ ინვესტიციებიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, დეფიციტმა შეიძლება შეამციროს მომავალი კეთილდღეობა. შესაბამისად, საგადასახადო პოლიტიკის გრძელვადიანი ეფექტები დამოკიდებულია არა მხოლოდ მის მასტიმულირებელ მოქმედებაზე, არამედ საბიუჯეტო შედეგებზეც.

ოპტიმალური საგადასახადო სისტემა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების საკვანძო საკითხია. დიდი ხნის განმავლობაში ეკონომისტებს შორის იყო დავა იმაზე, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ბიუჯეტის ფორმირება - წმინდა ფისკალური მეთოდებით თუ სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებით (გადასახადების შემცირების ხარჯზე). საჭირო გახდა საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებისას დაბეგვრის მეცნიერული თეორიების გათვალისწინება.

ერთ-ერთი ამგვარი თეორიის შემქმნელია XVIII საუკუნის ცნობილი შოტლანდიელი ეკონომისტი ადამ სმიტი. მან თავის ნაშრომში “გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ” განსაზღვრა საგადასახადო სისტემის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დღესაც აქტუალურია: სამართლიანობა, განსაზღვრულობა, მოხერხებულობა და ეფექტიანობა. სმიტი თვლიდა, რომ ეფექტიანი საგადასახადო სისტემა ემყარება დაბეგვრის მოწესრიგებულ მექანიზმს. მისი აზრით, საგადასახადო ტვირთის შემცირება სახელმწიფოს ათავისუფლებს გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯებისგან (სმიტი 2007).

XIX საუკუნის ამერიკელი ეკონომისტი ჰ. ჯორჯი მიიჩნევდა, რომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის საჭიროა ყველა სახის გადასახადის გაუქმება, გარდა მიწის გადასახადისა. მისი აზრით, ადამიანები უნდა ფლობდნენ იმ ღირებულებას, რომელსაც თავად აწარმოებენ, მაგრამ მიწისგან მიღებული ეკონომიკური ღირებულება (მათ შორის ბუნებრივი რესურსების გამოყენებით) კი თანაბრად უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოების ყველა წევრს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიის

მხარდამჭერი არაერთი არგუმენტი არსებობს, მისი შექმნიდან ასწლეულების გასვლის შემდეგაც, არცერთ ქვეყანაში სრულად არ არის დანერგილი.

ცნობილი ეკონომისტის, ჯონ მეინარდ კეინსის თეორიის თანახმად, ეკონომიკური სუბიექტები მიდრეკილნი არიან, შემოსავლების ზრდის პარალელურად, გაზარდონ მოხმარების დონე, მასთან შედარებით ნაკლები მასშტაბით, რაც იწვევს დანაზოგების დონის ზრდას. საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთები ხელს უწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ინვენსტიციების გაზრდას. სწორედ ამგვარი საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებასა და სოციალურ სამართლიანობას.

ამის საპირისპიროდ, დაბეგვრის ნეოკლასიკური თეორიით, სახელმწიფო უნდა ზემოქმედებდეს ეკონომიკაზე მხოლოდ იმ დაბრკოლებების აღმოფხვრის მიზნით, რომლებიც ხელს უშლის თავისუფალი კონკურენციის კანონებს. ნეოკლასიკოსების ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში და მაღალი გადასახადების დაწესება ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, ამიტომ მიზანშეწონილია სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების შემცირება. მეორე ნაწილის აზრით კი, სახელმწიფოს როლი უნდა შეიზღუდოს ფულადი მასის რეგულირებით.

გადასახადების თეორიული საფუძვლების განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ნეოკეინსიანურმა თეორიამ, რომელიც რაციონალურად მიიჩნევს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას. ამ თეორიის მიმდევრების აზრით, საგადასახადო პოლიტიკა ეკონომიკის ანტიკრიზისული რეგულირების მძლავრი ბერკეტია. თუმცა გასული საუკუნის 30-იანი წლების კრიზისმა დაადასტურა, რომ გაზრდილი საგადასახადო შემოსავლები ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს სამომხმარებლო მოთხოვნის კომპენსირებას.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარის, პოლ სამუელსონის კონცეფციით, ოპტიმალურად შეხამებული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა უზრუნველყოფს ეკონომიკის არა მხოლოდ აღმავლობას, არამედ ვარდნით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შერბილებას, რაც ეკონომიკის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მრავალი ნაშრომი შეიქმნა საგადასახადო სისტემების ოპტიმალური ზომისა და უფრო კონკრეტულად, დაბეგვრის პირდაპირ და არაპირდაპირ ფორმებს შორის ინფორმირებული არჩევანის გაკეთების თაობაზე.

ოპტიმალური დაბეგვრის თემაზე შექმნილი თეორიების ამოსავალი წერტილია ცნობილი ატკინსონ-სტიგლიცის (1976) თეორემა. ამ თეორემის მიხედვით, არაპირდაპირ გადასახადებს ეფექტური დაბეგვრის სისტემის ჩამოყალიბებაში მეორეხარისხოვანი როლი უკავია, თუმცა არსებობს სხვადასხვა გარემოებები, რომელთა შედეგადაც პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების კონკრეტული თანაფარდობით არსებობამ შეიძლება დადებითად იმოქმედოს საგადასახადო სტრუქტურაზე.

ურბან-ბრუკინგის საგადასახადო პოლიტიკის ცენტრს (TPC) შემუშავებული აქვს ეკონომიკური მოდელი, საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებების გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტების გასაანალიზებლად. ამ მოდელში მოცემული განტოლებები დაფუძნებულია ემპირიულ ანალიზზე, რომელიც განსაზღვრავს საგადასახადო პოლიტიკის გავლენას სამუშაო ძალის მიწოდებაზე, დანაზოგებსა და ინვესტიციებზე. დინამიკური ანალიზის შედეგად შესაძლებელია პოლიტიკის ცვლილებების გავლენის შეფასება ბიუჯეტზე.

საგადასახადო პრაქტიკით დასტურდება, რომ დაზოგვის მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკა ყველაზე ეფექტურია. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის რეგულირების მიზნით, საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საგადასახადო ტვირთის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ოპტიმალური გადანაწილება. ამასთან, სასურველია მაქსიმალურად შემსუბუქდეს მწარმოებლების საგადასახადო ტვირთი.

საქართველოს საგადასახადო სისტემა სრულყოფილისგან შორსაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი სრულყოფის საკითხი მეტად აქტუალურია. სახელმწიფოს სჭირდება დაბეგვრის მეცნიერული თეორიების გათვალისწინებით შექმნილი საგადასახადო სისტემის არსებობა.

საქართველოში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე. წარმოების საშუალებებსა და წარმოებულ პროდუქციაზე სახელმწიფო საკუთრების პირობებში, ქვეყანაში საგადასახადო

სისტემა ფაქტობრივად არ არსებობდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში შესაძლებელი გახდა გადასახადების გამოყენება ეკონომიკის რეგულირებისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ყოველწლიურად საგადასახადო შემოსავლებზე მოდის, რის გამოც საგადასახადო პოლიტიკის სწორად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო პროცესში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს „საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, გადასახადის გადამხდელის სამართლებრივ მდგომარეობას, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს“ (საქართველოს პარლამენტი 2010).

საქართველოში საგადასახადო კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახური.

თანამედროვე საგადასახადო სისტემას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 1991-1992 წლებში, მისი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში და შემდგომ წლებში რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად რესურსების მოზიდვის მიზნით აუცილებელი იყო შესაბამისი მექანიზმის შემუშავება. 1990-იან წლებამდე ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობდა საგადასახადო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების გამოცდილება და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. შესაბამისად, ქვეყნის საგადასახადო სისტემა დაეფუძნა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას.

სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც იმ დროისათვის საქართველოში არსებობდა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე. ეკონომისტები, რომლებიც მუშაობდნენ საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებაზე, არ ეყრდნობოდნენ საგადასახადო თეორიებს. წარმოების მკვეთრმა დაცემამ შეამცირა დასაბეგრი ბაზა. 1992–1997 წლებში გაიზარდა საგადასახადო ტვირთი, რამაც გააუარესა მეწარმეთა ფინანსური მდგომარეობა. ამ პერიოდში წარმოიშვა გადასახადების ადმინისტრირების, მათი ამოღების პრობლემები. საგადასახადო ტვირთი არათანაბრად ნაწილდებოდა. მეწარმეები



ცდილობდნენ კანონსაწინააღმდეგო ფორმით თავი აერიდებინათ გადასახადებისათვის.

1993 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“, რომელიც ქვეყნის საგადასახადო სისტემის ფუნქციონირების საფუძველი გახდა. ეს კანონი მოქმედებდა 1997 წლის პირველი საგადასახადო კოდექსის მიღებამდე.

1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი ეფუძნებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შემოთავაზებულ საგადასახადო სისტემის მოდელს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. იგი ხასიათდებოდა გადასახადების სიმრავლითა და მაღალი საგადასახადო განაკვეთებით, რამაც შეაფერხა ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემოს განვითარება. აღნიშნულ პერიოდში საგადასახადო სისტემაში არსებული კორუფცია ხელს უშლიდა საგადასახადო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას და შესაბამისად, ბიუჯეტის შესრულებას, რამაც განაპირობა ახალი საგადასახადო კანონმდებლობის შექმნა.

1990–იანი წლების საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკის ანალიზმა გამოავლინა მისი ნაკლოვანებები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენდა სამეწარმეო საქმიანობაზე. შემდგომში პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საქართველოში საგადასახადო სისტემის წარმატებული ფუნქციონირებისათვის შედარებით ლოიალური საგადასახადო რეჟიმია ხელსაყრელი.

2004 წლიდან ამოქმედდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობა - მოხდა საბიუჯეტო კალენდრის დეტალიზაცია, ახლებურად განისაზღვრა ბიუჯეტის ანგარიშგების წესები და საჭირო გახდა ფინანსთა სამინისტროს მიერ კვარტალური ანგარიშების მომზადება, ბიუჯეტში აისახა ყველა მხარჯავი დაწესებულების შემოსულობები. ამავე წელს გაუმჯობესდა საგადასახადო შემოსავლების მობილიზება და მნიშვნელოვნად შემცირდა კონტრაბანდა. ამასთან, მნიშვნელოვნად ამაღლდა როგორც გადამხდელი იურიდიული პირების, ასევე, ფიზიკური პირების ნდობის ხარისხი ხელისუფლებისადმი.

2004 წლიდან ეკონომიკის ფისკალური სტიმულირებისა და განვითარების კუთხით ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა. ამავე წლის ბოლოს

პარლამენტმა მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა - შემცირდა გადასახადების რაოდენობა და საგადასახადო განაკვეთები.

პირველი საგადასახადო კოდექსით დაწესებული იყო 13 საერთო-სახელმწიფოებრივი და 6 ადგილობრივი გადასახადი, ხოლო ახალი კოდექსით მათი რაოდენობა შემცირდა 5 საერთო-სახელმწიფოებრივ და 1 ადგილობრივ გადასახადამდე. გარდა ამისა, საგადასახადო განაკვეთების შემცირების გზით მნიშვნელოვნად შეიცვალა გადასახადების გადამხდელთა საგადასახადო ტვირთი. საგადასახადო ტვირთის შემცირებასთან ერთად, გაუმჯობესდა გადამხდელთა მომსახურების სერვისი, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზება, დაიხვეწა ადმინისტრირების მექანიზმი. შედეგად, ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემა გახდა ლიბერალური, დაჩქარდა ეკონომიკური ზრდა. ამასთან, 1997 წლის საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი იყო პროგრესული, თუმცა ამ პერიოდში ქვეყნის საგადასახადო სისტემა ვერ უზრუნველყოფდა გადასახადების სათანადოდ ამოღებას. აღნიშნული საგადასახადო სისტემა 2004 წელს შეიცვალა პროპორციული სისტემით.

2005 წლამდე საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი დამოკიდებული იყო ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლის ოდენობაზე: პირის 200 ლარამდე შემოსავალი იბეგრებოდა 12%-იანი განაკვეთით, 201-დან 350 ლარამდე - 15%-იანი განაკვეთით, 351-დან 600 ლარამდე - 17%-იანი განაკვეთით, ხოლო 600 ლარს ზემოთ - 20%-იანი განაკვეთით.

2005 წელს გაუქმდა სოციალური გადასახადი, ხოლო საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი რამდენჯერმე შეიცვალა და ჯერ 12%, შემდეგ - 25%, ბოლოს კი - 20% გახდა. რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს, მისი განაკვეთი შემცირდა 20%-დან 18%-მდე, მოგების გადასახადისა კი - 20%-დან 15%-მდე.

ცვლილებების გატარების პირველივე წელს საგადასახადო შემოსავლებმა 2 289.0 მლნ ლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით, საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 26.4%-ით გაიზარდა, ხოლო მშპ-ში მისი წილი 19.7% იყო. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში ამოღებული შემოსავლების ოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 8.2%-ით, მოგების გადასახადის - 30.1%-ით, დღგ

- 57.2%-ით, აქციზის - 40.0%-ით, ხოლო საბაჟო გადასახადის - 23.2%-ით (საქართველოს მთავრობა 2006).

2010 წელს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები საგადასახადო სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. 2011 წლიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიზანი იყო საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და რეალობის გათვალისწინებით არსებული სისტემის ოპტიმიზაცია, უნიფიცირებული დოკუმენტის შექმნა, რომელშიც გაწერილი იქნებოდა გადასახადის გადამხდელის საქმიანობის მარეგულირებელი ყველა საგადასახადო პროცედურა, მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვა.

2011 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებმა 6 134.8 მლნ ლარი შეადგინა. საგადასახადო შემოსავლები წინა წელთან შედარებით 26%-ით გაიზარდა, ხოლო მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 25.3% გახდა. ამასთან, წინა წელთან შედარებით საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 29.0%-ით, მოგების გადასახადი - 44.5%-ით, დღგ - 26.4%-ით, აქციზი - 9.7%-ით, ქონების გადასახადი - 14.9%-ით (საქართველოს მთავრობა 2012). აღნიშნული ანალიზის შედეგები ცხადჰყოფს, რომ მნიშვნელოვანია საგადასახადო განაკვეთების ლიბერალიზაცია შედგომშიც გაგრძელდეს.

2016 წლიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განსახორციელებლად შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, გაუმჯობესდა საგადასახადო ორგანოების მიერ გადასახადების ამოღების პროცესის ადმინისტრირება, გაიზარდა საგადასახადო დავის ორგანოთა თავისუფლების დონე, მოხდა ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობასთან ჰარმონიზება, აგრეთვე, გაძლიერდა გადასახადების ეფექტიანი შეგროვებისა და კონტროლის შესაძლებლობები.

თანამედროვე პირობებში საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიზანს საბიუჯეტო შემოსულობების რაციონალური გადანაწილების მექანიზმის შემუშავება წარმოადგენს. ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას სჭირდება იმგვარი საგადასახადო სტრატეგიის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას, ეროვნული წარმოების სტიმულირებას, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობასა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას.

2018 წლის ბოლოს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანამდე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის ხდებოდა გათანაბრებითი ტრანსფერის გამოყოფა, რომლის მიზანი იყო მუნიციპალიტეტების ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება. მიღებულ ტრანსფერს მუნიციპალიტეტი იყენებდა თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, საკუთარი შეხედულების მიხედვით. ხოლო მისი გაანგარიშების წესი დადგენილი იყო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათანაბრებითი ტრანსფერი მიეკუთვნებოდა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს.

მუნიციპალიტეტების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და მათი ფინანსების უკეთ პროგნოზირების მიზნით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისად, 2019 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერის სისტემა შეცვალა განაწილებული დღგ-ის სისტემამ და აღნიშნული საგადასახადო შემოსავლების 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებზე, რაც დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საგადასახადო შემოსავლების განაწილება საქართველოს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ხდება N2.2.1 ცხრილში მოცემული პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.

ცხრილი N2.2.1. საგადასახადო შემოსავლების განაწილება საქართველოს სახელმწიფო, რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის:

შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები
საშემოსავლო გადასახადი			

შემოსულობების დასახელება	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი	ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტები
გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადისა	100		
ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაბეგრი ობიექტების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		100	
მოგების გადასახადი	100		
ქონების გადასახადი			100
დღგ	81		19
აქციზი	100		
იმპორტი	100		

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 2009. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=56>

ცხრილში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის ნაწილი მიემართება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში, ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური მდგომარეობის გამოთანაბრების კარგი საშუალებაა.

მოქმედი საბიუჯეტო კოდექსით, მუნიციპალიტეტებისათვის დღგ-ის განაწილება ხდება „მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის, 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის, მუნიციპალიტეტის ფართობისა და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით, კერძოდ, მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის:

- 60% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით;
- 15% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის მიხედვით;
- 10% ნაწილდება მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის მიხედვით;
- 5% ნაწილდება მუნიციპალიტეტის ფართობის მიხედვით;
- 10% ნაწილდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით“ (საქართველოს პარლამენტი 2009).

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის მომზადებისას, ფინანსთა სამინისტრო თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი დღგ-ის წილის (%-ში) განსაზღვრის მიზნით, ხელმძღვანელობს ზემოთ მოცემული წესით. აღნიშნული წესის დანერგვის შედეგად გათვალისწინებულია თითოეული მუნიციპალიტეტის მახასიათებლები, მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების სათანადოდ შესრულების ფინანსურად უზრუნველსაყოფად. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამჟამად მოქმედი წესის მიხედვით, მუნიციპალიტეტი დამატებული ღირებულების გადასახადის კუთვნილ წილს, კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერის სახით იღებს და მისი მოცულობა დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყანაში ეკონომიკური

განვითარების ტემპებზე და არა კონკრეტულ მუნიციპალიტეტში ეკონომიკურ აქტივობაზე. შესაბამისად ამ სახით მიღებული შემოსავლები არ არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტში რეალურად შეგროვებულ დღგ-სთან.

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის კუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილების შემდეგი წესი - შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა გასულ წელთან შედარებით შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს 25%-ისა.

მისაღები დღგ-ის პროცენტული მაჩვენებელი განისაზღვრება წლიური ბიუჯეტის კანონში მოცემული ცხრილის მიხედვით.

ქვემოთ წარმოდგენილია ფაქტიური მონაცემები 2022 წელს დამატებული ღირებულების გადასახადის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ.

ცხრილი N2.2.2. დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის, 2022 წელი:

მუნიციპალიტეტების დასახელება	დღგ - 2022 წლის ფაქტი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	612 439.5
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	52 676.9
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	18 975.0
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	13 027.6
ქედის მუნიციპალიტეტი	12 461.2
შუახევის მუნიციპალიტეტი	566.4
ხულოს მუნიციპალიტეტი	4 389.7
ახმეტის მუნიციპალიტეტი	13 452.4
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	17 559.0
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	2 832.1
თელავის მუნიციპალიტეტი	20 107.8
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	14 726.9
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	16 001.3
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	7 646.6

მუნიციპალიტეტების დასახელება	დღგ - 2022 წლის ფაქტი
ყვარელის მუნიციპალიტეტი	8 354.7
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	49 278.4
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	15 293.3
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	7 363.4
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	16 001.3
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	7 929.9
ვანის მუნიციპალიტეტი	8 213.1
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	17 842.2
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	11 470.0
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	14 302.1
საჩხერის მუნიციპალიტეტი	17 134.1
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	7 646.6
ხონის მუნიციპალიტეტი	7 929.9
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	6 938.6
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	34 268.3
აბაშის მუნიციპალიტეტი	7 221.8
მარტვილის მუნიციპალიტეტი	11 470.0
მესტიის მუნიციპალიტეტი	6 797.0
სენაკის მუნიციპალიტეტი	13 027.6
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	7 788.2
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	8 921.1
ხობის მუნიციპალიტეტი	6 655.4
გორის მუნიციპალიტეტი	48 003.9
ქარელის მუნიციპალიტეტი	14 868.5
კასპის მუნიციპალიტეტი	11 611.6
ხაშურის მუნიციპალიტეტი	18 691.8
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	42 198.1



მუნიციპალიტეტების დასახელება	დღგ - 2022 წლის ფაქტი
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	1 840.9
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	3 823.3
დმანისის მუნიციპალიტეტი	10 053.9
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	10 195.5
მარნეულის მუნიციპალიტეტი	23 648.0
წალკის მუნიციპალიტეტი	2 832.1
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	10 478.7
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	20 532.7
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	6 089.0
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	1 982.5
ადიგენის მუნიციპალიტეტი	8 779.5
ასპინძის მუნიციპალიტეტი	1 416.0
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	1 274.4
ახალციხის მუნიციპალიტეტი	17 559.0
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	5 664.2
დუშეთის მუნიციპალიტეტი	9 770.7
თიანეთის მუნიციპალიტეტი	8 071.5
მცხეთის მუნიციპალიტეტი	8 354.7
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	141.6
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	9 345.9
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	5 381.0
ონის მუნიციპალიტეტი	6 230.6
ცაგერის მუნიციპალიტეტი	8 496.3

წყარო: საქართველოს მთავრობა. 2023. საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. <https://www.mof.ge/5529>

აღსანიშნავია, 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში დღგ-ის სახით მობილიზებული იქნა 4 883.9 მლნ ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტებში ჯამურად - 1 145.6 მლნ ლარი. რაც შეეხება 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით

გათვალისწინებულ დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმურ მაჩვენებელს, იგი 5 826.3 მლნ ლარს შეადგენს (საქართველოს პარლამენტი 2021), მუნიციპალიტეტებში კი გეგმით გათვალისწინებულია 1 127.7 მლნ ლარის ოდენობით დამატებული ღირებულების გადასახადი.

მსოფლიოში მრავალი სახის საგადასახადო სისტემა მოქმედებს. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ქვეყნისთვის გამოსადეგი უნიკალური დაბეგვრის სისტემა არცერთ ქვეყანას არ აქვს, თუმცა, მოგების გადასახადის რეფორმის გატარებამდე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგების თანახმად, ერთ-ერთ ყველაზე ოპტიმალურ სისტემად ესტონური მოდელი განიხილებოდა, რომლის გარკვეული ელემენტების ინტეგრირება ქართულ საგადასახადო მოდელშიც განხორციელდა.

2017 წლიდან საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადის ესტონური მოდელი შევიდა ძალაში, რომელიც გულისხმობდა რეინვესტირებული მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას. საკანონმდებლო სიახლის მიზანი იყო ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების გზით, ასევე, ეკონომიკური სისტემის კრიზისული პერიოდებისადმი მდგრადობის შენარჩუნება. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილება საყურადღებო იყო, ვინაიდან მისი ამოქმედებისთანავე ქვეყანა გამოწვევების წინაშე შეიძლება დამდგარიყო, თუმცა გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელი იყო საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ყველაზე საიმედო ინდიკატორია, შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, განეხორციელებინა საგადასახადო რეფორმა მშპ-ის ზრდის ტემპის დასაჩქარებლად, მეტად დროული იყო.

განაწილებული მოგების გადასახადის შემოღების გარდა, გაუქმდა დამატებული ღირებულების გადასახადი ძირითადი საშუალებების იმპორტზე, გამარტივდა მისი ადმინისტრირებაც. საფინანსო სექტორში განაწილებული მოგების გადასახადით დაბეგვრა 2019 წლიდან დაიწყო.

მოგების გადასახადის ესტონური მოდელის მიხედვით, გადასახადის გადამხდელი არ იხდის მოგების გადასახადს რეინვესტირებულ მოგებაზე ან გაწეულ ისეთ ხარჯზე, რომელიც არ უკავშირდება მის ეკონომიკურ საქმიანობას.

გაუნაწილებელი მოგება სრულად გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან, ხოლო საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მხოლოდ ის თანხა, რომელიც დივიდენდის სახით გადის კომპანიიდან. ასევე, ესტონური საგადასახადო მოდელის პირობებში არსებობს დანაზოგებისა და ინვესტიციებისადმი თანაბარმნიშვნელოვანი მიდგომა.

ამრიგად, საგადასახადო რეფორმის მთავარი მიზანი იყო საგადასახადო კანონმდებლობისა შემდგომი ლიბერალიზაცია, ინვესტიციების მოსაზიდად, ბიზნესის მხარდასაჭერად და დასაქმების დონის გასაზრდელად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანით საინვესტიციო გარემო კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა. აღნიშნულმა გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ქვეყანაში, ფინანსური რესურსები უფრო ხელმისაწვდომი გახდა ბიზნეს სექტორისთვის, განსაკუთრებით კი - მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.

2017 წლიდან შეიცვალა მოგების გადასახადის დაანგარიშების ტექნიკა, რომლითაც საგადასახადო ბაზა იზრდება დასაბეგრი მოგების 0.85-ზე გაყოფით და შემდეგ ხდება გადასახადის თანხის დაანგარიშება, რაც ფარულად ზრდის გადასახდელ თანხას.

აღნიშნული მოდელის მიხედვით, რეინვესტირებული მოგება აღარ იბეგრება მოგების გადასახადით. რეინვესტირებული სახსრების ზრდის შედეგად ბიზნესი გრძელვადიან პერიოდში მეტ მოგებას მიიღებს. შესაბამისად, მას მოუწევს 15%-ის გადახდა გაზრდილი მოგებიდან, რაც დადებითად აისახება საბიუჯეტო შემოსავლების ზრდასა და ქვეყნის განვითარებაზე.

აღსანიშნავია, რომ მთავრობამ საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებით გამოწვეული საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვა გადაწყვიტა არა საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებით, არამედ აქციზის გადასახადის ზრდითა და ვალის აღებით. გადასახადების ზრდა ამცირებს მოხმარებას, როგორც მშპ-ის კომპონენტს და შესაბამისად, აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. მეორე მხრივ, ვალის ზრდა უარყოფითად აისახება ქვეყნის ფისკალურ მდგრადობაზე.

თუმცა, მოკლევადიან პერიოდში ახალი საგადასახადო მოდელი მოგების გადასახადის სახით მიღებულ საბიუჯეტო შემოსავლებს ამცირებს. მართლაც,

ესტონურ მოდელზე გადასვლის შემდგომ მოგების გადასახადიდან მიღებული შემოსავლები 2016 წელთან შედარებით შემცირდა, რაც დასტურდება ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებით.

ცხრილი N2.2.3. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი საგადასახადო შემოსავლები, მოგების გადასახადი და მისი წილი შემოსავლებში (%) 2011-2021 წლებში:

წელი	საგადასახადო შემოსავლები (მლნ ლარი)	მოგების გადასახადი (მლნ ლარი)	მოგების გადასახადის წილი საბიუჯეტო შემოსავლებში (%)
2010	4 867.5	575.9	11.8
2011	6 134.8	832.2	13.6
2012	6 671.0	851.0	12.8
2013	6 659.3	806.5	12.1
2014	7 241.6	828.8	11.4
2015	8 010.9	1025.2	12.8
2016	8 786.1	1055.9	12.0
2017	9 778.9	756.6	7.7
2018	10 506.3	736.6	7.0
2019	11 417.8	866.3	7.6
2020	10 964.4	919.4	8.4
2021	13 380.0	1 015.3	7.6

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

როგორც N2.2.3 ცხრილიდან ჩანს, მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში შესული თანხის ოდენობამ საგადასახადო რეფორმის შემდგომ წლებში საგრძნობლად იკლო, თუმცა ამჟამად ზრდის ტენდენციით ხასიათდება. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში მოგების გადასახადის წილი ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში საშუალოდ 10.4%-ს შეადგენდა. 2017 წელს მოგების გადასახადი წინა წელთან შედარებით 28.3%-ით შემცირდა, ხოლო მისი წილი საგადასახადო შემოსავლებში 7.7%-ს გაუტოლდა. მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში შემოსული

თანხები 2018 წელსაც შემცირდა, ხოლო 2019-2021 წლებში ზრდა დაიწყო და შესაბამისად, 866.3 მლნ ლარი, 919.4 მლნ ლარი და 1 015.3 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნული ტენდენცია დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანიდან ხუთი წლის შემდეგ არსებული სტატისტიკური მონაცემები არასაკმარისია იმის დასადგენად, თუ რამდენად სრულდება რეფორმის ძირითადი მიზნები. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია მიღწეული შუალედური შედეგების შეფასება და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ხელს შეუწყობს კანონმდებლების მიერ დასახული მიზნების განხორციელებას.

წინასწარი გაანგარიშებით, მოგების გადასახადის რეფორმა დანერგვის პირველ ეტაპზე საგადასახადო შემოსავლების შემცირებას გამოიწვევდა, რასაც ადასტურებს შემდგომი ორი წლის სტატისტიკური მონაცემები საგადასახადო შემოსავლების შესახებ. თუმცა რეფორმის წარმატების შესაფასებლად და თვალსაჩინო შედეგების მისაღებად რამდენიმე წელია საჭირო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ბიზნესსექტორში დარჩენილი ფულადი რესურსების ინვესტირება მოხდა ეკონომიკაში, რაც რეფორმის მთავარი მიზანი იყო. შედეგად, მოკლევადიან პერიოდში გარკვეული პროგრესი სახეზეა. რეინვესტირების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა. 2017 წელს რეინვესტირებული შემოსავლების ხვედრითი წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2016 წელთან შედარებით გაიზარდა 31%-მდე და მისი მოცულობა 616.5 მლნ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ტენდენცია შეინიშნებოდა 2018-2021 წლებშიც. რეინვესტირებული შემოსავლების ხვედრითი წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, შესაბამისად, შეადგენდა: 2018 წელს - 32%-ს, 2019 წელს - 47%-ს, 2020 წელს - 85%-ს, ხოლო 2021 წელს - 62%-ს (საქართველოს ეროვნული ბანკი 2022).

რეფორმის შედეგად საბიუჯეტო შემოსავლების კლების კომპენსირება ნაწილობრივ მოხდა სხვა გადასახადების გაზრდის გზით, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N2.2.4. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):

წელი	საგადასახადო შემოსავლები	საშემოსავლო გადასახადი	მოგების გადასახადი	დღგ	აქციზი	იმპორტის გადასახადი	ქონების გადასახადი
2011	6134.8	1551.0	832.2	2784.3	615.2	93.2	220.4
2012	6671.0	1764.8	851.0	3040.3	659.6	90.1	230.0
2013	6659.3	1934.3	806.5	2847.9	722.2	89.4	230.9
2014	7241.6	1938.8	828.8	3298.5	810.2	94.9	245.9
2015	8010.9	2223.2	1025.2	3505.5	870.7	69.3	290.1
2016	8786.1	2414.1	1055.9	3286.4	1069.7	70.0	363.4
2017	9778.9	2918.9	756.6	4122.6	1450.9	71.6	394.7
2018	10506.3	3247.1	736.6	4426.9	1465.7	73.4	441.2
2019	11417.8	3482.8	866.3	5239.0	1506.7	79.1	474.3
2020	10964.4	3326.7	919.4	4837.2	1619.4	74.4	433.7
2021	13380.0	3775.7	1015.3	6029.5	1868.8	86.4	510.7

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ 2011-2021 წლებში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უჭირავს არაპირდაპირ გადასახადებს, მათ შორის, დღგ 2021 წელს შეადგენდა 6 029.5 მლნ ლარს, ხოლო აქციზი - 1 868.8 მლნ ლარს.


მიუხედავად 2017 წელს განხორციელებული მოგების გადასახადის რეფორმისა და მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში ამოღებული შემოსავლების შემცირებისა, საერთო ჯამში 2017 წელს დაფიქსირდა საგადასახადო შემოსავლების 11.3%-იანი ზრდა. საგადასახადო შემოსავლების ზრდა, ბუნებრივია, უკავშირდება ეკონომიკურ აღმავლობას, რომლის დროსაც იზრდება ეკონომიკური აგენტების განკარგვადი შემოსავლები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წელს მკვეთრად გაიზარდა აქციზის, დღგ-ისა და საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, მათ შორის, დაახლოებით 35.6%-ით გაიზარდა აქციზის გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები.

საგადასახადო შემოსავლები ყოველწლიურად იზრდებოდა, გამონაკლისს მხოლოდ 2020 წელი წარმოადგენს, როდესაც პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური

ვარდნის გამო საგადასახადო შემოსავლები 4%-ით შემცირდა. 2021 წლის ბოლოს ჯამურმა საგადასახადო შემოსავლებმა 13 380.0 მლნ ლარი შეადგინა.

გრაფიკი N2.2.1. ნაერთი ბიუჯეტის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ

ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ 2011-2021 წლებში საგადასახადო შემოსავლებში მნიშვნელოვნად ჭარბობს არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი. საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სწორედ პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის რაციონალური თანაფარდობის მიღწევა.

პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის თანაფარდობა შედარებით დიდია განვითარებულ ქვეყნებში, რაც ძირითადად დამოკიდებულია სოციალური უზრუნველყოფის შენატანების ფარდობითი მნიშვნელობის ზრდაზე.

2020 წელს შემოსავლების სამსახურმა ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სირთულეების დაძლევის მიზნით, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმის განხორციელების ფარგლებში, გაატარა საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების ღონისძიებები. გადავადდა საშემოსავლო და

ქონების გადასახადები, ჯამში - 219.8 მლნ ლარის ოდენობით (სსიპ - შემოსავლების სამსახური 2021).

2021 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპთან ერთად გაიზარდა გადასახადების ფაქტიური მობილიზების მაჩვენებელი, შესაბამისად, დაკორექტირდა ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი და 13 271.0 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტიურად მიღებული საგადასახადო შემოსავლები 13 380.0 მლნ ლარს გაუტოლდა.


2021 წელს შემოსავლების სამსახურში დაინერგა ახალი პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ დაბეგვრის პროცესში გადასახადის გადამხდელთა საქმიანობის მიმდინარე კონტროლს, საჭიროების შემთხვევაში მათი ადრეულ ეტაპზე ინფორმირების მიზნით. პროგრამებით, ასევე, გათვალისწინებულია დეკლარაციების დროულად წარმოდგენის ხელშეწყობა და მათი სისწორის კონტროლი. გარდა ამისა, ზედმეტად გადახდილი დღგ-ის დაბრუნების პროცესი გახდა სრულად ავტომატიზებული და 2020 წელს მისი გამოყენებით დაბრუნდა 1 მლრდ ლარზე მეტი.

დღგ-ის რეფორმის შედეგად საგადასახადო კოდექსში შევიდა შემდეგი ცვლილებები: საქართველოს ფარგლებს გარეთ არ დაიბეგრება მომსახურებების დამატებითი სახეები. ასევე, არ იბეგრება საქონლის დროებითი შემოტანა, სამედიცინო და საგანმანათლებლო საქმიანობა, საქონლის ნიმუშის ან მცირე ღირებულების საჩუქრის გადაცემა. დღგ-ის გადამხდელ ფიზიკურ პირს უფლება ექნება აღრიცხვა აწარმოოს საკასო მეთოდით (სსიპ - შემოსავლების სამსახური 2020).

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების უდიდეს ნაწილს საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს, რომლებიც სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ძირითადი წყაროა.



გრაფიკი N2.2.2. საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში 2011-2021 წლებში (%):




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. გრაფიკი აგებულია ავტორის გაანგარიშებებზე დაყრდნობით

როგორც გრაფიკიდან ჩანს, საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტში საკმაოდ მაღალია და ბოლო წლების განმავლობაში მერყეობდა 81.5%-მდე. საგადასახადო შემოსავლების წილმა მნიშვნელოვნად იკლო 2020 წელს (51.9%), რისი მიზეზიც იყო მსოფლიოში მიმდინარე პანდემია და მისგან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. 2021 წლის ბოლოს საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებში წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 62.3% გახდა.

2020 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის დამატებული ღირებულების გადასახადის მთლიან კარში. საგადასახადო პოლიტიკის აღნიშნული ცვლილებების მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში არაპირდაპირი გადასახადებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი დღგ-ს უჭირავს.

გრაფიკი N2.2.3. ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები და დღგ 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ

2014 წელს მოხდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული დღგ-ის რეგულაციების ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

რეფორმის შედეგად 2021 წლიდან, დღგ-ით უპირატესად იბეგრებიან პირები, რომლებიც ახორციელებენ განმეორებით ეკონომიკურ საქმიანობას დამოუკიდებლად და ორგანიზებულად მოგების მიღების მიზნით.


დღგ საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადია. ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ დღგ-ის სახით ბიუჯეტში ამოღებული თანხები მთლიანი საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილია და საანალიზო პერიოდის განმავლობაში საშუალოდ 43.6%-ს შეადგენდა. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ დღგ-ის განაკვეთი არ შეცვლილა 2004 წლის შემდეგ და შეადგენს დასაბეგრი ოპერაციების 18%-ს. 2021 წელს დამატებული ღირებულების გადასახადის საშუალებით ბიუჯეტში მობილიზებული თანხის ოდენობამ 6 029.5 მლნ ლარი შეადგინა და გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს 1.6%-ით გადააჭარბა. დღგ ქართული ფისკალური პოლიტიკის მძლავრი ინსტრუმენტია და ეკონომიკურ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს.

არაპირდაპირ გადასახადებში სიდიდით მეორე ადგილზეა აქციზის გადასახადი, რომელიც 2021 წელს საგადასახადო შემოსავლების 14.0% იყო და 1 868.8 მლნ ლარს შეადგენდა.

2017 წლის დასაწყისიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა აქციზის გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე, თამბაქოს ნაწარმსა და ნავთობპროდუქტებზე, რის შედეგადაც მთავრობა შემოსავლების ნაწილში მნიშვნელოვან ზრდას ელოდა. თუმცა, ზრდა მხოლოდ ცალკეული საქონლიდან ბიუჯეტში შესული გადასახადების კუთხით დაფიქსირდა, ნაწილზე გადახდილი გადასახადების სიდიდემ კი იკლო, რისი ახსნაც მოხმარების შემცირებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, საგადასახადო პოლიტიკა არა მხოლოდ ბიუჯეტის შევსების, არამედ სოციალური საკითხების დარეგულირებისთვისაც გამოიყენება.

აქციზის გადასახადის ზრდის გამო, გაიზარდა ფასები საქონელსა და მომსახურებაზე და შესაბამისად, ინფლაციის მაჩვენებელიც. აქციზის გადასახადის ზრდა შესაძლოა აღვიქვათ, როგორც ინფლაციის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი. გადასახადების ზრდა იწვევს დანახარჯების ზრდას, რაც ბიზნესს ფასების ზრდისკენ უბიძგებს.


გრაფიკი N2.2.4. ნაერთ ბიუჯეტში აქციზის სახით მიღებული შემოსავლები 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ

იმპორტის გადასახადის სახით ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების მოცულობა 2011-2021 წლებში 69.0-95.0 მლნ ლარის ფარგლებში იცვლებოდა. ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ 2015 წელს იმპორტის გადასახადის სახით ბიუჯეტში ამოღებული შემოსავლები საგრძნობლად შემცირდა და 69.3 მლნ ლარი შეადგინა. აღნიშნულის მიზეზი გახდა იმავე წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვის (13%-ით) და მ.შ. იმპორტის (10%-ით) შემცირება. შემდგომ წლებში აღნიშნული გადასახადის სახით ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების ოდენობა იზრდებოდა და 2021 წლის ბოლოს 86.4 მლნ ლარს გაუტოლდა.

გრაფიკი N2.2.5. ნაერთ ბიუჯეტში იმპორტის გადასახადის სახით მიღებული შემოსავლები 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ


არაპირდაპირი გადასახადები ითვლება სოციალურად არასამართლიანად, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ პროდუქციაზე და მომსახურებაზე ფასნამატს და მომხმარებლებს უწევს პირადი შემოსავლიდან გადახდა.

პირდაპირი გადასახადებიდან სიდიდით პირველ ადგილზეა საშემოსავლო გადასახადი, რომლის ხვედრითი წილი 2021 წელს ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 28.2%-ს, მოგების გადასახადის ხვედრითი წილი კი მხოლოდ 7.6%-ს შეადგენდა.

საშემოსავლო გადასახადს ცენტრალური როლი უკავია საგადასახადო შემოსავლების ფორმირებაში, იგი გავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებაზე და შესაბამისად, მრავალფეროვან ეკონომიკურ საქმიანობაზე. საქართველოში

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20%-ს შეადგენს. საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში ამოღებული გადასახადების დინამიკა დეტალურადაა წარმოდგენილი ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე.

გრაფიკი N2.2.6. საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში ამოღებული გადასახადები 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ გრაფიკიდან ჩანს, რომ 2011 წლის შემდგომ პერიოდში საშემოსავლო გადასახადის სახით ბიუჯეტში შეტანილი თანხის ოდენობა 2.4-ჯერ გაიზარდა და 2021 წელს 3.8 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული უკავშირდება ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდასა და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებას.

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის მიზნით, საყურადღებოა OECD-ის ქვეყნების საგადასახადო სისტემების კვლევისა და საშემოსავლო გადასახადზე უახლესი მონაცემების ანალიზის შედეგები. აღნიშნულის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ამ ქვეყნების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს პროგრესული განაკვეთების გამოყენებას. ამ ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია შემოსავლების ოდენობის მიხედვით. გადასახადი, როგორც წესი, პროგრესულია, როდესაც საგადასახადო განაკვეთი იზრდება შემოსავლების ზრდის პარალელურად. პროგრესული განაკვეთი ხელს უწყობს გადასახადის სოციალური ფუნქციის

შესრულებას. საშემოსავლო გადასახადის ყველაზე მაღალი ზღვრული განაკვეთები ფიქსირდება: ავსტრიაში - 55%, ბელგიაში - 50%, ისრაელში - 50%, სლოვენიაში - 50%, ნიდერლანდებში - 49.5%, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში - 45%. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საშემოსავლო გადასახადის მაღალი განაკვეთები გავლენას ახდენს მუშაობის გადაწყვეტილებებზე და ამცირებს მთავრობების მიერ გადასახადების ამოღების ეფექტურობას. რაც შეეხება პროპორციულ დაბეგვრას, OECD-ის ქვეყნებიდან მას იყენებენ: უნგრეთსა (15%) და ესტონეთში (20%).

ცხრილი N2.2.5. OECD-ის ზოგიერთ ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადის მოქმედი განაკვეთები (%):

ქვეყანა	საშემოსავლო გადასახადი
ავსტრია	20-55%
ბელგია	25-50%
ისრაელი	10-50%
სლოვენია	16-50%
ნიდერლანდები	9.42-49.50%
საფრანგეთი	11-45%
გერმანია	14-45%
დიდი ბრიტანეთი	20-45%

წყარო: OECD-ის ქვეყნების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები.

<https://tradingeconomics.com/country-list/personal-income-tax-rate>

ცხრილიდან ჩანს, რომ საშემოსავლო გადასახადის მოქმედი განაკვეთების ზედა ზღვრები ზემოაღნიშნულ ქვეყნებში საკმაოდ მაღალია და რიგ შემთხვევებში 50%-საც აჭარბებს. ამასთან, ქვეყნებში, სადაც პროპორციული დაბეგვრის სისტემა მოქმედებს, საგადასახადო განაკვეთები 20%-ს არ სცდება, რაც საყურადღებო ფაქტია საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის განმახორციელებელთათვის, შემდგომში საშემოსავლო გადასახადზე განაკვეთის შემცირების კუთხით.

ნაშრომში განხილულია საგადასახადო კოდექსში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებები, მოცემულია მათი პირველადი ანალიზი. ცვლილებების მთავარი

მიზეზია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, საქართველო ვალდებულია, ქვეყნის კანონმდებლობა ეტაპობრივად დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას, მათი ჰარმონიზების მიზნით. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია დღგ-ით დაბეგვრის პოლიტიკის შესაბამისობა ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ დღგ-ის წესებთან.

საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებებით, შეიცვალა საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურების განმარტება. აქტივის გადაყიდვა აღარ იბეგრება დღგ-ით, თუკი მის შესყიდვაზე დღგ არ იყო ჩათვლილი. ეკონომისტები დადებითად აფასებენ 2020 წლიდან საგასახადო კოდექსში შესულ ცვლილებას, რომელიც ეხება სამშენებლო, სადისტრიბუციო, საცალო და საბითუმოდ მოვაჭრე კომპანიების მიერ საკუთარი ძალებით აშენებული შენობების მათსავე ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებას, რაც უმეტეს შემთხვევაში დღგ-ით აღარ იბეგრება. გარდა ამისა, უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი არ დაიბეგრება დღგ-ით, თუ მასზე არ განხორციელებულა დღგ-ის ჩათვლა შესყიდვის დროს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითქმის ყველა სფეროში მომსახურების უსასყიდლო მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ით დაბეგვრისგან, თუ იგი დასაბეგრი პირის საქმიანობის მიზნიდან გამომდინარეობს.

ამასთან, არსებობს უარყოფითი ხასიათის ცვლილებებიც, მაგალითად, 2020 წლიდან იბეგრება რეგულარული და უწყვეტი მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები, რაც შემაფერხებელია დაცვის, საიჯარო და სხვა სახის ბიზნესსფეროებისთვის, რომლებიც ამგვარ მომსახურებას ეწევიან.

მოხდა დაბეგვრის მომენტის ცვლილება, რაც უმეტესად შეეხო ისეთ კომპანიებს, რომლებიც ხანგრძლივი ვადის კონტრაქტებით ხასიათდებიან. აღნიშნული ფაქტი დამამძიმებელია როგორც ფისკალური, ასევე ადმინისტრირების თვალსაზრისით.

ჰარმონიზების კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა “მომსახურების გაწევის ადგილი”-ს მუხლის განსხვავებულად ფორმულირება. ეს მუხლი მნიშვნელოვანია, ვინაიდან როგორც წესი, დამატებული ღირებულების გადასახადით იბეგრება მხოლოდ ის მომსახურება, რომელიც გაწეულია

კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე. შესაბამისად, ევროკავშირის პრინციპების გათვალისწინებით მოხდა ორმაგად დაბეგვრის თავიდან აცილება.

თუ დღე-ით დასაბეგრ ოპერაციაში მონაწილე მხარეებიდან ერთი არარეზიდენტი, ხოლო მეორე რეზიდენტი, მომსახურების გაწევის ადგილის ზუსტად განსაზღვრა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. საგადასახადო კოდექსით, თუ მომსახურების მიმღები დასაბეგრი პირია, მაშინ მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება ის ადგილი, სადაც მომსახურების მიმღები არის დაფუძნებული, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში - მომსახურების გამწევის დაფუძნების ადგილი (საქართველოს პარლამენტი 2010). აღნიშნულის შედეგად, იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს რეზიდენტი მომსახურებას უწევს არარეზიდენტს, შემცირებულია დღე-ით დასაბეგრი ოპერაციების რაოდენობა. ეს წესი არ ეხება საკონსულტაციო, იურიდიულ მომსახურებებს, ასევე, ელექტრონულად გაწეულ მომსახურებას.

2005 წლიდან საქართველოში გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება, მოხდა საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია. აღნიშნულის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, რისთვისაც საგადასახადო კოდექსი ინვესტორებისთვის მნიშვნელოვან შეღავათებს ითვალისწინებდა. ამავე პერიოდიდან დაიწყო ინვესტიციების მოცულობის ზრდა.

2020 წელს წინა წელთან შედარებით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საგრძნობლად (56%-ით) შემცირდა და 589.8 მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2021 წელს - 1 241.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია საგადასახადო ტვირთის ოდენობა, რომლითაც ეკონომიკურ აქტივობაზე გავლენის მოხდენა არის შესაძლებელი.


საგადასახადო ტვირთი წარმოადგენს ჯამური საგადასახადო შემოსავლების ფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან, გამოხატულს პროცენტებში. საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური განაკვეთი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით.

OECD-ის 2008 წლის კვლევის თანახმად, რომელიც შეისწავლიდა საგადასახადო შეღავათების გავლენას ინვესტიციებზე, თუ ქვეყანაში



საგადასახადო ტვირთი 30%-ს აღემატება, მახინჯდება ბუნებრივი ეკონომიკური სტიმულები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგადასახადო ტვირთის ზომა ოპტიმალურ საზღვრებშია.

გრაფიკი N2.2.7. საგადასახადო ტვირთი საქართველოსა და OECD-ის ქვეყნებში 2010-2020 წლებში:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>; OECD.Stat.

[https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=RS\\_GBL](https://stats.oecd.org/Index.aspx?DataSetCode=RS_GBL). გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ

საგადასახადო ტვირთის სიდიდე საქართველოში ბოლო ათი წლის განმავლობაში 22.2-25.5%-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც საშუალო მაჩვენებელია. OECD-ის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი იმავე პერიოდში იცვლებოდა საშუალოდ 31.6%-დან 33.6%-მდე.

ეკონომიკის რეცესიის პირობებში მთავრობას შეუძლია გადასახადების შემცირების გზით, დაუტოვოს ეკონომიკურ აგენტებს მეტი ფინანსური რესურსი განკარგულებაში მოხმარებისა თუ ინვესტირებისათვის და ხელი შეუწყოს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას. ამგვარი ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობს ეკონომიკის გაჯანსაღებას.

### 2.3. საბიუჯეტო ასიგნებების განაწილების ძირითადი ასპექტები

სახელმწიფოს ფუნქციების შეუფერხებლად შესრულების მიზნით, მხარჯავი დაწესებულებები წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული პროგრამების ასიგნებებს შორის თანხების გადანაწილებას ახორციელებენ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული წესით. „ასიგნება საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება“ (საქართველოს პარლამენტი 2009).

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მიზანს წარმოადგენს მობილიზებული ფინანსური რესურსების გადანაწილება სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად. ამ მიზნით განისაზღვრება: გადასახდელების მთლიანი მაჩვენებელი და მისი სტრუქტურა, შემოსულობების მიზნობრივი მაჩვენებელი, სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობები სახეების მიხედვით.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, „რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტი 2009), განსაზღვრავს დასაგეგმი და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის დასაქმებულთა და ასიგნებებისა ზღვრულ მოცულობებსაც.

„საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებასა და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსულობების მობილიზებაზე“ (საქართველოს პარლამენტი 2009). საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი N 2.3.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):

წელი	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
2011	7 569.7	7 459.3	98.5
2012	8 091.5	7 806.8	96.5
2013	8 748.5	8 104.2	92.6
2014	9 080.0	9 009.8	99.2
2015	9 620.0	9 703.1	100.9

წელი	გეგმა	ფაქტი	შესრულების %
2016	10 298.0	10 292.2	99.9
2017	11 720.5	11 764.8	100.4
2018	12 491.1	12 590.2	100.8
2019	13 313.1	13 469.7	101.2
2020	15 923.8	16 174.6	101.6
2021	19 796.1	19 807.5	100.1

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ


ცხრილიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 2011 წლიდან ყოველწლიურად იზრდებოდა და 2021 წელს 19.8 მლრდ ლარი შეადგინა. ამავე წლებში მაღალი იყო, ასევე, ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებელიც.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს, გლობალური პანდემიიდან გამომდინარე, პარლამენტმა კრიზისის აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსების აუცილებლობიდან გამომდინარე, განაახლა ფისკალური პარამეტრები. შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები 1.5 მლრდ ლარით გაიზარდა და 15.9 მლრდ ლარით განისაზღვრა. დამატებითი ხარჯების დასაფინანსებლად შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე (199.6 მლნ ლარით) და კაპიტალური ხარჯები (347.5 მლნ ლარით).

ეკონომიკური ზრდის ტემპის გათვალისწინებით, მომდევნო წელს პარლამენტმა ორჯერ შეიტანა ცვლილება 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში. გადასახდელები გაიზარდა 1 412 მლნ ლარით და 19 796 მლნ ლარს გაუტოლდა. ამავე პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 19 808 მლნ ლარი. მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 14 232 მლნ ლარით, საკასო ხარჯმა კი 14 198 მლნ ლარი შეადგინა. 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის კანონით განსაზღვრული მოცულობა 2 526 მლნ ლარი იყო, საკასო შესრულებამ კი 2 544 მლნ ლარი შეადგინა. 2021 წლის მონაცემებით, არაფინანსური აქტივების ზრდის მიზნით, ასიგნებების 12.8% გამოიყო.

დიაგრამა N2.3.1. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების სტრუქტურა 2021 წელს

(%)



წყარო: საქართველოს მთავრობა. 2022. საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. <https://www.mof.ge/5429>

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N2.3.2. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ფუნქციონალურ ჭრილში (მლნ ლარი):

დასახელება	წლიური ასიგნება	გადახდა	შესრულების %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 049.2	1 997.3	97.5
თავდაცვა	1 033.1	1 025.4	99.3
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1 371.3	1 366.7	99.7
ეკონომიკური საქმიანობა	2 815.7	2 868.1	101.9
გარემოს დაცვა	108.9	116.0	106.5


დასახელება	წლიური ასიგნება	გადახდა	შესრულების %
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	283.8	266.5	93.9
ჯანმრთელობის დაცვა	2 533.8	2 526.5	99.7
დასვენება, კულტურა და რელიგია	394.4	396.3	100.5
განათლება	1 731.0	1 740.8	100.6
სოციალური დაცვა	4 434.7	4 438.5	100.1

წყარო: საქართველოს მთავრობა. 2022. საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. <https://www.mof.ge/5429>

საბიუჯეტო რესურსების ოპტიმალურად გადანაწილება ეკონომიკის ცალკეულ დარგებს შორის საბიუჯეტო პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. შეზღუდული ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, სახელმწიფო განსაზღვრავს პრიორიტეტებს, შემდგომ კი მათ მიხედვით ანაწილებს საბიუჯეტო შემოსავლებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ 2021 წელს მთავრობის მთავარი პრიორიტეტები ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროები იყო, ხოლო მათზე გამოყოფილი ფინანსური რესურსები მთლიანი ასიგნებების 42%-ს შეადგენდა.

დიაგრამა N2.3.2. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში, 2021 წელი (%):



წყარო: საქართველოს მთავრობა. 2022. საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. <https://www.mof.ge/5429>

საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ზრდის პარალელურად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მთავრობის მიერ სახსრების მიზნობრივად ხარჯვა. როგორც ცნობილია, საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს საბიუჯეტო ხარჯები წარმოადგენს. არაერთი სამეცნიერო წყაროს მიხედვით, მთავრობის დანახარჯების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე აქტიური ინტერესის საგანია. საქართველოში აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგები კვლევითი პროექტის ამავე თავშია მოცემული.

ეკონომიკის სხვადასხვა სფეროზე ბიუჯეტიდან მიმართული გადასახდელების ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შესწავლის პროცესში, მნიშვნელოვანი ელემენტია მათი ცვლილების დინამიკა. ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკის ზოგიერთ სფეროზე გაწეული გადასახდელების შესახებ.

ცხრილი N2.3.3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკის ცალკეულ სფეროებზე მიმართული გადასახდელები 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):

წელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2011	834.6	552.5	1 666.0	173.8
2012	655.1	626.8	1 793.9	191.5
2013	798.6	675.9	2 126.5	97.9
2014	905.0	741.1	2 642.8	88.4
2015	898.4	824.7	2 906.2	123.8
2016	971.8	948.3	3 265.2	142.1
2017	1 355.2	1 103.6	3 446.9	482.5
2018	1 661.7	1 199.8	3 555.0	227.5
2019	2 121.2	1 650.1	4 055.4	260.4
2020	2 202.4	1 551.2	5 631.1	759.4

წელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2021	2 513.6	1 882.7	6 466.1	621.1

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

გამოსაკვლევად შერჩეულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები, ვინაიდან ეკონომიკურ მეცნიერებაში ითვლება, რომ აღნიშნული სფეროების დაფინანსების ზრდას დადებითი გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტები აქვს. აგრეთვე, კვლევის პროცესში შეფასებულია ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების ეფექტიანობა, ვინაიდან სხვადასხვა ეკონომიკური თეორიებით დასტურდება, რომ მათ გააჩნიათ ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ხელშეწყობის პოტენციალი, თუმცა, მათი ეკონომიკაზე ზემოქმედების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები განსხვავებულია.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზემოაღნიშნული ეკონომიკის სფეროების საბიუჯეტო დაფინანსება საანალიზო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. მიმდინარე პერიოდში კი მაღალია მათი წილი მთლიან საბიუჯეტო გადასახდელებში, მაგალითად, 2021 წელს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადასახდელები მთლიანი საბიუჯეტო გადასახდელების 13%-ს შეადგენდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს - 10%-ს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - 3%-ს, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - 33%-ს. ამასთან, ამავე წელს გამოსაკვლევად შერჩეული სამინისტროების ფაქტიური გადასახდელების წილი ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტში 19%-ს გაუტოლდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ 2022 წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე, განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურის

განვითარებაზე მიმართული გადასახდელები შედარებით დაბალია და განსაკუთრებით მცირდება ეკონომიკური რეცესიის პირობებში ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს დაფინანსების ზრდის სასარგებლოდ. კვლევის შედეგად გამოკვეთილია განვითარებად ქვეყნებში ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული ხარჯების არაეფექტიანი გამოყენება, აგრეთვე, დასტურდება, რომ ამ მიმართულებით გატარებულ საბიუჯეტო პოლიტიკას საკვლევი ქვეყნების უმრავლესობაში ჰქონდა პროციკლური ხასიათი.

კვლევის პროცესში 2011-2020 წლების კვარტალური დროითი მწკრივების მონაცემების საფუძველზე შევადგინე აღნიშნული სამინისტროებიდან გაწეულ გადასახდელებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი რეგრესიული განტოლებები.


**რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა.** ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სფერო. ზემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ განსახილველ პერიოდში (2011-2020 წლები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული სფეროს დაფინანსება დაახლოებით 2.6-ჯერ გაიზარდა და 2.2 მლრდ ლარი შეადგინა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სფეროს დაფინანსება უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, სამშენებლო, სარეაბილიტაციო და სხვა სახის სამუშაოების კოორდინაციასა და მონიტორინგს, ასევე რეგიონულ განვითარებას. მის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად რეგიონების პოტენციალის სრულად გამოყენება, ასევე, ქვეყნის რეგიონებში არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის მაჩვენებლების დაახლოება ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან (საქართველოს მთავრობა 2018). საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში 2018-2021 წლებში დაგეგმილი იყო: რეგიონებში უმუშევრობის დონისა და სიღარიბის დონის შემცირება, კერძო ინვესტიციების ზრდა, სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა რაოდენობის შემცირება და მეწარმეობის მხარდაჭერა, ძირითადი საზოგადოებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე, ინფრასტრუქტურული უთანასწორობის შემცირება. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად საჭირო



გახდა ეროვნული პოლიტიკის შესაბამისი სამართლებრივი, ინსტიტუციური და საინვესტიციო ღონისძიებების გატარება, რაც დაფინანსდა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

ქვემოთ წარმოდგენილია რეგიონულ განვითარებასა და ინფრასტრუქტურაზე გაწეულ გადასახდელებსა და ეკონომიკურ ზრდას (რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი) შორის ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი გაბნევის დიაგრამა, რომელიც აგებულია საანგარიშო პერიოდის კვარტალური მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა N2.3.3. რეგიონულ განვითარებასა და ინფრასტრუქტურაზე მიმართულ გადასახდელებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირი 2011-2020 წლებში:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. დიაგრამა აგებულია ავტორის გაანგარიშებებზე დაყრდნობით

დიაგრამიდან ჩანს, რომ ცვლადებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა - გადასახდელების ზრდასთან ერთად წლების მანძილზე იკლებდა რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი.

აღნიშნულ ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამოსახატად, შევადგინე შემდეგი რეგრესიული განტოლება:

$$y = -0.003x + 5.6651 \tag{1}$$

ქვემოთ მოცემულია კვლევის პროცესში შემოწმებული ჰიპოთეზა:

$H_0$ : სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონულ განვითარებასა და ინფრასტრუქტურაზე მიმართული გადასახდელები გავლენას არ ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე;

$H_1$ : სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონულ განვითარებასა და ინფრასტრუქტურაზე მიმართული გადასახდელები გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე;

სტატისტიკური მნიშვნელოვნების ტესტის შედეგად გამოთვლილი  $\alpha=0.11$ , რაც მეტია 0.05-ზე (კვლევის მიზნისთვის შერჩეული სტატისტიკური მნიშვნელოვნების დონე 5%-ია ( $\alpha=0.05$ )). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ცვლადებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება არ გამოვლენილა - დადგინდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონულ განვითარებასა და ინფრასტრუქტურაზე გაწეული გადასახდელების ოდენობის ცვლილება რეალურ მშპ-ზე არ ზემოქმედებს. იმისათვის, რომ რეგიონულ განვითარებასა და ინფრასტრუქტურაზე მიმართული გადასახდელები ეკონომიკური ზრდის ფაქტორი გახდეს, საჭიროა ამ მიმართულებით გამოყოფილი სახსრების რაციონალური გამოყენება.


**განათლება და მეცნიერება.** განათლების სფერო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამ სფეროს განვითარება, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს მიიღონ სათანადო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, უზრუნველყოფს მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოების განვითარებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საწინდარი შეიძლება გახდეს. ამიტომ მნიშვნელოვანია განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ბოლო წლებში განათლების სფეროს განვითარების მიზნით განხორციელდა სისტემური ცვლილებები, დაიგეგმა განათლების სფეროს დაფინანსების ზრდა მშპ-თან მიმართებაში. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე მიმართული გადასახდელების ცვლილების დინამიკიდან ჩანს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში განათლების სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად იზრდებოდა და 2019 წელს დაახლოებით 1.65 მლრდ ლარი შეადგინა, 2020 წელს კი

გადასახდელების ოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირდა და 1.55 მლრდ ლარი გახდა, რის მიზეზსაც ეკონომიკური რეცესია წარმოადგენდა.

ქვემოთ წარმოდგენილია განათლებისა და მეცნიერებაზე გაწეულ გადასახდელებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი გაბნევის დიაგრამა, საიდანაც ჩანს, რომ ცვლადებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა.

დიაგრამა N2.3.4. განათლებისა და მეცნიერებაზე მიმართულ გადასახდელებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირი 2011-2020 წლებში:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. დიაგრამა აგებულია ავტორის გაანგარიშებებზე დაყრდნობით

აღნიშნულ სფეროში გადასახდელებსა და მშპ-ის ზრდის ტემპს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოსავლენად გაანგარიშებულია წრფივი რეგრესიული განტოლების პარამეტრები, რომელიც ქვემოთ არის წარმოდგენილი:

$$y = -0.0053x + 6.0461 \quad (2)$$

ამასთან, ანალიზის ფარგლებში შევამოწმე ნულოვანი ჰიპოთეზა:

$H_0$ : სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებისა და მეცნიერების სფეროზე მიმართული გადასახდელები გავლენას არ ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე;


$H_1$ : სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებისა და მეცნიერების სფეროზე მიმართული გადასახდელები გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე;

სტატისტიკური მნიშვნელოვნების ტესტის შედეგად გამოთვლილი  $\alpha=0.14$ , რაც მეტია 0.05-ზე. შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცვლადებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება არ არსებობს. ცხრილის მონაცემების მიხედვით, საანალიზო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებასა და მეცნიერებაზე მიმართული გადასახდელები ყოველწლიურად იზრდებოდა, თუმცა აღნიშნული არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გახდეს ეკონომიკური ზრდის წინაპირობა. განათლების სისტემის ეფექტიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია დასაფინანსებელი პროგრამების გადახედვა და ამ სფეროს მენეჯმენტის გაუმჯობესება.

**ეკონომიკა და მდგრადი განვითარება.** ქვეყნის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ განვითარებას, მათ შორის, საგარეო ვაჭრობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის სფეროებში. საანალიზო პერიოდის დასაწყისში აღნიშნული სამინისტროს დაფინანსება 174 მლნ ლარს შეადგენდა, თუმცა ყოველწლიურად იზრდებოდა და 2020 წლის ბოლოსთვის 759 მლნ ლარი შეადგინა, ანუ 586 მლნ ლარით გაიზარდა.

ქვემოთ წარმოდგენილია ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე გაწეულ გადასახდელებსა და რეალური მშპ-ის ზრდის ტემპებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი გაბნევის დიაგრამა.

დიაგრამა N2.3.5. ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე მიმართულ გადასახდელებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირი 2011-2020 წლებში:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. დიაგრამა აგებულია ავტორის გაანგარიშებებზე დაყრდნობით

დიაგრამიდან ჩანს, რომ ცვლადებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა. აღნიშნულ ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველ რეგრესიულ განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$y = -0.0047x + 5.063 \quad (3)$$

ქვემოთ მოცემულია კვლევის პროცესში შემოწმებული ჰიპოთეზა:

H<sub>0</sub>: სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე მიმართული გადასახდელები გავლენას არ ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე;

H<sub>1</sub>: სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე მიმართული გადასახდელები გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე;

სტატისტიკური მნიშვნელოვნების ტესტის შედეგად გამოთვლილი  $\alpha=0.56$ . შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ უარვეყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და ვასკვნით, რომ მოცემულ შემთხვევაში ცვლადებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება არ არსებობს.


**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა.** მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს, გარდა ეკონომიკური ეფექტიანობისა, წარმოადგენს სოციალური

სამართლიანობისა და უსაფრთხოების დაცვა. აღნიშნულს ხელს უწყობს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის არსებობა, რომელიც აგრეთვე ადამიანური კაპიტალის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სოციალური ბიუჯეტირება სახელმწიფო ფინანსების მართვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. OECD-ის ქვეყნები მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-დან 30%-მდე გადაანაწილებენ ეროვნული სოციალური დაცვის სისტემების მეშვეობით (OECD 2020). შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული სოციალური გადასახდელები დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით შემოსავლების განაწილებაზე, არამედ ეკონომიკური აგენტების ქცევაზე, ერთობლივი მოთხოვნის დონეზე, წარმოების დონესა და სტრუქტურაზე და შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

N2.3.3. ცხრილიდან ჩანს, რომ 2011 წლიდან 10 წლის მანძილზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება დაახლოებით 3.4-ჯერ გაიზარდა და 2020 წელს 5.6 მლრდ ლარი შეადგინა. შესაბამისად, მოსახლეობის სოციალური დაცვა, ასევე, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მასზე ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ბიუჯეტის მეტად პრიორიტეტული მიმართულებებია. ამიტომ ბიუჯეტის ეფექტიანობის შეფასებისთვის მიზანშეწონილად ჩავთვალე ჩამეტარებინა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული გადასახდელების ეკონომეტრიკული ანალიზი.

ქვემოთ მოცემული გაბნევის დიაგრამა ასახავს ურთიერთდამოკიდებულებას ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე გაწეულ გადასახდელებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის. დიაგრამიდან ვლინდება ცვლადებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება.

დიაგრამა N2.3.6. ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე მიმართულ გადასახდელებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირი 2011-2020 წლებში:



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. დიაგრამა აგებულია ავტორის გაანგარიშებებზე დაყრდნობით

ამ დიაგრამის შესაბამის რეგრესიულ განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$y = -0.0034x + 7.2524 \quad (4)$$

რეგრესიული ანალიზის მიზნით ჩამოვყალიბე შესაბამისი ჰიპოთეზები:

H<sub>0</sub>: სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე მიმართული გადასახდელები გავლენას არ ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე;

H<sub>1</sub>: სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე მიმართული გადასახდელები გავლენას ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე;

სტატისტიკური მნიშვნელოვნების ტესტის შედეგად გამოთვლილი  $\alpha=0.03$  რაც ნაკლებია 0.05-ზე, შესაბამისად ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე მიმართული გადასახდელები გავლენას არ ახდენს მშპ-ის ზრდის ტემპზე, უარყოფილია - ცვლადებს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება. გაანგარიშების შედეგად მიღებული კორელაციის კოეფიციენტი  $r=-0.36$ , რაც იმას ნიშნავს, რომ ცვლადებს შორის საშუალო უარყოფითი კორელაციაა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე

მიმართული გადასახდელების ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, იწვევს ეკონომიკური ზრდის შენელებას. ამგვარი დამოკიდებულების მთავარი მიზეზია უფრო ეფექტიანი ალტერნატიული სფეროებიდან ფინანსური რესურსების გადანაწილება შედარებით არაპროდუქტიულ დარგებზე, როგორებიცაა სოციალური დაცვა და ჯანდაცვა. შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში მიზანშეწონილია აღნიშნულ დარგებზე მიმართული გადასახდელების უფრო რაციონალურად დაგეგმვა და გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის შედეგების მიხედვით გამოვლინდა უარყოფითი დამოკიდებულება ცალკეული სფეროების საბიუჯეტო გადასახდელებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის, მათი უმრავლესობა პრიორიტეტულ მიმართულებად არის აღიარებული, შესაბამისად, აღნიშნულ ეტაპზე მიზანშეწონილია არა მათი დაფინანსების შემცირება, არამედ გამოყოფილი ფინანსური რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება.

განვიხილოთ საბიუჯეტო ხარჯების ცვლილების დინამიკა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი N2.3.4. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):

წელი	შრომის ანაზღაურება	საქონელი და მომსახურება	პროცენტი	სუბსიდიები	გრანტები	სოციალური უზრუნველყოფა	სხვა ხარჯები
2011	1 012.5	989.0	282.7	196.7	1 117.0	1 540.9	685.0
2012	1 049.4	1 060.9	248.3	253.1	1 210.7	1 710.3	1 033.5
2013	1 187.6	765.8	233.0	242.6	1 083.3	2 083.0	950.3
2014	1 296.2	875.4	244.8	274.5	1 067.7	2 547.7	1 173.0
2015	1 376.8	946.2	326.6	245.7	1 271.3	2 802.4	1 188.9
2016	1 452.3	1 117.8	397.7	334.0	960.5	3 150.1	1 329.5
2017	1 385.4	1 248.4	476.6	486.3	1 346.2	3 324.3	1 105.0
2018	1 407.6	1 288.3	513.0	419.5	1 332.0	3 501.3	1 082.0
2019	1 454.7	1 301.9	604.5	489.7	798.3	3 946.6	1 379.8
2020	1 543.1	1 529.2	763.7	837.1	1 010.7	5 343.2	1 507.0
2021	1 654.8	1 800.1	790.5	859.8	950.2	6 082.6	2 059.8


წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საკასო შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



- შრომის ანაზღაურება - 1 655 მლნ ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 1 800 მლნ ლარი (მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებამ შეადგინა 360 მლნ ლარი, მივლინების ხარჯებმა - 47 მლნ ლარი, ოფისის ხარჯებმა - 254 მლნ ლარი, წარმომადგენლობითმა ხარჯებმა - 18 მლნ ლარი);
- პროცენტი - 791 მლნ ლარი. ამათგან, საგარეო ვალის მომსახურებაზე მიმართული იქნა 284 მლნ ლარი;
- სუბსიდიები - 860 მლნ ლარი;
- გრანტები - 950 მლნ ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 6 083 მლნ ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელის დაახლოებით 31%;
- სხვა ხარჯები - 2 060 მლნ ლარი (საქართველოს მთავრობა 2022).

დიაგრამა N2.3.7. ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, 2021 წელი:



წყარო: საქართველოს მთავრობა. 2022. საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. <https://www.mof.ge/5429>

ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების განაწილება 2021 წელს. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ხარჯების

მნიშვნელოვან ნაწილს (42.8%-ს) სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები შეადგენს, რაც უახლოვდება ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების - გერმანიის (40.8%), საფრანგეთისა (41.9%) და იტალიის (42.2%) მაჩვენებლებს (Eurostat 2021).

## თავი 3. ფისკალური პოლიტიკა და მისი სრულყოფის გზები

### 3.1. სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების ანალიზი

ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფოს მიერ საბიუჯეტო აგრეგატების მართვის პოლიტიკას. გრძელვადიან პერიოდში სტაბილური ფისკალური პოლიტიკის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობას შემუშავებული აქვს ფისკალური წესები, რომელთა მეშვეობით აკონტროლებს საჯარო ფინანსების რაციონალურად გამოყენებას.

საქართველოში ფისკალური წესები დადგენილია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით. მათ აქვთ პრევენციული ხასიათი, რათა ეკონომიკის აღმავლობის პერიოდში სახელმწიფო დანახარჯების ზრდით საფრთხის წინაშე არ დადგეს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობა დაღმავალი ეკონომიკური ციკლის პერიოდში.

ფისკალური პოლიტიკის მიზნები, ასევე, საშუალოვადიანი საბიუჯეტო პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები, განსაზღვრულია „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით“ (BDD).

ორგანული კანონი ეკონომიკის მდგრადი განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობის, მაკროეკონომიკური და ფისკალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ადგენს შემდეგ ფისკალურ წესებს:

1. „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა, გარდა აქციზისა, შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით“ (საქართველოს პარლამენტი 2011);

2. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების მაქსიმალური ზღვარი 3%-ია;

3. საქართველოს მთავრობის ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდების მაქსიმალური ზღვარი 60%-ია.

აღსანიშნავია, რომ ამავე კანონით, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამური მოცულობისათვის დაწესებული იყო ზედა ზღვარი მშპ-ის 30%-ის ოდენობით, რომელიც 2018 წლის ბოლოს გაუქმდა. ამასთან,

2020 წელს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებით გაფართოვდა ბიუჯეტის დეფიციტის ცნება.

ფისკალური პოლიტიკის ანალიზისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, ექსპანსიურია იგი თუ რესტრიქციული. ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ხორციელდება გადასახადების შემცირების ან ხარჯების ზრდის მეშვეობით და გულისხმობს ეკონომიკის სტიმულირებას ეკონომიკური აქტივობის შენელების დროს, რაც თავის მხრივ, საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას იწვევს. შემზღვეველი ფისკალური პოლიტიკა კი საპირისპირო ღონისძიებებს წარმოადგენს.

ფისკალური პოლიტიკის მიმართულება, როგორც წესი, ვასდება ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში, მაგალითად, ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გატარება მოიხსენიება, როგორც ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკა. რაც შეეხება პროციკლურ ფისკალურ პოლიტიკას, მას მთავრობები მიმართავენ მაღალი საგარეო დისბალანსის არსებობის პირობებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საბიუჯეტო აგრეგატების ცვლილება დინამიკაში.

ცხრილი N3.1.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2011-2021 წლები (მლნ ლარი):

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
შემოსულობები	7447.7	8004.0	7717.4	9157.1	9891.1	10374.0	11618.7	12693.4	13252.2	18042.3	18377.7
შემოსავლები	6442.3	7115.4	6839.5	7434.7	8170.5	8580.1	9750.3	10595.6	10675.0	10490.4	12750.3
არაფინანსური აქტივების კლება	189.8	80.2	77.5	80.6	287.3	246.3	97.6	101.0	93.2	98.2	212.6
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	80.7	60.2	62.5	72.1	71.9	88.7	119.2	119.2	148.6	163.4	163.3
ვალდებულებების ზრდა	734.9	748.2	737.9	1569.7	1361.4	1458.9	1651.6	1877.6	2335.4	7290.4	5251.5
გადასახდელები	7459.3	7806.8	8104.2	9009.8	9703.2	10292.2	11764.9	12590.2	13469.7	16174.6	19807.5
ხარჯები	5823.8	6566.3	6545.6	7479.4	8157.9	8741.8	9372.1	9543.7	9975.5	12533.9	14197.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	1039.1	728.5	767.6	698.5	680.2	662.4	971.8	1912.2	2256.1	2319.0	2544.2

წელი	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	429.9	372.6	277.1	272.2	444.8	495.6	905.6	381.1	278.9	377.7	323.2
ვალდებულებების კლება	166.4	139.4	513.9	559.7	420.3	392.4	515.4	753.2	959.2	944.0	2742.3
ნაშთის ცვლილება	-11.6	197.2	-386.8	147.3	187.9	81.8	-146.2	103.2	-217.5	1867.7	-1429.8

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

ცხრილიდან ჩანს, რომ 2011-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 10.9 მლრდ ლარით გაიზარდა და 18.4 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებული იქნა 12 750.3 მლნ ლარი, მათ შორის, გადასახადებმა 11 439.5 მლნ ლარი შეადგინა.

2021 წლის საგადასახადო შემოსავლების მობილიზების მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება: საშემოსავლო გადასახადი - 3 491.5 მლნ ლარი, მოგების გადასახადი - 1 015.3 მლნ ლარი, დღგ - 4 883.9 მლნ ლარი, აქციზი - 1 868.8 მლნ ლარი, იმპორტის გადასახადი - 86.4 მლნ ლარი (საქართველოს მთავრობა 2022).

ამავე პერიოდში გადასახდელები 12.3 მლრდ ლარით გაიზარდა და 19.8 მლრდ ლარი შეადგინა, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გეგმა დაზუსტდა და 14 241 მლნ ლარს გაუტოლდა, საკასო ხარჯმა კი 14 198 მლნ ლარი შეადგინა.

ბიუჯეტის გადასახდელების ზრდა განპირობებული იყო საანალიზო პერიოდში ეკონომიკური ზრდითა და მოსახლეობის გაზრდილი საჭიროებების გამო დამატებითი საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების აუცილებლობით. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების ცვლილების მიმართულების შეფასება და ანალიზი ეკონომიკური ციკლის ეტაპთან მიმართებაში.

როგორც ცნობილია, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ყველაზე საიმედო ინდიკატორია. აღსანიშნავია, რომ 2019 წლიდან სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგია დანერგა, რამაც მშპ-ის და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატების

გადაანგარიშება და საერთო ღონის ზრდა გამოიწვია. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილების დინამიკა 2010-2021 წლებში.

ცხრილი N3.1.2. მთლიანი შიდა პროდუქტი 2011-2021 წლებში:

წელი	მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი	მშპ ერთ სულზე მიმდინარე ფასებში, ლარი
2011	21 821.6	5 762.7
2012	25 478.7	6 782.7
2013	27 227.3	7 301.8
2014	28 593.0	7 691.1
2015	31 124.1	8 368.0
2016	33 935.0	9 109.4
2017	35 836.0	9 613.9
2018	40 761.7	10 933.9
2019	44 599.3	11 968.0
2020	49 252.7	13 239.4
2021	60 003.3	16 179.5


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

ცხრილიდან ჩანს, რომ 2011-2019 წლებში მთლიანი შიდა პროდუქტი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2020 წელს მისი ზრდის ტემპმა იკლო, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო პანდემიითა და ეკონომიკური კრიზისით. 2020 წელს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წელთან შედარებით მხოლოდ 0.03%-ით გაიზარდა და 49 252.7 მლნ ლარი გახდა, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით კი 13 292.7 ლარი შეადგინა.

2021 წელს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 21.8%-ით და 60 003.3 მლნ ლარი შეადგინა. ამავე წლის მონაცემებით ზრდა დაფიქსირდა: ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების (28.7%), ტრანსპორტის და დასაწყობების (27.6%), საფინანსო-სადაზღვევო საქმიანობის (23.5%), ენერგეტიკის (33.5%), საინფორმაციო-საკომუნიკაციო (23.9%) და სხვა დარგებში (საქართველოს პარლამენტი 2022).

გრაფიკი N3.1.1. მშპ-ის რეალური ზრდის ტემპი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021 წელი:



წყარო: საქართველოს მთავრობა. 2022. საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. <https://www.mof.ge/5429>

2021 წელს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წილი კვლავ კერძო სექტორზე მოდიოდა. ამავე წელს ბრუნვის მოცულობა ბიზნეს სექტორში გაიზარდა 35%-ით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის ღირებულება - 26%-ით.

საინტერესოა ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების მთავარი შემადგენელი ნაწილის - შემოსავლების ანალიზი. 2021 წელს ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებულმა შემოსავლებმა 15 142.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც პროგნოზირებულის 101.4%-ია. პროგნოზირებული გადასახადები განისაზღვრა 13 271.3 მლნ ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში მოხდა 13 380.0 მლნ ლარის ამოღება.

ცხრილი N3.1.3. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები, 2021 წელი (მლნ ლარი):

დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
შემოსავლები	14 928.3	15 142.7	101.4
გადასახადები	13 271.3	13 380.0	100.8
საშემოსავლო გადასახადი	3 771.0	3 775.7	100.1
მოგების გადასახადი	1 001.0	1 015.3	101.4
დღგ	5 935.0	6 029.5	101.6
აქციზი	1 825.0	1 868.8	102.4
იმპორტის გადასახადი	81.3	86.4	106.3
ქონების გადასახადი	510.0	510.7	100.1
სხვა გადასახადი	148.0	93.6	63.2
გრანტები	457.0	494.4	108.2
სხვა შემოსავლები	1 200.0	1 268.3	105.7

წყარო: საქართველოს მთავრობა. 2022. საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. <https://www.mof.ge/5429>


როგორც ცხრილიდან ჩანს, 2021 წელს საბიუჯეტო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი იყო 14 928 მლნ ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ კი 15 143 მლნ ლარი შეადგინა, მათ შორის, გადასახადების სახით ნაერთ ბიუჯეტში მობილიზებული იქნა:

- საშემოსავლო გადასახადი - 3 776 მლნ ლარი;
- მოგების გადასახადი - 1 015 მლნ ლარი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი - 6 030 მლნ ლარი;
- აქციზი - 1 869 მლნ ლარი;
- იმპორტის გადასახადი - 86 მლნ ლარი;
- ქონების გადასახადი - 511 მლნ ლარი.

ამავე პერიოდში, გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 494 მლნ ლარი, სხვა შემოსავლების სახით კი - 1 268 მლნ ლარი. ამასთან, არაფინანსური აქტივების კლების შედეგად მობილიზებულმა შემოსულობებმა 422 მლნ ლარი შეადგინა, ფინანსური აქტივების - 142 მლნ ლარი (საქართველოს მთავრობა 2022).



გრაფიკი N3.1.2. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ცვლილება 2011-2021 წლებში (მლრდ ლარი):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. გრაფიკი აგებულია ავტორის გაანგარიშებებზე დაყრდნობით

ზემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე ნაჩვენებია ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ცვლილება 2011-2021 წლებში მშპ-თან მიმართებით.

გრაფიკიდან ჩანს, რომ 2011-2021 წლებში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, ისევე როგორც არაფინანსური აქტივები, მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. ამასთან, ამ საბიუჯეტო აგრეგატების ჯამური მნიშვნელობა საანალიზო პერიოდში მერყეობდა 7.1 მლრდ ლარიდან 18.9 მლრდ ლარამდე, ხოლო აღნიშნული მაჩვენებლის %-ული წილი მშპ-თან იცვლებოდა 28.5%-დან 34.4%-მდე. აღსანიშნავია, რომ ფისკალური პოლიტიკის გადაწყვეტილებების ანალიზისას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდეს, ანუ ბიუჯეტის უარყოფით მთლიან სალდოს. 2019 წლამდე ბიუჯეტის დეფიციტის ლიმიტი დადგენილი იყო ნაერთი ბიუჯეტისათვის მშპ-ის 3%-ის ოდენობით. ამჟამად კი ზედა ზღვარი განსაზღვრულია ერთიანი ბიუჯეტისათვის. აღნიშნული ცვლილებით ფისკალური პოლიტიკა გახდა უფრო შემზღვეველი. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის ვალისთვის დადგენილი მაქსიმალური ზღვარი გავრცელდა საჯარო და კერძო პარტნიორობის ფარგლებში არსებულ ვალდებულებებზეც. 2021 წლის სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი დაიგემა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვარს ზემოთ (6.7%), საანგარიშო პერიოდში კი ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა -3.7 მლრდ ლარი ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 6.2% (საქართველოს მთავრობა 2022).

ცხრილი N3.1.4. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის შესრულება, 2021 წელი (მლნ ლარი):

დასახელება	2021 წლის I კანონი	2021 წლის ბოლო კანონი	2021 წლის ფაქტი	შესრულების %
შემოსავლები	14477.9	16090.0	16276.8	101.2%
ხარჯები	14476.8	15605.0	15653.5	100.3%
საოპერაციო სალდო	1.1	485.0	623.3	128.5%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4133.0	4413.0	4331.7	98.2%
მთლიანი სალდო	- 4131.9	- 3928.0	- 3708.3	94.4%
ფინანსური აქტივების ცვლილება	96.9	- 48.0	43.5	- 90.7%

დასახელება	2021 წლის I კანონი	2021 წლის ბოლო კანონი	2021 წლის ფაქტი	შესრულების %
ვალდებულების ცვლილება	2467.7	2252.0	2520.0	111.9%
ნაშთის ცვლილება	- 1761.1	- 1628.0	- 1231.9	75.7%

წყარო: საქართველოს მთავრობა. 2022. საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. <https://www.mof.ge/5429>

იმის გამო, რომ 2022 წელს წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების შესაბამისი პროგნოზები დაგეგმილია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული მოცულობების მიღმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულია ზღვრულ მოცულობებში დაბრუნების გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია 2023 წლისთვის.

ანალიტიკური მიზნებისთვის ხშირად გამოიყენება ფისკალური ბალანსის დინამიკა. ამ შემთხვევაში დეფიციტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ვალდებულებების წმინდა ზრდა და არაფინანსური აქტივების შემცირება. ქვემოთ წარმოდგენილია ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის ცვლილების დინამიკა 2011-2021 წლებში.

ცხრილი N3.1.5. ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი 2011-2021 წლებში (მლნ ლარი):

წელი	ბიუჯეტის მთლიანი სალდო
2011	-210.9
2012	-154.7
2013	-303.7
2014	-579.5
2015	-341.0
2016	-479.4
2017	-324.1
2018	-323.4

წელი	ბიუჯეტის მთლიანი სალდო
2019	-1 352.6
2020	-4 574.1
2021	-3 769.7

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა.  
<https://www.mof.ge/4566>

2005-2007 წლებში ნაერთი ბიუჯეტი პროფიციტული იყო, ხოლო 2008 წლიდან დეფიციტური გახდა და ტენდენცია დღემდე ნარჩუნდება. ომისა და ეკონომიკური კრიზისის შედეგად ფისკალური პოლიტიკა გამოწვევის წინაშე დადგა, თუმცა ბიუჯეტის დეფიციტი ნაწილობრივ საგარეო დახმარებების წყალობით შეივსო. 2011 წლიდან 2021 წლამდე დეფიციტის მოცულობა დაახლოებით 3.6 მლრდ ლარით გაიზარდა და 3.8 მლრდ ლარი შეადგინა. დეფიციტური ბიუჯეტის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: ეკონომიკური ზრდის არასაკმარისი დონე, არაეფექტიანი სახელმწიფო ხარჯების ზრდა და არასრულყოფილი საგადასახადო კანონმდებლობა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პარამეტრია ინფლაცია, რომელიც ასახავს ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასის დონის ზრდას. მაღალი ინფლაცია ამცირებს ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობას, იწვევს ლარის გაუფასურებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, ასევე, ინვესტიციებიდან ამონაგების შემცირებას, ბიზნეს სექტორში რეალური მოგების კლებას, საპროცენტო განაკვეთების ზრდას, ამცირებს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და შედეგად, აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. საქართველოში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-ს შეადგენს.

ცხრილი N3.1.6. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია) %-ში:

წელი	ინფლაცია
2005	108.2
2006	109.2
2007	109.2
2008	110.0
2009	101.7

წელი	ინფლაცია
2010	107.1
2011	108.5
2012	99.1
2013	99.5
2014	103.1
2015	104.0
2016	102.1
2017	106.0
2018	102.6
2019	104.9
2020	105.2
2021	109.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia>

აღსანიშნავია, რომ 2005-2021 წლების განმავლობაში ლარი რამდენჯერმე გაუფასურდა, რასაც საფუძვლად დაედო ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, მმართველობითი და პოლიტიკური ფაქტორები. ეკონომიკური კრიზისის დროს კი ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობის პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა. 2021 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 9.6%-ის დონეზე დაფიქსირდა.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის ზრდაზე დიდ გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი.

ცხრილი N3.1.7. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი (აშშ დოლარი/ლარი) 2010-2021 წლებში:

წელი	პერიოდის საშუალო	წლის ბოლოს
2010	1.7826	1.7728
2011	1.6860	1.6703
2012	1.6513	1.6567
2013	1.6634	1.7363
2014	1.7659	1.8636

წელი	პერიოდის საშუალო	წლის ბოლოს
2015	2.2702	2.3949
2016	2.3667	2.6468
2017	2.5086	2.5922
2018	2.5345	2.6766
2019	2.8192	2.8677
2020	3.1097	3.2766
2021	3.2209	3.0976

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

ზოგადად, ვალუტის გაუფასურება შეიძლება აიხსნას როგორც სპეკულაციური ოპერაციებით, ასევე, ფუნდამენტური ფაქტორებით: სავაჭრო ბალანსი, საბიუჯეტო დეფიციტი, ფულადი გზავნილები და ა.შ.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი 2015 წლიდან მკვეთრად გაიზარდა და მას შემდეგ მუდმივად იმატებს. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 6%-ით გამყარდა და 3.1 ლარი გახდა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი გამყარდა 18%-ით. ლარის გაუფასურება ძირითადად განპირობებული იყო აშშ დოლარის გამყარებით მსოფლიო სავალუტო ბაზრებზე. გარდა ამისა, ეროვნული ვალუტის კურსზე გავლენას ახდენს ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორებიცაა საგარეო მოთხოვნა, ფულადი გზავნილები და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები.

ტურიზმის განვითარება წლების განმავლობაში საქართველოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქვეყნის ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, საყურადღებოა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების წილი მშპ-ში, ასევე, მისი როლი ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ინვესტიციების მოზიდვაში.

ცხრილი N3.1.8. საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების სტატისტიკა 2011-2021 წლებში:

წელი	შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ აშშ დოლარი)	საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდის ტემპი (%)	ტურიზმის წილი მშპ-ში (%)
2011	954.9	44.8	7.0
2012	1 410.9	47.8	6.9
2013	1 719.7	21.9	6.5
2014	1 787.1	3.9	6.3
2015	1 868.5	4.6	6.5
2016	2 110.7	13.0	6.2
2017	2 704.3	28.1	7.3
2018	3 222.1	19.11	7.8
2019	3 268.7	1.4	8.4
2020	541.7	-83.4	5.9
2021	1 244.9	129.8	6.7

წყარო: სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. [www.gnta.ge](http://www.gnta.ge)

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ყოველწლიურად იზრდება, თუმცა წლიური ზრდის ტემპები 2014 წლამდე კლებულობს, 2015-2017 წლებში ისევ იზრდება და 2018-2020 წლებში კვლავ კლებულობს. 2019 წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა და 1.4% შეადგინა, რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო ავიაფრენების შეზღუდვების ამოქმედებით. ხოლო 2020 წელს ამავე მაჩვენებლის კლებამ შეადგინა 83.4% და საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ოდენობა 541.7 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ასეთი კატასტროფული კლება გამოწვეული იყო მსოფლიო პანდემიითა და ეკონომიკური კრიზისით. 2021 წელს შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან დაახლოებით 130%-ით გაიზარდა და 1 244.9 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას კვლავაც უარყოფითი სავაჭრო ბალანსი წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში იმპორტის მოცულობა აღემატება ექსპორტისას. მოხმარებაზე ორიენტირებულობის გამო, ქვეყნიდან ყოველწლიურად მილიარდობით ლარი გაედინება, რაც საფრთხეს უქმნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. უარყოფითი სავაჭრო სალდოს ბალანსირება ხდება: პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, უცხოეთიდან გადმორიცხვებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლით, ასევე, უცხოური კრედიტებითა და გრანტებით, რომელიც ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იხარჯება.

ცხრილი N3.1.9. საგარეო ვაჭრობა 2015-2021 წლებში (მლრდ აშშ დოლარი):

წელი	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9.5	9.5	10.8	12.7	13.3	11.4	14.3
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი	2.2	2.1	2.7	3.4	3.8	3.3	4.2
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი	7.3	7.3	8.1	9.4	9.5	8.0	10.1
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5.1	-5.2	-5.3	-6.0	-5.7	-4.7	-5.9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>

2017 წლიდან იზრდება საგარეო სავაჭრო ბრუნვა, როგორც ექსპორტი, ასევე იმპორტი. 2019 წელს საქონლის ექსპორტმა შეადგინა 3.8 მლრდ აშშ დოლარი, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 12.4%-ით აღემატებოდა. ხოლო საქონლის იმპორტი შეადგენდა 9.5 მლრდ აშშ დოლარს, რაც 1.7%-ით აღემატებოდა წინა წლის მონაცემს.

2020 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ დაახლოებით 15%-ით იკლო და 11.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტმა - 3.3 მლრდ აშშ დოლარი, იმპორტმა კი - 8.0 მლრდ აშშ დოლარი. ამავე წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4.7 მლრდ აშშ დოლარი გახდა.



2021 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 14.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის, ექსპორტმა - 4.2 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა - 10.1 მლრდ აშშ დოლარი. 2021 წელს საგარეო ვაჭრობის სალდო შემცირდა და - 5.9 მლრდ აშშ დოლარი გახდა.

2020 წელს ეკონომიკური კრიზისისა და საბიუჯეტო შემოსავლების დანაკლისის ფონზე, ანტიკრიზისული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმა ფისკალური ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებდა საბიუჯეტო ხარჯების შემცირებას დაახლოებით 600.0 მლნ ლარით. აღნიშნულის შედეგად, ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზი 8.5%-ს გაუტოლდა. დეფიციტის დასაფინანსებლად შეიზღუდა ადმინისტრაციული, წარმომადგენლობითი, მივლინების და საწვავის ხარჯები, ასევე, კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსება. შემცირდა საპრემიო ფონდი, ასევე, იმ პროექტების დაფინანსება, სადაც იმპორტის წილი განსაკუთრებით მაღალია. გარდა ამისა, მთავრობამ გადახედა განათლების რეფორმის ზოგიერთ მიმართულებას. შემცირდა ტურისტული ინფრასტრუქტურის დაფინანსება (საქართველოს მთავრობა 2021).

პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად, ბიზნესის ხელშეწყობისათვის, სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და მოქალაქეთა სოციალური დახმარებისათვის, ასევე, ეპიდემიის გავრცელების პრევენციასა და დაავადებულთა მკურნალობაზე გასაწევი ხარჯების დაფინანსებისთვის საჭირო რესურსმა დაახლოებით 3.4 მლრდ ლარი შეადგინა.

2021 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის პროცესში ცხადი გახდა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის კლება უფრო მაღალი იქნებოდა, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე ეკონომიკის რიგ სექტორებზე შეზღუდვების დაწესების და მასთან დაკავშირებული დამატებითი სოციალური პაკეტების გათვალისწინების გამო.

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად ქვეყნის ფინანსთა სამინისტრომ დონორი ორგანიზაციებიდან - საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან და მსოფლიო ბანკიდან,

2020 წელს მოიზიდა 1.6 მლრდ ევრო, საიდანაც წლის ბოლომდე საქართველოში ჩამოირიცხა 1.1 მლრდ ევრო. აღნიშნული ფულადი რესურსი მთავრობამ გამოიყენა ბიუჯეტის მხარდასაჭერად. 2021 წელს ბიუჯეტიდან ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე მიმართული იქნა 4 მლრდ ლარი (საქართველოს მთავრობა 2022).

### 3.2. საბიუჯეტო ხარჯების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ეკონომიკური ზრდა, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას უზრუნველყოფს, ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. იგი დამოკიდებულია წლის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებაზე - მთლიან შიდა პროდუქტზე. სხვაგვარი სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის ეკონომიკა წარმოადგენს ფულით გამოხატულ ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობას.

ეკონომიკური ზრდა მაკროეკონომიკურ თეორიაში ყველაზე ხშირად გამოყენებული ცნებაა და გულისხმობს ქვეყნის დოვლათის მოცულობისა და საწარმოო პოტენციალის გადიდებას. იგი ყველაზე ნათლად გამოხატავს ქვეყნის განვითარების დონეს და გამოიყენება მის შესაფასებლად.

ეკონომიკაში არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლების საწინდარია. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის სათანადო დონეზე შენარჩუნება სერიოზული ეკონომიკური რყევების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, იგი დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე.

ვინაიდან ხელისუფლების მიზანია ეკონომიკური ზრდის ოპტიმალური მაჩვენებლის განსაზღვრა და მისი მიღწევა, ფისკალური პოლიტიკა ფორმირდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი მის პოტენციურ დონეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური ზრდის დადებით ტენდენციებს მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის ფინანსური სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ადმინისტრირების გაუმჯობესება. ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად, როგორც წესი, იყენებენ რეალური მშპ-ის ზრდის ტემპს.

ეკონომიკური ზრდის ტემპის გაანგარიშებისას გამორიცხავენ ფასების ზრდის ეფექტს, რადგანაც ქვეყანაში შეიძლება პროდუქციის წარმოება მცირდებოდეს, ხოლო ფასები სწრაფად იზრდებოდეს, აქედან გამომდინარე კი, იზრდებოდეს გამოშვებული პროდუქციის ჯამური ღირებულება.

ეკონომიკური ზრდის თეორიების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკელმა ეკონომისტმა რობერტ სოლოუმ<sup>1</sup>, რომლის ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელი იკვლევს დაზოგვის, მოსახლეობის ზრდისა და ტექნოლოგიური პროგრესის გავლენას წარმოების მოცულობის ზრდაზე და ამგვარად ხსნის ქვეყნებს შორის არსებულ განსხვავებებს მშპ-ის დონეებს შორის.

ეკონომიკური ზრდის კანონები ბოლომდე არ არის შესწავლილი და შესაბამისად, მეცნიერები აწყდებიან წინააღმდეგობებს ეკონომიკური ზრდის ფაქტორების განსაზღვრისას, აგრეთვე იმ თანამედროვე ეკონომიკური მოდელების ახსნისას, რომლებიც აღწერენ ქვეყნების გადასვლას ეკონომიკის განვითარების დაბალი დონიდან მაღალ დონეზე.

ჩვეულებრივ, ეკონომიკური ზრდის გაანალიზება ხდება გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში. გრძელვადიანი ზრდა გულისხმობს ეკონომიკის განვითარებას „წონასწორობის“ მიმართულებით. აღნიშნულ პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობა უახლოვდება მაქსიმალურ ნიშნულს, რომლის წარმოება ეკონომიკას შეუძლია და განისაზღვრება ფუნდამენტური საწარმოო ფაქტორებით, კერძოდ, შრომისა და კაპიტალის ოდენობით და მთლიანი ფაქტორული პროდუქტიულობით. ეკონომიკური ზრდა გრძელვადიან პერიოდში უმნიშვნელოდ მერყეობს და დამოკიდებულია წარმოებაში გამოყენებული ფაქტორების მოცულობის ცვლილებასა და მათ ეფექტიანობაზე.

მოკლევადიანი რყევები ასახავს გადახრას ეკონომიკის წონასწორული მდგომარეობიდან და განისაზღვრება იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობით, რომელთა წარმოებასა და მოხმარებას აპირებენ ეკონომიკური აგენტები.

ფისკალური პოლიტიკის მასტაბილიზებელი როლი მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვანია, თუმცა არ არის დადასტურებული კონკრეტული ზომების ეფექტიანობა. რაც შეეხება გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, რ. სოლოუს ეგზოგენური ზრდის მოდელში ფისკალური პოლიტიკის, როგორც განმსაზღვრელი ფაქტორის როლი, მინიმალურია.

---

<sup>1</sup> რობერტ სოლოუ - 1924 წელს დაბადებული თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელის ავტორი

აღნიშნულის საპირისპიროდ, ამერიკელმა ეკონომისტმა რ. ბარომ ენდოგენური ზრდის მოდელის საფუძვლების შემუშავებისას გამოავლინა ის მექანიზმები, რომლითაც ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკონომიკის ზრდის გრძელვადიან ტემპებზე.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლოდროინდელი კვლევები ხაზს უსვამს ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობას არა მხოლოდ მოკლევადიანი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისთვის, არამედ მდგრადი გრძელვადიანი ზრდის პირობების ფორმირებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებისთვის.

ჩვეულებრივ, ფისკალური პოლიტიკა ხორციელდება სახელმწიფო ხარჯებისა და გადასახადების მეშვეობით, რომელთაგან თითოეულს მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია ეკონომიკაზე. ფისკალური პოლიტიკის გამოყენებით სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს რესურსების ეფექტიანად განაწილება, ბაზრების რეგულირება, ეკონომიკის სტაბილიზაცია და სოციალური ჰარმონიის უზრუნველყოფა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის საბოლოო მიზნის მისაღწევად. მისი მეშვეობით შესაძლებელია შემოსავლებისა და სიმდიდრის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფა.

ფისკალურ პოლიტიკასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირის შესწავლის შედეგად განვითარებულ ქვეყნებში, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი პერიოდისთვის ცალკეული მეცნიერების მიერ გაკეთებულია სათანადო დასკვნები, რომ ფისკალურმა პოლიტიკამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ზრდაზე სხვადასხვა გზითა და სხვადასხვა წყაროებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხარჯების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე აქტიური ინტერესის საგანია.

როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკაში, მთავრობის დიდი ზომა იწვევს ეკონომიკური ზრდის შენელებას. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა იყოს მთავრობის საქმიანობის არაეფექტიანი განხორციელება ან ზედმეტი ტვირთის შედეგად საბიუჯეტო სისტემის პროდუქტიულობის შემცირება. არსებული მოსაზრება დასტურდება ქვემოთ წარმოდგენილ კვლევაში.

სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე ეკონომისტები სხვადასხვა ეკონომეტრიკული მეთოდებით ანალიზებენ. მრავალი

უცხოელი მეცნიერის კვლევით დასტურდება, რომ მთავრობას შეუძლია შეცვალოს ხარჯვის დონე ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით, თუმცა ამ ცვლადებს შორის ურთიერთობა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. აღნიშნული დამოკიდებულია ქვეყნის თავისებურებებზე, შეფასების პერიოდსა და ქვეყანაში საჯარო სექტორის ზომაზე.

ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე ჩატარებულია არაერთი კვლევა, რომელთა მიზანი იყო ეკონომიკური ზრდის ფისკალური ხასიათის განსაზღვრა. აღნიშნული კვლევები განიხილავდა ფისკალურ პოლიტიკას, როგორც ეკონომიკის მასტიმულირებელ ინსტრუმენტს. კვლევის შედეგად მოპოვებული ემპირიული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა ევროკავშირის ქვეყნებში გახდა სახელმწიფო ხარჯების, კერძოდ კი, საჯარო სექტორში მომუშავეებზე გაწეული სახელფასო დანახარჯების შემცირება (Maşca, Cuceu and Văidean 2015). სახელმწიფო შემოსავლების კუთხით კი, ეკონომიკურ ზრდას შრომაზე ფისკალური წნეხის შემცირება უწყობდა ხელს.

ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი სახელმწიფოებისათვის ფისკალური გადაწყვეტილებები განსხვავებულ მიზანს ემსახურება. საქართველოში ფისკალური პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთი წინაპირობაა, იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირებაში.

საბიუჯეტო პოლიტიკის თეორიები საყურადღებოა, ამასთან, ურთიერთგამომრიცხავი. ერთი მხრივ, მთავრობის მიერ განხორციელებული ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკა აბალანსებს სოციალურ და კერძო ინტერესებს. ასევე, სახელმწიფო ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის წინაპირობას წარმოადგენს. მათი გავლენა რეგიონის ეკონომიკაზე დამოკიდებულია რეგიონის სპეციფიკურ მახასიათებლებზე, როგორებიცაა: ტექნიკური ეფექტიანობა, ორგანიზაციული შესაძლებლობები და საწარმოო სპეციალიზაცია. მეორე მხრივ, მთავრობის ზომის ზრდა გარკვეულ ნიშნულს ზემოთ იწვევს საზოგადოებრივი საქონლის პროდუქტიულობის შემცირებას.

მთავრობის ზომას, როგორც წესი, განსაზღვრავენ იმის მიხედვით, თუ რამდენად ექვემდებარება საზოგადოებრივი რესურსები ხელისუფლების კონტროლს.

ყველაზე ხშირად მთავრობის ზომას საზღვრავენ შემდეგი ტიპის ხარჯებზე დაყრდნობით: საქონლისა და მომსახურების შეძენაზე გაწეული დანახარჯები, ტრანსფერები, ვალის მომსახურების პროცენტები და ა.შ. (Rosen 2008, 8).

ბაროს თეორიის თანახმად, სახელმწიფო ხარჯები ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას, კერძო სექტორის ეფექტიანობის მაქსიმიზაციის საშუალებით ეკონომიკური ზრდის ადრეულ ეტაპზე. თუმცა ოპტიმალური დონის მიღწევის შემდეგ, სახელმწიფო ხარჯების ზრდა აუარესებს კერძო სექტორის ეფექტიანობას.

განსხვავებულია სხვადასხვა მეცნიერების შეხედულებები მთავრობის ოპტიმალურ ზომასთან დაკავშირებით. ამერიკელი ეკონომისტის, ე. შიპის (1993) აზრით, თუ მთავრობის ზომა (მთავრობის მიმდინარე ხარჯები/მშპ) 15%-ზე ნაკლებია, მთავრობის ზომასა და ეკონომიკურ ზრდას აქვთ დადებითი დამოკიდებულება, მაგრამ მის ზრდასთან ერთად დამოკიდებულება უარყოფითი ხდება. ამ მხრივ საინტერესოა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაზე დაკვირვება. მაგალითად, აშშ-ში მთავრობის ზომა, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2021 წელს 14.4%-ს შეადგენდა. ამასთან, ევროპის განვითარებული ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი განსხვავებულია. მაგალითად, 2021 წლის მონაცემებით დიდ ბრიტანეთში მთავრობის დანახარჯები მოხმარებაზე მშპ-თან შეფარდებით 22.4% იყო, საფრანგეთში - 24.2%, იტალიაში - 19.8%, ხოლო შვედეთში - 25.9% (World Bank 2021). შედარებისთვის, ამავე პერიოდში, აღნიშნული ქვეყნების ძირითადი მაკროეკონომიკური მახასიათებლები, შესაბამისად, შემდეგნაირად გამოიყურებოდა: მშპ - 23 315.1 მლრდ აშშ დოლარი, 3 131.4 მლრდ აშშ დოლარი, 2 957.9 მლრდ აშშ დოლარი, 2 107.7 მლრდ აშშ დოლარი, 635.7 მლრდ აშშ დოლარი; უმუშევრობის დონე - 5.3%, 4.5%, 7.9%, 9.5%, 8.7%; ინფლაცია - 4.7%, 2.5%, 1.6%, 1.9%, 2.2%.

ცხადია, თუ სამთავრობო ხარჯების სიდიდის ცვლილება იწვევს წარმოების ზრდის ტემპების ცვლილებას, მთავრობის ზომა პოტენციურად მნიშვნელოვანი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ტემპების ასახსნელად. ცალკეულ მეცნიერულ კვლევებში მოცემული ემპირიული მტკიცებულებები ადასტურებს მთავრობის დანახარჯების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე.

ზემოხსენებულ ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების დასადგენად, სამი ევროპული ქვეყნის მონაცემების საფუძველზე (გაერთიანებული

სამეფო, ირლანდია და საბერძნეთი), ბერძენმა მეცნიერებმა - ჯ. ლოიზიდესმა და ჯ. ვამოუკასმა (2005) ჩატარებული კვლევის შედეგად დაასკვნეს, რომ მთავრობის ზომის ზრდა იწვევდა ეკონომიკურ ზრდას კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყანაში, მოკლევადიან, მაგრამ არა გრძელვადიან პერიოდში. გარდა ამისა, ევროკავშირის ქვეყნების მაგალითზე ესპანელმა მეცნიერებმა - მ. საეზმა, ს. ალვარეს-გარსიამ და დ. როდრიგესმა სახელმწიფო ხარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულების შესწავლის შედეგად 2015 წელს შეამოწმეს ჰიპოთეზა, რომ დიდი საჯარო სექტორის მქონე ქვეყნებში ეკონომიკა უფრო სწრაფად იზრდება და ვითარდება, ვიდრე დანარჩენებში. ანალიზი ემყარებოდა ევროკავშირის ქვეყნების ისტორიულ მონაცემებს. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ევროკავშირის ქვეყნები, სადაც პოლიტიკური თვალსაზრისით სტაბილური დემოკრატიებია. კვლევაში გამოყენებული იყო ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (OECD) და ევროკომისიის (ეკონომიკურ მონაცემთა ბაზა) შესადარისი ეკონომიკური მაჩვენებლები. ცხადია, არსებობს განსხვავებები ქვეყნებს შორის საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ასევე, სოციალური დაცვის უზრუნველყოფის დონეების მიხედვით. შესაბამისად, განსხვავებული იყო ქვეყნების მიხედვით მიღებული კვლევის შედეგებიც - საფრანგეთის, საბერძნეთის, ლუქსემბურგის, პორტუგალიისა და დიდი ბრიტანეთის გარდა, დანარჩენ ქვეყნებში ცვლადებს შორის დამოკიდებულება უარყოფითი აღმოჩნდა.

კვლევის პროცესში ჩემი ინტერესი მიიპყრო მეცნიერ-ეკონომისტის, რამის (1986) მიერ შემოთავაზებულმა თეორიულმა ჩარჩომ, რომელიც საფუძვლად უდევს კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ანალიზს (Ram 1986). თეორიული ჩარჩოს მიხედვით, ეკონომიკა შედგება ორი ძირითადი სექტორისაგან: სამთავრობო (G) და არასამთავრობო (C). წარმოების ფუნქციები აღნიშნული სექტორებისთვის შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$C = C(L_C, K_C, G) \tag{1}$$

$$G = G(L_G, K_G) \tag{2}$$

ამრიგად, მწარმოებლურობა თითოეულ სექტორში დამოკიდებულია შრომის (L) და კაპიტალის (K) დანახარჯებზე, ამავე დროს, სამთავრობო სექტორის



მწარმოებლურობა ( $G$ ) გარეგან ეფექტს ახდენს კერძო სექტორის მწარმოებლურობაზე ( $C$ ). მთლიანი ხარჯები გამოისახება შემდეგნაირად:

$$L_C + L_G = L \quad (3)$$

$$K_C + K_G = K$$

ხოლო მთლიანი მწარმოებლურობა ( $Y$ ) არის ორი სექტორის მწარმოებლურობის ჯამი:

$$Y = C + G \quad (4)$$

დავუშვათ, რომ ფარდობითი ფაქტორული მწარმოებლურობა ორ სექტორში განსხვავდება ერთმანეთისაგან, კერძოდ:

$$G_L/C_L = G_K/C_K = 1 + \delta \quad (5)$$

სადაც  $G_L$  აღნიშნავს შრომითი ხარჯების ზღვრულ მწარმოებლურობას სახელმწიფო სექტორში, ხოლო  $G_K$  აღნიშნავს კაპიტალური ხარჯების ზღვრულ მწარმოებლურობას სახელმწიფო სექტორში. ამრიგად,  $\delta$  მიაჩნებებს, თუ რომელ სექტორს აქვს უფრო მაღალი ზღვრული ფაქტორული მწარმოებლურობა. დადებითი  $\delta$  გულისხმობს უფრო მაღალ ფაქტორულ მწარმოებლურობას სამთავრობო სექტორში და პირიქით. წარმოების ფუნქციების და მე-3 და მე-5 ფორმულების გამოყენებით, შეგვიძლია დავასკვნათ:

$$dY = C_L dL + C_K dK + C_G dG + \delta / (1 + \delta) dG \quad (6)$$

მე-6 განტოლების  $Y$ -ზე გაყოფით, მივიღებთ:

$$\dot{Y} = \alpha (I/Y) + \beta \dot{L} + [(\delta / (1 + \delta)) - \Theta] \dot{G} (G/Y) + \Theta \dot{G} \quad (7)$$

სადაც  $I$  ცვლადი არის ინვესტიცია, რომელიც  $dK$ -ს ტოლია,  $\alpha$  არის  $K$ -ს ზღვრული პროდუქტი კერძო სექტორში,  $\beta$  არის არასამთავრობო სექტორის  $C$ -ს ელასტიურობა  $L$ -თან მიმართებაში და  $\Theta$  ტოლია  $C_G(G/C)$ -ის. მე-7 განტოლება გვიჩვენებს, რომ ცვლადები, რომლებიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე  $\dot{Y}$ , მოიცავს ინვესტიციების დონეს ( $I/Y$ ), სამუშაო ძალის ზრდას ( $\dot{L}$ ), სამთავრობო ხარჯების ზრდას ( $\dot{G}$ ) და მთავრობის ზომას ( $G/Y$ ).

ეკონომიკური ზრდის გამარტივებული განტოლება შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$\dot{Y} = \alpha + \beta \dot{G} (G/Y) \quad (8)$$

Y აღნიშნავს  $\Delta Y/Y$ -ს, G წარმოადგენს მთავრობის ხარჯებს და G (G/Y) უდრის  $\Delta G/Y$  -ს.

ზემოაღნიშნული გამარტივებული განტოლება წარმოგვიდგენს გამოშვების ზრდის ტემპის დამოკიდებულებას მთავრობის ზომის (მთავრობის ხარჯები/მშპ) ზრდის ტემპზე.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთავრობას შეუძლია შეცვალოს ხარჯვის დონე ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით, თუმცა ამ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. არსებული კვლევები ცხადჰყოფს, რომ ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ქვეყნის თავისებურებებზე, შეფასების პერიოდსა და ქვეყანაში საჯარო სექტორის ზომაზე. ამასთან, კვლევის პროცესში შესაძლოა წარმოიქმნას პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო სექტორის ზომასა და ხელმისაწვდომ სტატისტიკასთან.

ქვეყანაში დაბალი ეკონომიკური ზრდის მიზეზები მრავალმხრივია. ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია მთავრობის მიერ ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების სიდიდე. თუ გადასახდელების სიდიდე მეცნიერული დასაბუთების, კერძოდ კი, ეფექტიანობისა და რაციონალურობის კრიტერიუმის საფუძველზე შეირჩევა, იგი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი შეიძლება გახდეს.

განვითარებადი ეკონომიკებისა და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები მოკლევადიან პერიოდში რესურსების მობილიზების შეზღუდული შესაძლებლობებით ცდილობენ ხარჯვის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, განათლების, ჯანმრთელობისა და ინფრასტრუქტურის პრიორიტეტული ხარჯების ზრდის დასაფინანსებლად საჭირო ფისკალური რესურსების გამოთავისუფლებით. სახელმწიფო დანახარჯების შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის მეშვეობით შესაძლებელია ეკონომიკის იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც შეიძლება არსებობდეს დანახარჯების ეფექტიანობის ზრდის ან ხარჯების რაციონალიზაციის შესაძლებლობები.

როდესაც მთავრობის დამატებითი ხარჯები უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპზე, მაშინ ისინი არ შეესაბამება მის ოპტიმალურ დონეს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათი შემცირება,

სხვა თანაბარ პირობებში, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას გამოიწვევს. ამასთან, საბიუჯეტო ხარჯების სიმცირე ავტომატურად არ მიაწინებს ეკონომიკური ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების არსებობაზე. მთავრობის ოპტიმალური ზომის შერჩევასთან ერთად, ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია ხარჯების სწორი მართვა და ეფექტიანი გამოყენება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის მიზანია საქართველოში მთავრობის ზომის გავლენის ეფექტის შესწავლა ეკონომიკურ ზრდაზე. ემპირიულ ანალიზში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი არის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპი, მთავრობის ზომის მაჩვენებლის გამოსათვლელად კი გამოყენებულია საბიუჯეტო ხარჯები (იგულისხმება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული ხარჯები). ცვლადებს შორის დამოკიდებულების გამოსავლენად, დროითი მწკრივების საფუძველზე ჩატარებულია რეგრესიული ანალიზი.

კვლევებიდან გაირკვა, რომ მთავრობების ოპტიმალური ზომა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია მათი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებზე.

კვლევის ფარგლებში განვიხილე მთავრობის მოცემული ზომის პირობებში სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა საქართველოში. გამოვლინდა, რომ საანალიზო პერიოდში როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სისტემაში განხორციელებული ცვლილებები არ ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკის სტაბილური განვითარების მიზანს. აღნიშნული გაანგარიშების ჩასატარებლად ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნომინალურ მშპ-თან ერთად წარმოდგენილია საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, რომელთა საფუძველზე გაანგარიშებულია მთავრობის ზომა.

ცხრილი N3.2.1. ნომინალური მშპ, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები და მთავრობის ზომა 2005-2021 წლებში:

წელი	ნომინალური მშპ (მლრდ ლარი)	ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები (მლრდ ლარი)	მთავრობის ზომა (%-ში)
2005	11.6	2.4	20.9
2006	13.8	3.0	21.6
2007	17.0	4.4	25.8
2008	19.1	5.4	28.3

წელი	ნომინალური მშპ (მლრდ ლარი)	ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები (მლრდ ლარი)	მთავრობის ზომა (%-ში)
2009	17.9	5.4	30.2
2010	20.8	5.5	26.3
2011	24.2	5.8	23.9
2012	26.1	6.5	24.9
2013	26.8	6.7	25.1
2014	29.2	7.7	26.5
2015	31.7	8.2	25.8
2016	33.9	9.1	26.9
2017	38.0	9.7	25.4
2018	41.1	9.6	23.4
2019	50.0	10.8	21.7
2020	49.4	13.4	27.1
2021	60.0	14.7	24.6

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა. [https://www.mof.ge/finansebis\\_statistika\\_naerti\\_biujeti](https://www.mof.ge/finansebis_statistika_naerti_biujeti). ცხრილი შედგენილია ავტორის გაანგარიშებებზე დაყრდნობით

ცხრილიდან ჩანს, რომ ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და ნომინალური მშპ-ის სიდიდე ყოველწლიურად იზრდებოდა და 2021 წელს შესაბამისად 60.0 მლრდ ლარი და 14.7 მლრდ ლარი შეადგინა.

2005 წლიდან 2021 წლამდე მთავრობის ყველაზე დაბალი ზომა (ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები/ნომინალური მშპ) დაფიქსირდა 2005 წელს და 20.9% შეადგინა. იმავე მაჩვენებელმა ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია ეკონომიკური რეცესიის პერიოდებში, შესაბამისად, 2009 და 2020 წლებში. აღნიშნულ წლებში მშპ-ის ზრდის ტემპის შემცირებით გამოწვეულ ეკონომიკურ ვარდნაზე გავლენის მოხდენის მიზნით, მთავრობა გაძლიერებულად იყენებდა ფისკალურ სტიმულებს - გაიზარდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარდობითი სიდიდე.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპი აძლიერებს ინტერესს ეკონომიკაში მთავრობის ჩართულობის სათანადო

დონესთან დაკავშირებით. საჯარო სექტორის სიდიდის საკითხი წლების განმავლობაში ეკონომიკური და პოლიტიკური დებატების შემადგენელი ნაწილია.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის ხარჯები შესაბამისობაში იყოს ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის ოპტიმიზაციის მიზნებთან. შესაბამისად, კვლევის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებები.

ვაგნერის<sup>2</sup> კანონი ამტკიცებს, რომ როდესაც ქვეყნები ეკონომიკურად ვითარდებიან და შემოსავლები იმატებს, მთავრობის ხარჯების წილი მთლიან ეკონომიკაში იზრდება. ქვეყნის განვითარებასთან ერთად, მთავრობის მიმართ იზრდება მოთხოვნა სოციალურ მომსახურებაზე, გარდა ამისა, ჩნდება ბიზნესისთვის განვითარების დამატებითი შესაძლებლობები, რაც მთავრობას აძლევს სტიმულსა და შესაძლებლობას ხარჯების გასაზრდელად.

ვაგნერის კანონის საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამს ამერიკელი ეკონომისტი რიჩარდ კით არმი, რომლის მიერ შემუშავებულ და ეკონომიკურ მეცნიერებაში მთავრობის ზომის ცნობილ თეორიულ მოდელს - არმის მრუდს (Armey 1995) ეყრდნობა ჩემ მიერ მთავრობის ოპტიმალური ზომის დასადგენად ჩატარებული ანალიზი. არმის მრუდის კონცეფციის მიხედვით, ოპტიმალურ დონემდე მთავრობის ხარჯების ზრდა დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო ამ დონის ზემოთ - მშპ-ის შემცირებას იწვევს. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზია არაეფექტიანი რეგულაციები, ასევე სოციალური დახმარების პროგრამები, რომლებიც სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უშლის მოსახლეობის სამუშაო ძალაში ჩართულობას.

კვლევის პროცესში დიდი ინტერესი გამოიწვია საკითხმა - როგორია მთავრობის ხარჯების ოპტიმალური დონე, რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. აქედან გამომდინარე, ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა მიზნად ისახავს სამთავრობო ხარჯების გავლენის შეფასებას ეკონომიკურ ზრდაზე და ხარჯების იმ ოპტიმალური დონის განსაზღვრას, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის ეკონომიკას, რაც მნიშვნელოვანია მთავრობის პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში.


ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია არმის მრუდი (მთავრობის ზომისა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამოკიდებულება), რომელიც გვიჩვენებს, რომ

---

<sup>2</sup> ადოლფ ვაგნერი - გერმანელი ეკონომისტი (1835-1917)

მთავრობის ხარჯების ზრდა ოპტიმალურ დონემდე აჩქარებს მშპ-ის ზრდას, ოპტიმალურ წერტილში ეკონომიკური ზრდა აღწევს მაქსიმალურ შესაძლო ნიშნულს (მშპ-ის ზრდის ტემპი მაქსიმალურია), ხოლო ამ ნიშნულის შემდგომ მთავრობის მიერ ხარჯების ზრდა ამცირებს მშპ-ის ზრდის მაჩვენებელს (მშპ-ის ზრდის ტემპი თანდათანობით იკლებს). აღნიშნულის მიზეზი, როგორც წესი, გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯების დასაფინანსებლად საგადასახადო ტვირთის დამძიმების გავლენაა წარმოებაზე. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ არმის მრუდი გამოხატავს ცვლადებს შორის დამოკიდებულებას თეორიული კონცეფციის ფარგლებში.

გრაფიკი N3.2.1. მთავრობის ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი (არმის მრუდი):<sup>3</sup>



საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმალური დონის დასადგენად, განვახორციელებ ეკონომეტრიკული რეგრესიული ანალიზი, კერძოდ, გავიანგარიშებ არაწრფივი რეგრესიული მოდელის პარამეტრები. ხარჯების იმ დონის დასადგენად, რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, კვლევაში გამოყენებულია 2005-2021 წლების მონაცემები. გაანგარიშების შედეგად ავაგე არაწრფივი მოდელი, შესაბამისი ცვლადებით (ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების მშპ-თან ფარდობა და რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი).

კვლევაში გამოყენებული მონაცემებიდან რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი წარმოადგენს დამოკიდებულ ცვლადს, ხოლო ამხსნელი ცვლადია მთავრობის

<sup>3</sup> ავტორის ინტერპრეტაცია

ხარჯები, როგორც მთლიანი გამოშვების წილი. მათი მეშვეობით განვსაზღვრე ხარჯების დონე, რომლისთვისაც მშპ-ის ზრდის ტემპი მაქსიმალურია.

ზოგადად, სტრუქტურულმა ცვლილებებმა შეიძლება შექმნას კვლევაში გამოყენებული გრძელვადიანი მონაცემების სარწმუნოების პრობლემა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო პერიოდში საქართველოში სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენიათ დროითი მწკრივების მონაცემებზე.

საქართველოს მთავრობის ოპტიმალური ზომის მაჩვენებელი გამოვთვალე შემდეგი ფორმულით:

$$y = a_0 + a_1g + a_2g^2 + \varepsilon \quad (9)^4$$

$y$  არის რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი;

$g$  არის მთავრობის ხარჯების ფარდობა მშპ-თან;

$\varepsilon$  არის შეცდომების შემთხვევითი სიდიდე.

არმის მრუდის კონცეფცია გულისხმობს, რომ სამთავრობო ხარჯების ოპტიმალურ ზღვარს ზემოთ ყოველი 1%-ით გაზრდის შედეგად, მთავრობის ზღვრული ეფექტიანობა იკლებს.

ზემოთ მოცემული კვადრატული ფუნქციის საშუალებით შეგვიძლია განვსაზღვროთ არმის მრუდზე ის წერტილი, რომლისთვისაც მშპ მაქსიმალურია. ამ წერტილში მთავრობის ზომა ოპტიმალურია. თუ ამ ზომას აღვნიშნავთ  $g^*$ -ით, მაშინ მისი მნიშვნელობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$g^* = -\hat{a}_1 / 2 \hat{a}_2 \quad (10)$$

სადაც  $\hat{a}_1$  და  $\hat{a}_2$  შესაბამისად  $a_1$  და  $a_2$  კოეფიციენტების შეფასებებია. შემდგომ აღნიშნული ფორმულით გამოვთვალე საქართველოში მთავრობის ოპტიმალური ზომა.

---

<sup>4</sup>  $a_1$  კოეფიციენტის დადებითი ნიშანი მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობის მიერ გაწეულ დანახარჯებს აქვს ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ეფექტი. ხოლო კვადრატული წევრის უარყოფითი კოეფიციენტი მიანიშნებს, რომ მთავრობის ხარჯები შემამცირებელ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, ხარჯების ზღვრული დონის შემდეგ, შესაბამისად, თუ  $a_2$  კოეფიციენტი უარყოფითია, ცვლადებს შორის არმის მრუდის მსგავსი დამოკიდებულება არსებობს.

ცხრილი N3.2.2. რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი 2005-2021 წლებში (%):

წელი	რეალური მშპ-ის ზრდა (%)
2005	9.3
2006	9.4
2007	12.4
2008	2.1
2009	-3.9
2010	6.4
2011	7.2
2012	6.1
2013	3.2
2014	4.8
2015	2.8
2016	2.7
2017	5.0
2018	4.7
2019	5.1
2020	-6.2
2021	10.4

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2005-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>

აღნიშნული ცხრილის მიხედვით რეალური მშპ-ის კლება დაფიქსირდა 2009 და 2020 წლებში, რაც ბუნებრივია, შესაბამისად, გამოწვეული იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით, 2008 წლის ომის შედეგებით და მსოფლიოში გავრცელებული პანდემიით. კვლევის მიზნისთვის, 2009 წლისა და 2020 წლის მონაცემები არ არის გამოყენებული ანალიზში, დროითი მწკრივის ზოგადი საშუალო დონიდან გადახრის სიდიდის გამო. აღსანიშნავია, რომ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო ზრდამ საქართველოში 2021 წელს 10.4% შეადგინა, 2020 წელს კი დაფიქსირდა კლება 6.2%-ის ოდენობით.



ზემოთ მოცემულ ცხრილში არსებული მონაცემების საფუძველზე საქართველოში მთავრობის ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირის შესაფასებლად ჩემ მიერ ჩატარებულია რეგრესიული ანალიზი, რომლის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.<sup>5</sup>

ცხრილი N3.2.3. რეგრესიული ანალიზის შედეგები:<sup>6</sup>

ცვლადი	მთავრობის ზომა (%-ში)	მთავრობის ზომა კვადრატში (%-ში)
კოეფიციენტები	4.62	-0.11
სტანდარტული შეცდომა	8.14	0.17
t სტატისტიკა	0.57	-0.65
P - მნიშვნელობა	0.58	0.53

გამოთვლილი  $\hat{\alpha}_1$  და  $\hat{\alpha}_2$  კოეფიციენტების მნიშვნელობები, შესაბამისად ტოლია - 4.62-ის და -0.11-ის. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, მე-10 ფორმულის გამოყენებით, მიღებულია მთავრობის ოპტიმალური ზომა საქართველოსთვის:

$$g^* = -4.62 / (2 * (-0.11)) \approx 21$$


კვლევის შედეგების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი მაქსიმალურია, როდესაც მთავრობის ზომა 21%-ს შეადგენს. ქვეყანაში მთავრობის ზომა განსახილველი პერიოდის განმავლობაში საშუალოდ 25%-ს შეადგენდა, რაც 4%-ით აღემატება მთავრობის ოპტიმალურ ზომას. რეგრესიული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, ავაგე არმის მრუდი საქართველოსათვის.

ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს, რომ საქართველოს მთავრობის ზომა არმის მრუდის უარყოფითად დახრილ მხარესაა, რაც ადასტურებს მთავრობის მიერ ხარჯების შემცირების საჭიროებას. სასურველია, რომ საშუალოვადიან პერიოდში ეტაპობრივად მოხდეს მთავრობის ზომის შემცირება, რათა ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების ეფექტიანობა გაიზარდოს.

<sup>5</sup> რეგრესიული ანალიზი ჩატარებულია კომპიუტერულ პროგრამა Microsoft Excel-ში

<sup>6</sup> ავტორის გაანგარიშებები

გრაფიკი N3.2.2. მთავრობის ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი საქართველოში:<sup>7</sup>



თუ გავითვალისწინებთ ნომინალური მშპ-ის პროგნოზს 2023 წლისთვის, კვლევის შედეგად მიღებული საქართველოს მთავრობის ოპტიმალური ზომის საფუძველზე შეგვიძლია გამოვთვალოთ ამავე პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების ოპტიმალური, საორიენტაციო მოცულობა. გაანგარიშების შედეგები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ცხრილი N3.2.4. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით და ავტორის მიერ გაანგარიშებული ხარჯების ოპტიმალური ოდენობა 2023 წელს:

წელი	2023
	პროგნოზი
ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით (მლნ ლარი)	17 411.7
ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების გაანგარიშებული ოპტიმალური ოდენობა (მლნ ლარი)	16 733.8

<sup>7</sup> გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ

ცხრილიდან ჩანს, რომ 2023 წელს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების პროგნოზირებული მოცულობა აღემატება ამავე წლის ხარჯების გაანგარიშებულ ოპტიმალურ ოდენობას. შესაბამისად, კვლევის შედეგების საფუძველზე, ეკონომიკის ზრდის ხელშესაწყობად, შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია მთავრობის ხარჯების შემცირების მიმართულებით. ამასთან, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ისიც, რომ რეცესიის დროს ფისკალური პოლიტიკის მიმართულება შესაძლებელია განისაზღვროს სოციალური პოლიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე.

### 3.3. საგადასახადო შემოსავლების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის განსახორციელებლად სახელმწიფო დაბეგვრის სისტემის გამართულ მუშაობასა და სათანადო საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილება რამდენჯერმე განხორციელდა. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩავთვალე გამომეკვლია საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებების, კერძოდ კი საგადასახადო შემოსავლების ცვლილების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია ემპირიული მტკიცებულებების სწორი ინტერპრეტაცია.

საგადასახადო შემოსავლების ოდენობა საქართველოში წლების განმავლობაში განუწყვეტლივ იზრდებოდა და 2020 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 22.2%-ს მიაღწია. ქვემოთ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საფუძვლად უდევს საქართველოს საგადასახადო შემოსავლებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის გამოკვლევას. ამ მიზნით, ეკონომეტრიკულ-სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით საქართველოს მაგალითზე მოხდა საგადასახადო მოდელის ემპირიული რეალიზაცია.

მთლიან შიდა პროდუქტსა და გადასახადებს შორის არსებული დამოკიდებულების ასახნელად კვლევის მასალებში გამოყენებული მაქვს განაწილებულ ლაგიანი ავტორეგრესიული მოდელი (ARDL). მოცემული მოდელის არჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეკონომიკაში მაკროეკონომიკური ცვლადები მუდმივად ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ხშირად ეს გავლენა მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ პოულობს ასახვას. გარდა ამისა, აღნიშნულ მეთოდს კონტეგრაციის სხვა მეთოდებთან შედარებით რამდენიმე უპირატესობა აქვს. უპირველეს ყოვლისა, იგი შესაძლებლობას გვაძლევს მოდელში გავითვალისწინოთ შედეგობრივი და ფაქტორული ცვლადების ლაგური მნიშვნელობები, აგრეთვე გამოვავლინოთ მათ შორის არსებული დამოკიდებულებები. ამასთან, ARDL მიდგომის გამოყენებისას მიიღება უფრო რეალური შეფასებები. მისი გამოყენება საკმაოდ ეფექტურია შერჩევის მცირე მოცულობის პირობებშიც.

კვლევის პროცესში შემოწმდა პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე. ემპირიულ კვლევაში გამოყენებულია ფინანსთა სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები (იხ. დანართი N4).<sup>8</sup> კვლევაში თანმიმდევრული და სანდო ემპირიული შედეგების მისაღებად, მიზანშეწონილად ჩავთვალე მთლიანი შიდა პროდუქტისა და გადასახადების ცვლადების სეზონურად დაკორექტირება და გალოგარიტმება. ემპირიული შეფასებისთვის, მოდელი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

$$LGDP_t = \alpha_0 + \alpha_1 LIT_t + \alpha_2 LDT_t + \varepsilon_t \quad (1)$$

ზემოთ მოცემულ განტოლებაში, GDP გვიჩვენებს ეკონომიკურ ზრდას და არის მოდელის დამოკიდებული ცვლადი, IT არის არაპირდაპირი გადასახადები, DT არის პირდაპირი გადასახადები,  $\alpha_0$  არის მუდმივი წევრი,  $\alpha_1$  და  $\alpha_2$  არიან კოინტეგრირების ვექტორები,  $\varepsilon_t$  კი - შეცდომა.

ემპირიული კვლევის პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია დროითი მწკრივების სეზონურობის ანალიზი. კვარტალური დროითი მწკრივები ხშირად ხასიათდება მნიშვნელოვანი სეზონური ცვალებადობით, რამაც შესაძლოა გაართულოს პერიოდთაშორისი შედარება. ამიტომ ასეთი დროითი მწკრივები ექვემდებარება სეზონური კორექტირების პროცესს, რათა აღმოიფხვრას სეზონური რყევების ეფექტი. მას შემდეგ, რაც მონაცემები დარეგულირდება სეზონური კორექტირების საშუალებით, ჩნდება დროითი მწკრივების უფრო ნათელი სურათი.

დროითი მწკრივების პირველადი ანალიზის შედეგად დადასტურდა მათში სეზონურობის კომპონენტის არსებობა. სეზონურობის აღმოსაფხვრელად, ცვლადების ხასიათიდან გამომდინარე, გამოყენებულია სრიალა საშუალოს მეთოდი.

შემდგომ ეტაპზე მოხდა მოდელში ჩართული ცვლადების აღწერა. დროითი მწკრივების სტატისტიკური მახასიათებლები წარმოდგენილია N3.3.1 ცხრილში.

<sup>8</sup> კვლევა ჩატარებულია კომპიუტერულ პროგრამა Eviews-ში

ცხრილი N3.3.1. დროითი მწკრივების აღწერითი სტატისტიკა:<sup>9</sup>

მახასიათებელი	მთლიანი შიდა პროდუქტი	პირდაპირი გადასახადები	არაპირდაპირი გადასახადები
საშუალო	5 771	657	900
მედიანა	5 777	682	900
მაქსიმუმი	7 723	1 341	1 532
მინიმუმი	3 820	118	288
სტანდარტული გადახრა	1 060	316	344
ასიმეტრიის კოეფიციენტი	0.045	0.08	0.24
ექსცესის კოეფიციენტი	1.964	2.16	2.18
ჟარკ-ბერა	2.614	1.75	2.19
ალბათობა	0.27	0.42	0.33

ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ადასტურებს, რომ მონაცემთა ნაკრების გამოყენება შესაძლებელია საფუძვლიანი კვლევის ჩასატარებლად. ჟარკ-ბერას ტესტის<sup>10</sup> შედეგად ვასკვნიტ, რომ ყველა ცვლადი ნორმალურად არის განაწილებული, ვინაიდან ალბათობა თითოეული ცვლადის შემთხვევაში აღემატება 0.05-ს (კვლევის მიზნისთვის შერჩეულია 5%-იანი მნიშვნელოვნების დონე).

როგორც კვლევის შემდგომი ეტაპი ითვალისწინებს, ARDL მოდელის სპეციფიკაციამდე აუცილებელია დროითი მწკრივების სტაციონარულობის დადგენა, რათა თავიდან იქნას აცილებული ე.წ ცრუ რეგრესიის საფრთხე. ანალიზის შედეგების სიზუსტის მიზნით, უმჯობესია გაფართოებული დიკი-ფულერის (ADF) ტესტის გამოყენება. ნულოვანი ჰიპოთეზით დროითი მწკრივები შეიცავენ ერთეულოვან ფესვს ანუ არ არიან სტაციონარულები.

<sup>9</sup> ავტორის განგარიშებები

<sup>10</sup> ტესტი ატარებს თანამედროვე ეკონომეტრიკოსების მექსიკელი კარლოს ჟარკისა და ინდოელი ანილ ბერას სახელს.

დროითი მწკრივების სტაციონარულობის დასადგენად, მშპ-ის, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სეზონურად მოსწორებული ლოგარითმული მნიშვნელობები შემოწმდა დიკი-ფულერის ტესტით. ტესტის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N3.3.2. მთლიანი შიდა პროდუქტის, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ერთეულოვანი ფესვის ტესტირების შედეგები:<sup>11</sup>

დასახელება			ADF		
			კრიტიკული მნიშვნელობა (5%-იანი მნიშვნელობების დონით)	Test სტატისტიკა	P მნიშვნელობა
მშპ	Level	მუდმივა	-2.914	-1.498	0.5275
		მუდმივა და წრფივი ტრენდი	-3.497	-4.515	0.0035
	first difference	მუდმივა	-2.915	-8.553	0.0
		მუდმივა და წრფივი ტრენდი	-3.492	-8.551	0.0
პირდაპირი გადასახადები	level	მუდმივა	-2.917	-3.160	0.028
		მუდმივა და წრფივი ტრენდი	-3.495	-2.892	0.173
		მუდმივა	-2.916	-7.470	0.0

<sup>11</sup> ავტორის გაანგარიშებები

	first difference	მუდმივა და წრფივი ტრენდი	-3.495	-6.298	0.0
არაპირდაპირი გადასახადები	level	მუდმივა	-2.917	-1.655	0.448
		მუდმივა და წრფივი ტრენდი	-3.497	-4.560	0.003
	first difference	მუდმივა	-2.917	-4.324	0.001
		მუდმივა და წრფივი ტრენდი	-3.495	-4.420	0.005

როდესაც ცვლადის შესაბამისი Test სტატისტიკა ნაკლებია მისივე კრიტიკულ მნიშვნელობაზე, ხოლო P მნიშვნელობა ნაკლებია 0.05-ზე, ვასკვნით, რომ დროითი მწკრივი სტაციონარულია. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგებით, ცვლადების მნიშვნელობები სტაციონარულია არა უმეტეს პირველი რიგის სხვაობით. ARDL მიდგომა საშუალებას იძლევა ცვლადები იყვნენ სტაციონარულები სხვადასხვა დონეზე (I(0), I(1)), ხოლო რეგრესორებს ჰქონდეთ განსხვავებული ოპტიმალური ლაგების რიცხვი.

შემდგომ ეტაპზე ავაგე გადასახადები-მშპ-ის ARDL მოდელი, სადაც დამოკიდებულ ცვლადს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი. ლაგების ოპტიმალური სიგრძის შერჩევა მოხდა ავტომატურად (აკაიკის ინფორმაციული კრიტერიუმის (AIC) გამოყენებით). კვლევის შედეგად შეფასებული 100 მოდელიდან შეირჩა ოპტიმალური მოდელი ARDL (1,1,0).

ცხრილი N3.3.3. ARDL მოდელის მახასიათებლები:<sup>12</sup>

ცვლადი	კოეფიციენტი	ალბათობა
Log(GDP(-1))	0.566	0.0000
Log(DT)	0.020	0.3025
Log(DT(-1))	-0.045	0.0128

<sup>12</sup> ავტორის გაანგარიშებები



ცვლადი	კოეფიციენტი	ალბათობა
Log(IT)	0.122	0.0033
C	3.016	0.0002
TREND	0.003	0.0026

N3.3.3 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ რეგრესორების უმეტესობა მნიშვნელოვანია 5%-იანი მნიშვნელოვნების დონით, ვინაიდან მათი ალბათობები ნაკლებია 0.05-ზე.

კვლევის შემდგომ ეტაპზე ცვლადებს შორის გრძელვადიანი კონტეგრაციული დამოკიდებულების არსებობის გამოსავლენად ჩატარდა „საზღვრების ტესტი“ (იხ. დანართი N8.3). ამ ტესტის ნულოვან და ალტერნატიულ ჰიპოთეზებს აქვთ შემდეგი სახე:

$H_0 : \alpha_0 = \alpha_1 = \alpha_2 = \alpha_3 = 0$  (დროით მწკრივებს შორის არ არსებობს კონტეგრაცია)

$H_1 : \alpha_0 \neq \alpha_1 \neq \alpha_2 \neq \alpha_3 \neq 0$  (დროით მწკრივებს შორის არსებობს კონტეგრაცია)

კონტეგრაციის შესახებ საზღვრების ტესტის შედეგები წარმოდგენილია N3.3.4 ცხრილში.

ცხრილი N3.3.4. მოდელში ჩართული ცვლადების კონტეგრაციის შესახებ ტესტის შედეგები:<sup>13</sup>

ტესტის სტატისტიკა	მნიშვნელობა	მნიშვნელოვნების დონე	I(0)	I(1)
F-სტატისტიკა	7.44	10%	4.19	5.06
		5%	4.87	5.85
		2.5%	5.79	6.59
		1%	6.34	7.52

ცხრილიდან ჩანს, რომ F-სტატისტიკის მნიშვნელობა (7.44) აღემატება კრიტიკული წერტილების ზედა ზღვარს (I(1)-ის მნიშვნელობას) 5%-იანი მნიშვნელოვნების დონით. შესაბამისად, შეგვიძლია უარყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა და დავასკვნათ, რომ დროით მწკრივებს შორის არსებობს კონტეგრაცია.

ARDL მოდელის შეფასებით მიღებული გრძელვადიანი კოეფიციენტების ინტერპრეტაცია შესაძლოა განხორციელდეს შემდეგნაირად: პირდაპირი

<sup>13</sup> ავტორის გაანგარიშებები

გადასახადების კოეფიციენტი -0.059-ის ტოლია, ხოლო არაპირდაპირის - 0.282-ის, რაც ნიშნავს, რომ პირდაპირი გადასახადების 1%-ით ზრდა მომავალში გამოიწვევს მშპ-ის დაახლოებით 0.06%-ით შემცირებას, ხოლო არაპირდაპირისა - მშპ-ის 0.28%-ით ზრდას. ამასთან, ARDL მოდელის გრძელვადიანი ფორმის შეფასებით არაპირდაპირი გადასახადები მნიშვნელოვანი ცვლადია, ხოლო პირდაპირი გადასახადები - არამნიშვნელოვანი (იხ. დანართი N8.3). ასევე, რეგრესორებიდან მნიშვნელოვანია მუდმივა და ტრენდიც.

ზემოაღნიშნულ გაანგარიშებაზე დაყრდნობით და მონაცემების პირველ განტოლებაში ინტეგრირებით მიღებულია შემდეგი სახის მოდელი საქართველოს ეკონომიკისთვის:

$$LGDP_t = 0.57*LGDP_{t-1} + 3.02 + 0.28*LIT_t - 0.06*LDT_{t-1} + 0.003*TREND \quad (2)$$

ARDL-ის მახასიათებლების სპეციფიკაციის შემდგომ, მოდელი შემოწმდა სტაბილურობაზე CUSUM და CUSUMSQ ტესტებით და აღმოჩნდა, რომ შეფასებული კოეფიციენტები სტაბილურია მათ გრძელვადიან ელასტიურობასთან ერთად (იხ. დანართი N9.1). შესაბამისად, ARDL მოდელი არის სტაბილური, რადგან CUSUM და CUSUMSQ სტატისტიკის გრაფიკი 5%-იან საზღვარს არ სცდება.

მოდელი შემოწმდა ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არსებობაზე ბრომ-გოდფრის ტესტით (იხ. დანართი N9.2) და შედეგად მიღებულია ნულოვანი ჰიპოთეზა ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არარსებობაზე. ამავდროულად, მოდელი შემოწმდა ჰეტეროსკედასტურობის პრობლემაზე უაითის ტესტით (იხ. დანართი N9.3) და აღმოჩნდა, რომ ნარჩენობით წევრებში არ შეინიშნება ჰეტეროსკედასტურობა. შესაბამისად, მოდელის შეფასების შედეგებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე აგებული ARDL მოდელი წარმოადგენს საიმედოს, რადგან არ შეინიშნება სერიული კორელაცია, ამასთან, მოდელში ჩართული ამხსნელი ცვლადების კოეფიციენტების უმრავლესობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. მოდელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ვინაიდან დეტერმინაციისა და კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტები საკმაოდ მაღალია და 1-ს უახლოვდება (0.9895, 0.9885). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოდელი გამოდგება გრძელვადიანი პროგნოზის გასაკეთებლად,

როდესაც მასში დამოუკიდებელი ცვლადის სახით ჩართულია არაპირდაპირი გადასახადები.

კვლევის შემდგომ ეტაპზე მოვახდინე ცდომილების კორექციის მოდელის (ECM) მახასიათებლების განსაზღვრა (იხ. დანართი N8.4). მასში არსებული კონტეგრაციის განტოლება აღწერს ცვლადებს შორის არსებულ გრძელვადიან დამოკიდებულებას, ხოლო დანარჩენი ცვლადები - მოკლევადიან დამოკიდებულებას. შესაბამისად, ცდომილების კორექციის მოდელი შესაძლებელს ხდის, რომ მოდელში ნაჩვენები იყოს როგორც ამხსნელი ცვლადების მოკლევადიანი ეფექტები დამოკიდებულ ცვლადზე, ასევე, გრძელვადიანი წონასწორობის აღდგენის სიჩქარე.

ცხრილი N3.3.5. ცდომილების კორექციის მოდელის მახასიათებლები:<sup>14</sup>

C	3.016	0.0000
TREND	0.003	0.0001
D(LDT)	0.020	0.2297
Cointeq(-1)	-0.434	0.0000

ცხრილში წარმოდგენილი გაანგარიშებების საფუძველზე აგებულ შეცდომების კორექციის მოდელს საქართველოს შემთხვევაში აქვს შემდეგი სახე:

$$\Delta LGDP_t = 3.02 + \Delta 0.06 * LDT_t + 0.003 * TREND - 0.43 * CointEq(-1) \quad (3)$$

ცხრილის მიხედვით, გრძელვადიანი წონასწორობიდან გადახრის კორექტირების კოეფიციენტი შეადგენს -0.43-ს, ამასთან, იგი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ წინა პერიოდის (ჩვენ შემთხვევაში კვარტლის) გრძელვადიანი წონასწორობიდან გადახრის კორექტირება ხდება მომდევნო კვარტალში დაახლოებით 43%-ით. რაც შეეხება დიფერენცირებულ პირდაპირ გადასახადებს, მისი შესაბამისი კოეფიციენტი არამნიშვნელოვანია.

კვლევის შედეგების თანახმად:

- პირდაპირი გადასახადების განაკვეთების ზრდა, რომელიც ამცირებს განკარგვად შემოსავლებს და შესაბამისად, ერთობლივ მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე, უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე;

<sup>14</sup> ავტორის გაანგარიშებები

- საქონელსა და მომსახურებაზე მთლიანი მოთხოვნის შემცირება, თავის მხრივ, ამცირებს არაპირდაპირ საგადასახადო შემოსავლებს. შედეგად საქონელსა და მომსახურებაზე მთლიანი დანახარჯების დონის შემცირება გამოიწვევს დამატებული ღირებულების გადასახადის შემოსავლების შემცირებას, რაც საბოლოო ჯამში არაპირდაპირი გადასახადების უდიდეს ნაწილს შეადგენს;
- მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში საგადასახადო განაკვეთების ზრდა ანელებს ეკონომიკურ ზრდას, შეიძლება საქონელსა და მომსახურებაზე მთლიანი მოთხოვნის შემცირებით დადებითად იმოქმედოს ცალკეული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე, კერძოდ კი, ინფლაციის შემცირებაზე.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა მოტივირებული იყო გადასახადების გავლენის ემპირიული ანალიზის საჭიროებით ეკონომიკურ ზრდაზე. კვლევიდან გამომდინარე:

- არსებობს არაპირდაპირი გადასახადების დადებითი და მნიშვნელოვანი გავლენა, ასევე, პირდაპირი გადასახადების უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე;
- გადასახადის გადამხდელებისგან შეგროვებული საშემოსავლო და მოგების გადასახადები უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ამცირებენ ეკონომიკური აგენტების განკარგვად შემოსავლებს.
- დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი, რომლებიც არაპირდაპირ გადასახადებს წარმოადგენენ, დადებითად მოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე სახელმწიფოს შემოსავლების გაზრდის საშუალებით.

კვლევა ადასტურებს, რომ არაპირდაპირი გადასახადები დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ამგვარადვე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკურ ზრდას სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები უწყობს ხელს. ამის საპირისპიროდ, აღმოჩნდა, რომ პირდაპირ გადასახადებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის უარყოფითი კავშირია. მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების ზრდა აფერხებს ფირმებისა და ფიზიკური პირების მიერ კერძო ინვესტიციების

განხორციელებას. ამიტომ მიმაჩნია, რომ საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირი გადასახადების წილის კლება არაპირდაპირის ზრდის ხარჯზე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას საქართველოში (გასათვალისწინებელია, რომ კვლევა შეზღუდული იყო მონაცემთა ბაზის ზომით).

### 3.4. სახელმწიფო ვალი და მისი მართვის პრობლემები საქართველოში

სახელმწიფო ვალის მართვა და რეგულირება ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი გადამწყვეტი ამოცანაა. ვალის მართვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაკრო-ფისკალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ვალის მოცულობის სწორად განსაზღვრა შესაძლებელს ხდის, რომ სახელმწიფომ თავიდან აირიდოს მასთან დაკავშირებული ზედმეტი დანახარჯები. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში ვალის მართვის ეფექტიანობის შეფასება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტი ხასიათდებოდა ძირითადად, როგორც დეფიციტური, 2004 წლის შემდგომ პერიოდში კი პროფიციტული გახდა, მაგრამ დადებითი ტენდენცია მხოლოდ 2008 წლის ომამდე და ეკონომიკურ კრიზისამდე შენარჩუნდა. მაშინ დეფიციტის შევსება საგარეო დახმარებების წყალობით მოხდა. მას შემდეგ დღემდე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ხასიათდება, როგორც დეფიციტური, რაც პირველ რიგში, გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის არასაკმარისი დონითა და სახელმწიფო ხარჯების ზრდით.

არსებობს ორი სახის დეფიციტი: ციკლური და სტრუქტურული. პირველი მათგანი წარმოების დაცემის შედეგია, მეორე კი - მთავრობის მიერ გატარებული ფისკალური პოლიტიკის. ფისკალური დეფიციტი შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით: გადასახადების გადაუხდელობის მაღალი დონე, შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მთავრობის არაეფექტიანი მუშაობა, სამთავრობო სუბსიდიების მაღალი დონე და ა.შ.

რეცესიის დროს, შემოსავლებისა და გამოშვების შემცირების პარალელურად, მცირდება საგადასახადო ვალდებულებებიც, რაც ცნობილია ავტომატური სტაბილიზატორის სახელით.

ბიუჯეტის დეფიციტი და მისი დაფინანსების ფორმები ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. როგორც წესი, მთავრობა ხარჯების დასაფინანსებლად იყენებს შემდეგ ძირითად გზებს: გადასახადების ზრდა, შიდა და საგარეო ვალის აღება.

ბოლოდროინდელი ეკონომიკური კრიზისის გავლენის გამო ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა როგორც ფისკალური დეფიციტი, ასევე სახელმწიფო ვალის სიდიდე. ბიუჯეტის დეფიციტი ვლინდება მაშინ, როდესაც ხარჯების

დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტში არ არის მობილიზებული საკმარისი საგადასახადო შემოსავლები. აღნიშნულის გამო სახელმწიფოს უჩნდება ფულის სესხების საჭიროება. როგორც წესი, გადასახადების ზრდით დაფინანსებული ბიუჯეტის დეფიციტი უარყოფითად მოქმედებს შრომისა და წარმოების სტიმულებზე, ხოლო დეფიციტის დაფარვა ფულის მასის ზრდით იწვევს ინფლაციას. ამდენად, სახელმწიფოები სამთავრობო ხარჯების დაფინანსებისას უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფო შიდა ან საგარეო ვალების აღებას.

სტატისტიკურად, ბიუჯეტის მთლიანი სალდო მუდმივად იცვლება და მისი ოდენობა არა მხოლოდ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არამედ ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეცაა დამოკიდებული.

სახელმწიფო ვალი იზრდება დეფიციტური ბიუჯეტის არსებობისას მთავრობის დანახარჯების ზრდის პარალელურად, რაც ისტორიულად დაკავშირებულია რეცესიასთან. ბიუჯეტის დეფიციტის მიზეზი შეიძლება, ასევე, გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად საგადასახადო განაკვეთების შემცირებაც.

სახელმწიფო ვალის სიდიდიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის არსებობა, რომელიც ასახავს ამ საკითხში მთავრობის პოლიტიკას, მიზნებს და წარმოადგენს მთავრობის სამოქმედო გეგმას ვალის სასურველი პორტფელის მისაღებად.

მთავრობის ვალის მართვის მიზანია, ერთი მხრივ, საჭირო ფინანსების მოძიება, მეორე მხრივ, მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

სახელმწიფო ვალი შედგება საშინაო და საგარეო ვალისაგან. საშინაო ვალი აერთიანებს სახაზინო და სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს - სახელმწიფო ობლიგაციებს, საგარეო ვალი კი - მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალს. სახელმწიფო ვალის სიდიდის შესაფასებლად გამოიყენება რიგი ინდიკატორები: ვალის თანაფარდობა საბიუჯეტო შემოსავლებთან, მშპ-თან და ექსპორტთან (გამოსახული პროცენტში). სამივე მათგანი გამოხატავს ქვეყნის ფისკალურ მდგომარეობას. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია ვალის თანაფარდობა ნომინალურ მშპ-თან. სსფ-ის რეკომენდაციით, ვალის მდგრადობის

შენარჩუნების მიზნით, განვითარებულ ქვეყნებში ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 50%-ს.

საქართველოს სახელმწიფო ვალის ფორმირებას არეგულირებენ: საქართველოს კანონები „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ და „სახელმწიფო ვალის შესახებ“.

ვალის მართვის სტრატეგია ვრცელდება საქართველოს მთავრობის ვალზე. საგარეო ვალის მდგრადობა წლების განმავლობაში განაპირობებდა საქართველოს შედარებით მაღალ საკრედიტო რეიტინგს, რასაც წამყვანი სარეიტინგო სააგენტოებიც აღიარებდნენ. წლების მანძილზე ქვეყნის მიერ მოზიდული ფინანსური რესურსები გამოიყენებოდა საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. ამჟამად მთავრობას ძირითადად აღებული აქვს შეღავათიანი საგარეო სესხები, რომელთა უმეტესობა გამოიყენება განვითარების პროექტების დასაფინანსებლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს საერთაშორისო დონორებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, რომლის მთავარი მიზანია დაფინანსებული პროექტებისა და პროგრამების ეფექტიანობის ზრდა და მათი მორგება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებზე. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს მიზანია დონორი ორგანიზაციებისაგან შეღავათიანი პირობებით სესხება, ვალის ხელსაყრელი პარამეტრების შესანარჩუნებლად.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სახელით სესხს იღებს მთავრობის თანხმობით, საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციის შედეგად.

საქართველოს მთავრობა ფინანსურ რესურსებს იზიდავს როგორც ორმხრივი და მრავალმხრივი კრედიტორებისაგან, ასევე, ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით. ფინანსური რესურსების მოზიდვის მთავარი მიზანი კაპიტალური პროექტების დაფინანსება და მთავრობის მიერ დაგეგმილი რეფორმების მხარდაჭერაა.

მოზიდული ფინანსური რესურსებით უნდა დაფინანსდეს მხოლოდ კაპიტალური დანიშნულების ხარჯები და დაიფაროს ადრე აღებული ფინანსური ვალდებულებები. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 2011 წლიდან მოყოლებული თითქმის ყოველთვის დადებითი იყო, გამონაკლისს შეადგენდა 2014 და 2016 წლები. 2019 წელს საოპერაციო სალდო შეადგენდა 699.5 მლნ ლარს (მშპ-ის 1.4%), შესაბამისად,



მიმდინარე შემოსავლები სრულად აფინანსებდა მიმდინარე ხარჯებს. 2020 წელს დაფიქსირდა უარყოფითი სალდო 2 043.5 მლნ ლარის ოდენობით, 2021 წლისთვის კი დაგეგმილი იყო, ასევე, უარყოფითი საოპერაციო სალდო 1 579.0 მლნ ლარი, რაც ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებისა და საბიუჯეტო პოლიტიკის ხარვეზების მანიშნებელია.

ვალის მართვის ჯანსაღი პოლიტიკის წარმოებისას, ასიგნებების ნაწილი მიემართება სესხის ძირითადი თანხის დასაფარად, დანარჩენი კი - კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად. თუმცა ქვეყნის განვითარების ხელშესაწყობად და მისი ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, ინვესტიციების მოცულობის ზრდა არის საჭირო, რისთვისაც ხელისუფლება იღებს დამატებით საგარეო და საშინაო სესხებს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველო საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ „საქართველოს შეღავათიან დაფინანსებაზე წვდომა ექნება საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან ერთად, შეღავათიანი სესხების მოცულობები თანდათან შემცირდება“ (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2023). ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შემცირებასთან ერთად, მიზანშეწონილია მათი ჩანაცვლება მოხდეს ადგილობრივი ბაზრის ინსტრუმენტებით მოზიდული ფულადი სახსრებით.

ვალის მართვის სტრატეგიის მიზნებს წარმოადგენს: მთავრობის ფინანსური საჭიროებების დაფინანსება ადეკვატური რისკების ფარგლებში და მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

მნიშვნელოვანია ხარჯების მინიმიზაცია საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, რაც ხელს შეუწყობს მთავრობის ვალის მდგრადობას, რეფინანსირების, საპროცენტო განაკვეთისა და გაცვლითი კურსის რისკების გათვალისწინებით.

ვალის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მიმოქცევაში არსებული ფასიანი ქაღალდების მოცულობის ზრდა, რაც იწვევს ინვესტორთა ბაზის გაფართოებას. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო განვითარებულია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მით ნაკლებია სესხების მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები და რისკები, უფრო განვითარებულია

ქვეყანაში კაპიტალის ბაზარი, რაც, თავის მხრივ, დამატებით ფინანსურ რესურსებს ქმნის ბაზრის მონაწილეთათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული მთავრობის ფასიანი ქაღალდები - სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები ხელი უწყობს ქვეყნის შიგნით ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარებას. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების ემისია ახდენს ბიუჯეტის დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას. ფასიან ქაღალდებზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, სამინისტრო ეტაპობრივად ზრდის სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობასა და ვადიანობას.

ამჟამად მთავრობის ფასიანი ქაღალდების მფლობელები ძირითადად კომერციული ბანკები არიან. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზნით უნდა მოხდეს სხვა პოტენციური ინვესტორების დაინტერესება. აღნიშნულს კი მიმდინარე ეტაპზე აფერხებს ბაზრის მცირე ზომა და მეორადი ბაზრის განვითარების დაბალი დონე. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ემისიის ზრდასთან ერთად, გაიზრდება მათზე მოთხოვნა, შემცირდება საპროცენტო განაკვეთები და ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული რისკები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2008 წელს პირველად გამოუშვა ევროობლიგაციები, რამაც ქვეყანა გაიყვანა კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე და გააცნო არაერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციონალურ ინვესტორს. შესაბამისად, წახალისდა ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინება. 2011 წელს საქართველომ გამოუშვა ფინანსური პარამეტრების თვალსაზრისით მიმზიდველი 10-წლიანი ევროობლიგაციები, რომელთა ხარისხი არ ჩამოუვარდებოდა მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე სახელმწიფოთა ფასიანი ქაღალდებისას. ამ ღონისძიების ფარგლებში 2008 წელს გამოშვებული 5-წლიანი ევროობლიგაციები წინსწრებით დაიფარა.

2018 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დაიწყო ახალი ფინანსური ინსტრუმენტის - ბენჩმარკ ბონდების რეგულარული ემისია, რამაც შესაძლოა გაზარდოს ინვესტორების დაინტერესება საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდებით. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათი ლიკვიდურობის ზრდას. ბენჩმარკ ბონდები არიან შერჩეული სახაზინო ობლიგაციები, რომელთა

ემისიების პერიოდულობა წინასწარ არის ცნობილი და გამოშვებულია თანაბარი მოცულობებით. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და ქვეყნის ცენტრალური ბანკის რეკომენდაციით, ასევე, ბაზრის სიმცირის გათვალისწინებით, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მოცულობამ დაახლოებით 240 მლნ ლარი შეადგინა.

ბაზარზე ახალი ტიპის ფასიანი ქაღალდების გამოჩენა გააუმჯობესებს პირველადი ბაზრის პროგნოზირებადობას, გაზრდის მეორად ვაჭრობებსა და მსხვილი საინვესტიციო ფონდების დაინტერესებას და შესაბამისად, საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებას.

უმეტეს შემთხვევაში, ფისკალური პოლიტიკის ცვლილება „რომელსაც ხელსაყრელი ეკონომიკური გავლენა აქვს მოკლევადიან პერიოდში, გრძელვადიან პერიოდში გამოშვებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. აღნიშნული ფენომენის მიზეზად მოიაზრება ის ფაქტი, რომ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა მოკლევადიან პერიოდში განაპირობებს მოთხოვნაზე ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, გამოშვებას და შემოსავალს ზრდის და შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლებს, მაგრამ როგორც წესი, არა იმ მასშტაბით, რომ განეიტრალებულ იქნას დეფიციტის ზრდა“ (საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი 2015). შედეგად, ამგვარი პოლიტიკა სახელმწიფო ვალის ზრდის მიზეზი ხდება.


მოკლევადიან პერიოდში მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობს ერთობლივი მოთხოვნის და შესაბამისად, დასაქმებისა და წარმოების ზრდას. გრძელვადიან პერიოდში კი ერთ-ერთი ინსტრუმენტი პოტენციურ მთლიან შიდა პროდუქტზე გავლენის მოსახდენად არის სახელმწიფო ვალის ოდენობის ცვლილება.

ხელისუფლება ანტიციკლურ ფისკალურ პოლიტიკას იყენებს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ცალკეული მკვლევარების აზრით, ფისკალური პოლიტიკის შერბილება არ არის გამართლებული დიდი საგარეო დისბალანსის არსებობისას. ეკონომისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ მკაცრ ფისკალურ პოლიტიკას სახელმწიფო ვალის შემცირების გზით შეუძლია ინვესტორთა მოლოდინებზე დადებითი ზემოქმედება მოახდინოს. აღნიშნულის შედეგად დამატებით მოზიდული კერძო ინვესტიციები, მთავრობის ხარჯების შემცირებითა და გადასახადების ზრდით გამოწვეულ ერთობლივი მოთხოვნის კლებას დააკომპენსირებს.

დევიდ რიკარდოს ექვივალენტობის თეორემით, გადასახადების შემცირება და საპირისპიროდ, სახელმწიფო ვალის ზრდა, გამოიწვევს უფრო მაღალ გადასახადებს მომავალში. შესაბამისად, ამგვარი პოლიტიკა ვერ იქნება მოხმარების ზრდის სტიმული. ამგვარად, ვალით დაფინანსებული გადასახადების კლება მომავალში საგადასახადო ტვირთის ზრდის გამოწვევის მიზეზი შეიძლება გახდეს.

მიმზიდველი საინვესტიციო გარემოსა და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ასევე, სახელმწიფოს მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების შესრულების მიზნით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის შემცირებასა და კონტროლს.

გრაფიკი N3.4.1. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 2011-2021 წლებში (%-ად მშპ-თან):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველოს 2011-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. <https://www.mof.ge/4564>. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მთლიანი შიდა პროდუქტი, მიმდინარე ფასებში. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>. გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ

გრაფიკიდან ჩანს, რომ დეფიციტის სიდიდე 2011-2012 წლებში მცირდებოდა, შემდეგ 2013-2014 წლებში კი გაიზარდა და 662.6 მლნ ლარი შეადგინა. ამის შემდგომ წლებში, 2019 წლამდე, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-თან მიმართებაში მერყეობდა 1.2 %-სა და 2.9%-ს შორის. 2020 წელს კი დეფიციტი მკვეთრად გაიზარდა და 4 264.3 მლნ ლარი შეადგინა. 2021 წლის ბიუჯეტიც დეფიციტურად იყო დაგეგმილი, თუმცა გათვალისწინებული იყო საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური

დეფიციტის თანმიმდევრული შემცირების პოლიტიკის გახორციელება. 2021 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი 3 846.1 მლნ ლარზე იყო დაგეგმილი, ხოლო ნომინალური მშპ-ის ზრდა წინა წელთან შედარებით 8.3%-ზე, შესაბამისად, პროგნოზით საბიუჯეტო დეფიციტი 7.2%-ის ტოლი უნდა გამხდარიყო. აღნიშნულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 3 779.2 მლნ ლარს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს არა მხოლოდ ბიუჯეტის მთლიანი სალდო იყო უარყოფითი, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები გეგმით აღემატებოდა შემოსავლებს და შესაბამისად, საოპერაციო სალდოც უარყოფითი იყო, რაც საყურადღებო ფაქტია.

საჭიროა, საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები. მაგალითისთვის, 2015 წელს საქართველოს მთავრობამ 6 მარტის №422 განკარგულებით საქართველოს სამინისტროებს, სახელმწიფო მინისტრების აპარატებს და საქართველოს მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებულ მხარჯავ დაწესებულებებს 2015-2016 წლებისთვის ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება დაავალა. განკარგულებით შეიზღუდა: მივლინების ხარჯების, ოფისის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული საწვავის ხარჯების, წარმომადგენლობითი ხარჯების, საოფისე ტექნიკის და ინვენტარის ხარჯების, სატრანსპორტო საშუალებების და ტექნიკის შესყიდვის ხარჯების გაწევა. სასურველია, ტენდენცია შენარჩუნდეს მომდევნო წლებშიც, ამისთვის კი მთავრობამ კვლავ უნდა გამოსცეს შესაბამისი განკარგულება, რომელიც გავრცელდება შედარებით გრძელვადიან პერიოდზე.

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, კაპიტალური პროექტებისათვის შესაძლებელია დადგინდეს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მინიმალური ზღვარი, აგრეთვე შეიზღუდოს კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი გადასახდელების გადატანა მიმდინარე დანიშნულების ხარჯებისთვის. თუმცა კოდექსი არ განსაზღვრავს ყოველწლიურად ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად მისამართი ასიგნებების პროცენტულ თანაფარდობას წლიური ბიუჯეტით განსაზღვრულ გადასახდელებთან. სასურველია ეს ნიშნული

განისაზღვროს წარსული პრაქტიკის გათვალისწინებით და შეადგენდეს არანაკლებ 20%-ს.

ძირითადი ფისკალური ინდიკატორების დინამიკა გვიჩვენებს ფისკალური პოლიტიკის მიმართულებას. მთავრობის მიერ ეკონომიკური აქტივობის შენელებისას ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის განხორციელება ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2021 წელს დაგეგმილი იყო ფისკალური დეფიციტის მაჩვენებლის შემცირება მშპ-თან მიმართებაში, რაც ფისკალური პოლიტიკის ანტიციკლორობაზე მიანიშნებს.

ამასთან, კეინსიანური თეორიით, საბიუჯეტო დეფიციტი ცალსახად უარყოფითი მოვლენა არ არის, პირიქით, დადგენილ ფარგლებში დეფიციტი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. მეორე მხრივ, გაზრდილი დეფიციტი მთავრობის მიერ დამატებითი სესხების აღების წინაპირობას წარმოადგენს. „ვალი არის მარაგი, რომელსაც ფლობს სახელმწიფო, როგორც წარსული დეფიციტის შედეგს“ (ბლანშარი 2010, 823). შესაბამისად, საბიუჯეტო დეფიციტი გვიჩვენებს, რამდენს სესხულობს კონკრეტული წლის განმავლობაში სახელმწიფო. დეფიციტის დაფინანსების ძირითადი წყაროების მიხედვით გამოარჩევენ საშინაო და საგარეო ვალს.

2003-2021 წლებში სახელმწიფო ვალის ცვლილების დინამიკის ანალიზით დასტურდება, რომ სახელმწიფო ვალს ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. საქართველო წლების მანძილზე საშუალო დავალიანების მქონე ქვეყნებს მიეკუთვნებოდა და ინარჩუნებდა სახელმწიფო ვალის პორტფელის ხელსაყრელ ფინანსურ პარამეტრებს. უკანასკნელ წლებში ვალის მოცულობა მკვეთრად გაიზარდა, შედეგად, ვალის ზრდის საკითხი კვლავაც აქტუალური რჩება. ამასთან, ვალის მომსახურების მოცულობაც წლიდან წლამდე იზრდება.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი შემადგენელი - სახელმწიფო საგარეო ვალი 2008 წლის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების აღმოსაფხვრელად სესხების აღებით. საგარეო ვალის სიდიდე დამოკიდებულია ეროვნული ვალუტის ოფიციალურ გაცვლით კურსზე, რის გამოც მისი სტაბილურობის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია. ლარის გაუფასურებისას იზრდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საგარეო ვალის მოცულობა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საგარეო ვალის მოცულობა ყოველწლიურად იზრდებოდა და 2021 წელს 25.4 მლრდ ლარი შეადგინა, მათ შორის, მთავრობის საგარეო ვალი იყო 24.0 მლრდ ლარი, ხოლო ეროვნული ბანკის საგარეო ვალი - 1.4 მლრდ ლარი.

ცხრილი N3.4.1. სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2003-2021 წლებში (ათასი ლარი):

წელი	მთავრობის საგარეო ვალი	ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	სულ
2003	3 245 954	598 987	3 844 941
2004	2 906 083	484 143	3 390 226
2005	2 691 771	418 010	3 109 781
2006	2 503 811	404 827	2 908 638
2007	2 451 998	397 044	2 849 042
2008	3 711 387	775 253	4 486 640
2009	4 542 210	1 158 344	5 700 554
2010	5 821 168	1 158 136	6 979 304
2011	6 026 155	990 068	7 016 223
2012	6 622 328	596 069	7 218 397
2013	7 095 134	200 843	7 295 977
2014	7 747 363	79 380	7 826 743
2015	10 287 315	46 462	10 333 777
2016	11 937 255	14 944	11 952 199
2017	13 199 331	221 498	13 420 829
2018	14 098 180	446 711	14 544 891

წელი	მთავრობის საგარეო ვალი	ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	სულ
2019	15 749 710	713 795	16 463 505
2020	23 467 463	1 222 269	24 689 732
2021	23 966 690	1 450 185	25 416 875

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო საგარეო ვალის სტატისტიკა.  
[https://www.mof.ge/saxelmwifo\\_sagareo\\_valis\\_statistika](https://www.mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika)

2021 წელს მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი 23.97 მლრდ ლარს შეადგენდა, რაც მთავრობის მთლიანი ვალის 85.3% იყო. ფინანსური რესურსები დიდწილად მიღებული იყო ორმხრივი და მრავალმხრივი კრედიტორებისგან საქართველოსთვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი შედგება მთლიანად და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი - 0.95%-ს შეადგენს (საქართველოს მთავრობა 2022).

ინტერესს იმსახურებს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალის ეფექტიანად გამოყენების საკითხი და მისი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. კვლევის ფარგლებში გავანალიზებ სახელმწიფო საგარეო ვალსა და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. ამ მიზნით ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემული მონაცემების საფუძველზე ჩატარებული რეგრესიული ანალიზის შედეგებით, სახელმწიფო საგარეო ვალის გავლენა რეალური მშპ-ის ზრდის ტემპზე მნიშვნელოვანია, მაგრამ უარყოფითი.

ცხრილი N3.4.2. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის გავლენა მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ტემპზე (რეგრესიული ანალიზის შედეგები):<sup>15</sup>


ცვლადი	კოეფიციენტი	სტანდარტული შეცდომა	t სტატისტიკა	ალბათობა
მუდმივა	12.36465	2.191415	5.642314	0.0001
საგარეო ვალი	-3.335391	1.069266	-3.119328	0.0089

<sup>15</sup> ავტორის გაანგარიშებები



აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგარეო ვალის მართვის პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას და მიზანშეწონილია მოხდეს საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა.

გრაფიკი N3.4.2. სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2003-2021 წლებში (ათასი ლარი):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო საგარეო ვალის სტატისტიკა. [https://www.mof.ge/saxelmwifo\\_sagareo\\_valis\\_statistika](https://www.mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika). გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ

განსახილველ პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა სახელმწიფოს საშინაო ვალიც. 2021 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობის საშინაო ვალი გაუტოლდა 5.8 მლრდ ლარს. მთლიანობაში მთავრობის ვალის ნაშთმა 2021 წლის ბოლოს 29.8 მლრდ ლარი შეადგინა (მთლიანი შიდა პროდუქტის 49.6%). სახელმწიფო საშინაო ვალის ცვლილების დინამიკა დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი N3.4.3. სახელმწიფო საშინაო ვალი 2009-2021 წლებში (ათასი ლარი):

წელი	სახაზინო ფასიანი ქაღალდები	სხვა ფასიანი ქაღალდები და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი	სულ
2009	259 507.0	747 846.0	1 007 353.0
2010	431 371.0	712 846.0	1 144 217.0
2011	522 081.0	677 846.0	1 199 927.0

წელი	სახაზინო ფასიანი ქაღალდები	სხვა ფასიანი ქაღალდები და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი	სულ
2012	580 396.0	642 846.0	1 223 242.0
2013	729 927.0	607 846.0	1 337 773.0
2014	1 302 743.0	572 846.0	1 875 589.0
2015	1 617 423.0	537 846.0	2 155 269.0
2016	1 995 805.0	502 846.0	2 498 651.0
2017	2 395 299.0	467 846.0	2 863 145.0
2018	2 817 607.9	432 846.0	3 250 453.9
2019	3 766 379.1	399 618.2	4 165 997.3
2020	5 792 450.8	393 670.4	6 186 121.2
2021	5 485 953.9	359 244.1	5 845 198.0

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო საშინაო ვალის სტატისტიკა.

<https://www.mof.ge/4420>


როგორც ცხრილიდან ჩანს, 2021 წლის ბოლოს სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად აღებული თანხა 5.5 მლრდ ლარს გაუტოლდა. რაც შეეხება სხვა ფასიან ქაღალდებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხებს, მან 0.4 მლრდ ლარი შეადგინა. შედეგად, მთავრობის საშინაო ვალის ნაშთი 2020 წელთან შედარებით დაახლოებით 0.4 მლრდ ლარით შემცირდა და 2021 წლის ბოლოს 5.8 მლრდ ლარი გახდა.

2021 წელს გამოშვებული იყო 1 351.2 მლნ ლარის ოდენობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები, მათგან 2, 5 და 10 წლის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციები - 991.2 მლნ ლარის, ხოლო დაიფარა 1 680.0 მლნ ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდი (საქართველოს მთავრობა 2022).

ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ 2003-2007 წლებში საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მცირდებოდა, ხოლო 2008 წლიდან ვალის მოცულობა თანდათან გაიზარდა და 2020 წლისთვის რეკორდული 23.5 მლრდ ლარი დაფიქსირდა. 2008 წელს საგარეო ვალების ზრდა გამოწვეული იყო მსოფლიო

ფინანსური კრიზისისა და ომის შედეგების აღმოსაფხვრელად მიღებული დაფინანსებით. 2020 წელს ვალის ზრდის მიზეზიც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში შეგვიძლია ვეძებოთ. 2021 წლის ბოლოს მთავრობის საგარეო ვალის მოცულობა 24.0 მლრდ ლარს გაუტოლდა.

გრაფიკი N3.4.3. მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი 2003-2021 წლებში (ათასი ლარი):




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო საგარეო ვალის სტატისტიკა. [https://www.mof.ge/saxelmwifo\\_sagareo\\_valis\\_statistika](https://www.mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika). გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ

ქვეყნის საფინანსო პოლიტიკის ამოცანებიდან სახელმწიფო ვალის მართვის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. სახელმწიფო ვალის მართვის მთავარი მიზანი ეფექტიანობასთან ერთად უნდა იყოს ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. ვალის მდგრადობის საკითხი საქართველოში დღესაც დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, რომ საანალიზო პერიოდში ვალი ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. წლების მანძილზე საქართველო მიეკუთვნებოდა ზომიერი დავალიანების მქონე ქვეყნებს. თუმცა, ამჟამად მაღალი დავალიანების მქონე ქვეყნებში გადაინაცვლა, სახელმწიფო ვალის პორტფელს არახელსაყრელი ფინანსური პარამეტრები აქვს, იზრდება მისი მომსახურების მოცულობაც, ამიტომ ვალის ზრდის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა.

გრაფიკი N3.4.4. სახელმწიფო ვალის ნაშთი 2009-2021 წლებში (ათასი ლარი):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. „სახელმწიფო ვალის სტატისტიკა“  
[https://www.mof.ge/saxelmwifo\\_valis\\_statistika](https://www.mof.ge/saxelmwifo_valis_statistika). გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ

2020 წელს სახელმწიფო ვალის მოცულობამ 30.9 მლრდ ლარი შეადგინა, 2021 წელს კი სახელმწიფო ვალის ისტორიული მაქსიმუმი დაფიქსირდა - 31.3 მლრდ ლარი.

2021 წელს ვალდებულებების ზრდამ 5 251.5 მლნ ლარი შეადგინა, მათ შორის:

- საშინაო ფასიანი ქაღალდები - 306.5 მლნ ლარი;
- საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები - 1 377.6 მლნ ლარი;
- კრედიტები ბიუჯეტის მხარდასაჭერად - 2 467.2 მლნ ლარი;
- ევრობონდები- 1 713.1 მლნ ლარი;

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, უცხო ქვეყნების მთავრობებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტები 1 451.0 მლნ ლარს შეადგენდა. აღნიშნული თანხა მიმართული იყო შემდეგი პროგრამების დასაფინანსებლად: საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმა, სექტორული განვითარება, წყალმომარაგება და წყალარინების სექტორის მდგრადი განვითარება, მაკროფინანსური დახმარება, ფისკალური მდგრადობა და სოციალური დაცვა, COVID-19 პანდემიის კონტექსტში სოციალური უსაფრთხოება, სსე-ს კორპორატიზაციისა და ენერგობაზრის რეფორმები.

2021 წელს სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების დაფარვასა და მომსახურებაზე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 3.1 მლრდ ლარი, მათგან - 2.8 მლრდ ლარი ძირითად თანხის დაფარვისათვის, საშინაო

ვალდებულებების დაფარვისათვის კი - 1.7 მლრდ ლარი. ასევე, დაგეგმილი იყო 1.7 მლრდ ლარის ოდენობით სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების დაფარვა.

2021 წელს სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე დაიხარჯა 3.5 მლრდ ლარი (საქართველოს მთავრობა 2022), მათ შორის, საგარეო ვალდებულებებზე - 3.0 მლრდ ლარი, ხოლო საშინაო ვალდებულებებზე - 0.5 მლრდ ლარი.

ბოლო წლებში გამოიკვეთა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალის ზრდის ტენდენცია, რაც უარყოფითად შეგვიძლია შევაფასოთ, გაცვლითი კურსის მერყეობის, ასევე ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით. ყოველწლიურად იცვლება საშინაო და საგარეო ვალის წილი მთლიან ვალში. სახელმწიფო ვალში საგარეო ვალის მაღალი პროცენტული წილის გამო, მიზანშეწონილია, მთავრობამ ვალის დაფარვისას, პრიორიტეტი მიანიჭოს საგარეო დავალიანებას.

ქვეყანაში ვალის ტვირთზე საუბრისას, საყურადღებოა მშპ-თან ვალის პროცენტული ფარდობა. ქვეყნებს დიდი ეკონომიკით მეტი ვალის მომსახურება შეუძლიათ. განვითარებადი ქვეყნებისთვის კი, თუ მშპ-ში ვალის %-ული წილი 60%-ს აღემატება, საფრთხე ექმნება ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას. საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-თან 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

2020 წლის მონაცემებით, მთავრობის ვალის მოცულობა მშპ-ის 60%-ს გაუტოლდა. აღნიშნული ფაქტი საყურადღებოა, ვინაიდან ქვეყნის ფისკალურ მდგრადობასა და გადახდისუნარიანობას ამცირებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მთავრობის ვალის ინდიკატორები 2003-2021 წლებში.

ცხრილი N3.4.4. მთავრობის ვალის ინდიკატორები 2003-2021 წლებში:

წელი	მთავრობის ვალის %-ული წილი ნომინალურ მშპ-ში	მთავრობის საგარეო ვალის %-ული წილი ნომინალურ მშპ-ში
2003	48.0	37.9
2004	38.6	29.6
2005	30.5	23.2
2006	24.2	18.2
2007	19.6	14.4

წელი	მთავრობის ვალის %-ული წილი ნომინალურ მშპ-ში	მთავრობის საგარეო ვალის %-ული წილი ნომინალურ მშპ-ში
2008	23.6	19.5
2009	30.9	25.3
2010	33.6	28.1
2011	29.7	24.8
2012	30.0	25.3
2013	31.4	26.4
2014	33.0	26.6
2015	39.3	32.5
2016	42.4	35.1
2017	42.4	34.9
2018	42.2	34.3
2019	40.0	31.5
2020	60.0	47.5
2021	49.7	40.0


წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ვალის სტატისტიკა. [https://www.mof.ge/saxelmwifo\\_valis\\_statistika](https://www.mof.ge/saxelmwifo_valis_statistika). ცხრილი შედგენილია ავტორის გაანგარიშებებზე დაყრდნობით

ცხრილიდან ჩანს, რომ 2021 წელს მთავრობის ვალი %-ად ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან 49.7%-ს გაუტოლდა. ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისათვის, გრძელვადიან პერსპექტივაში ხელისუფლებამ მიზნად უნდა დაისახოს, რომ ვალის თანაფარდობა მშპ-თან 60%-იან ნიშნულს საგრძნობლად ჩამოცდეს. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური დეფიციტის თანმიმდევრული კლებით.

საინტერესო მაჩვენებელია თანაფარდობა საშინაო და საგარეო ვალებს შორის. აღნიშნული მონაცემები გამოსახულია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე, რის საფუძველზეც გამოიკვეთა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალის ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2020 წელს დაახლოებით 50%-ით გაიზარდა საგარეო დაფინანსება, ასევე, მთლიანი სახელმწიფო ვალის

ოდენობა 2019 წელთან შედარებით. 2021 წელს სახელმწიფო საგარეო ვალი გაუტოლდა 25 416.9 მლნ ლარს, ხოლო საშინაო ვალი - 5 845.2 მლნ ლარს. ამასთან, ყოველწლიურად იცვლება საშინაო და საგარეო ვალების ხვედრითი წილები მთლიან სახელმწიფო ვალში.

გრაფიკი N3.4.5. სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ვალის ნაშთები, 2009-2021 წლები (ათასი ლარი):



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ვალის სტატისტიკა. [https://www.mof.ge/saxelmwifo\\_valis\\_statistika](https://www.mof.ge/saxelmwifo_valis_statistika). გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ

მნიშვნელოვანი ინდიკატორია არა მარტო დეფიციტის მოცულობა ანდა ვალის %-ული შეფარდება მშპ-თან, არამედ ვალის სტრუქტურაც. მთლიან ვალში საგარეო ვალის წილი საკმაოდ მაღალია, რის გამოც სასურველია გრძელვადიან პერიოდში მთავრობამ საშინაო ვალის წილი გაზარდოს. ამასთან, ვალის გასტუმრების დროს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საგარეო ვალების დაფარვას.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია ფისკალური პოლიტიკის წესები, რაოდენობრივი სამიზნეები, რაც გამოიხატება შემდეგ ინდიკატორებში: სახელმწიფო ვალი, ბიუჯეტის დეფიციტი, შემოსავლების და ხარჯების თანაფარდობა მშპ-თან.

საქართველოს სახელმწიფო ვალი სცდება მისთვის დადგენილ წესს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში, წესის

დაცვის მიზნით, საჭირო ღონისძიებების გატარება, ასევე, პროგნოზირების სიზუსტის უზრუნველსაყოფად სათანადო ანალიზის ინსტრუმენტების დანერგვა, ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით პროგნოზირების მიმართულების გაძლიერება.

სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მართვისათვის, აუცილებელია საგარეო და საშინაო დავალიანებათა მართვის ეფექტური მექანიზმის არსებობა. ვალის მართვის სტრატეგიაში წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეყნის გრძელვადიანი დაფინანსების მიზნების მიღწევის გზები. საგარეო ვალის მართვის მთავარი მიმართულება უნდა იყოს აღებული სესხების მიზნობრივი გამოყენება სარგებლის მისაღებად.



## დასკვნა

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წარმატება ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებზეა დამოკიდებული. ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა კრიზისმა დაადასტურა ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობა მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის, საგადასახადო ადმინისტრირების, სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო ვალის ინსტრუმენტების მეშვეობით.

ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტები გავლენას ახდენენ ეკონომიკის როგორც ფინანსურ, ასევე, რეალურ სექტორზე. მათი მეშვეობით შესაძლებელია ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირება, ინფლაციის რეგულირება, წარმოების ზრდის ხელშეწყობა და ზოგადად, ეკონომიკური განვითარება.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის მიზანია იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის ფისკალურ ხასიათს საქართველოში, ასევე, საბიუჯეტო პოლიტიკის თვალსაზრისით, ცვლილებების შეთავაზება და რეკომენდაციების მომზადება.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში სახელმწიფო სექტორის საკმაოდ მცირე ნაწილი ახდენს დადებით გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, შესაბამისად, ადგილი აქვს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად გამოყენებას.

სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტთა კვლევების შედეგების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბიუჯეტო პროცესის ძირითადი მიზანი უნდა გახდეს საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების რაციონალურად განაწილება. ქვეყანაში ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საბიუჯეტო პროცესში, კერძოდ კი ბიუჯეტების დაგეგმვის ეტაპზე, საჭიროა მთლიან შიდა პროდუქტში საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმალური წილის გათვალისწინება.

კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ საანალიზო პერიოდში ქვეყანაში მთავრობის ზომა აღემატებოდა ანალიზის შედეგად მიღებულ ოპტიმალურ ნიშნულს. კვლევა ეყრდნობა ამერიკელი ეკონომისტის, არმის მრუდის კონცეფციას, რომლის მიხედვით, მთავრობის ხარჯების ზრდა ოპტიმალური დონის შემდეგ მშპ-ის შემცირებას იწვევს. 2005-2021 წლების მაკროეკონომიკური მაჩვენებლების - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და რეალური ეკონომიკური ზრდის ტემპის დროითი მწკრივების საფუძველზე ჩატარებული ანალიზის შედეგებით, საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპი

მაქსიმალურია, როდესაც მთავრობის ზომა 21%-ს შეადგენს, მაშინ, როცა განსახილველი პერიოდის განმავლობაში იგივე მაჩვენებელი, ფაქტიურად, საშუალოდ 25%-ს შეადგენდა.

კვლევიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მომავალში მთავრობის ზომის შემცირება დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებიდან გაწეული გადასახდელების პროდუქტიულობის გაზრდის მეშვეობით. ამრიგად, ეფექტიანი ბიუჯეტის ფორმირებით მთავრობა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებას.

რაც შეეხება საგადასახადო პოლიტიკას, როგორც კლასიკური, ასევე, თანამედროვე საგადასახადო თეორიების შესწავლისა და ანალიზის, ასევე საქართველოს მაგალითზე ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში დაბეგვრის მთავარი მიზანი უნდა იყოს: ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაწესება, კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა და საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება.

კვლევის პროცესში გაანალიზებულია სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შემოსავლების განაწილების საკითხი, მათ შორის საგადასახადო კოდექსით დადგენილი დღგ-ის განაწილების ახალი წესი. ცვლილება მიჩნეულია დადებითად. ასევე, შესწავლილია მოგების გადასახადით დაბეგვრის პრაქტიკა საქართველოში და შეფასებულია ამ გადასახადის სახით ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების ზრდის ტენდენცია. გარდა ამისა, გაანალიზებულია საგადასახადო რეფორმის შედეგები. განვითარებული ქვეყნების საგადასახადო ტვირთის ზომა შედარებულია საქართველოსთან, რის საფუძველზეც ქვეყანაში დაბეგვრის დონე საშუალოდ არის შეფასებული.

ბიუჯეტში პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სახით ამოღებული შემოსავლების ანალიზით დგინდება, რომ აღნიშნული გადასახადების გავლენა რეალურ ეკონომიკურ ზრდაზე განსხვავდება ერთმანეთისგან, რის საფუძველზეც, ვასკვნი, რომ საბიუჯეტო პროცესში განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს თითოეული გადასახადის სახით ბიუჯეტში ამოღებული შემოსავლების ხვედრით წილს საგადასახადო შემოსავლებში, ასევე, აღნიშნული გადასახადებით დაბეგვრის პირობებს.

კვლევის შედეგებით, მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკის მარეგულირებელი ფუნქციის განხორციელების სრულყოფა, რომლის არსი მდგომარეობს ეროვნული შემოსავლის გადანაწილებაში, კაპიტალის დაგროვების სტიმულირების, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობისა და ეკონომიკის ზრდის მიზნით.

საგადასახადო პოლიტიკა სხვადასხვა არხების საშუალებით ახდენს გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. კარგად შემუშავებულ საგადასახადო პოლიტიკას აქვს ეკონომიკური ზრდის ამაღლების პოტენციალი, თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ყველა საგადასახადო ცვლილება გააუმჯობესებს ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ეტაპობრივად მიმდინარეობდა ქვეყნის საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, გამარტივდა საგადასახადო კანონმდებლობა, გადასახადის გადახდა და ადმინისტრირება, შემცირდა გადასახადების განაკვეთები, რაც დადებით მოვლენად შეგვიძლია შევაფასოთ. ამასთან, საგადასახადო შემოსავლები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა, რაც ხელს უწყობს გადასახადების ფისკალური ფუნქციის განხორციელებას, ქვეყნის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობების უკეთესად შესრულების მიზნით. მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა მომავალშიც აუცილებელია.

საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფისათვის საქართველოში მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი ლიბერალიზება და გამარტივება გადამხდელთათვის. აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალსა და ეკონომიკური გარემოს სტაბილიზაციაზე. ამასთან, მიზანშეწონილია სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკეული გადასახდელების ოდენობის რეგულირებით მოთხოვნის მოცულობასა და სტრუქტურაზე ზემოქმედება.

ქვეყნის საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით, გასათვალისწინებელია ამ მხრივ წარმატებული უცხო ქვეყნების გამოცდილება, ასევე ეროვნული ეკონომიკის თავისებურებანი. საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით საყურადღებოა გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქცია. ამასთან, ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა შემუშავდეს იმგვარი საგადასახადო სტრატეგია,

რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული წარმოების სტიმულირებას, ბიზნესის განვითარებისათვის მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას.

მთლიან შიდა პროდუქტსა და გადასახადებს შორის არსებული დამოკიდებულების კვლევა ჩატარდა განაწილებულ ლაგიანი ავტორეგრესიული მოდელის გამოყენებით, 2010-2020 წლების დროითი მწკრივების საფუძველზე. ARDL მოდელის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკის შემდეგი მოდელი:

$$LGDP_t = 0.57 * LGDP_{t-1} + 3.02 + 0.28 * LIT_t - 0.06 * LDT_{t-1} + 0.003 * TREND$$

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, არაპირდაპირი გადასახადები დადებით გავლენას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო პირდაპირი გადასახადები - უარყოფითს. შედეგად ვასკვნი, რომ საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილის კლება, არაპირდაპირის ზრდის ხარჯზე, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას საქართველოში. სასურველია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის განაკვეთის შემცირება, რაც სტიმულს მისცემს ერთობლივი მოთხოვნისა და დანაზოგების ზრდას. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა შემოსავლები საქართველოში კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. შესაბამისად, ამ გზით მთავრობა ხელს შეუწყობს კერძო სექტორის გააქტიურებას.

საქართველოში დანერგილი საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელი, რომელიც გადასახადისგან ათავისუფლებს რეინვესტირებულ მოგებას, ხელს უწყობს ბიზნესის მიერ ინვესტიციების განხორციელებას და რეინვესტირებული თანხების ზრდას. აღნიშნული დასტურდება ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე - 2019 წლიდან შეინიშნება მოგების გადასახადის მეშვეობით ბიუჯეტში შეტანილი თანხების ზრდის ტენდენცია.

როგორც ვიცით, დაბეგვრის ესტონური მოდელით, მოგების გადასახადი მთლიანად გაუქმდა გაუნაწილებელ მოგებაზე. საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციამ გამოათავისუფლა ფინანსურ რესურსები, რომლის მიმართაც შესაძლებელია ქვეყნის განვითარებისკენ. სტატისტიკური ანალიზის შედეგებით, გამოიკვეთა როგორც რეინვესტირების, ასევე მოგების გადასახადის სახით საბიუჯეტო

შემოსულობების მოცულობის ზრდის ტენდენცია, რაც დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ.

მთლიანობაში, ახალი საგადასახადო სისტემა პოზიტიურად ფასდება, რადგან გაუმჯობესდა ინვესტიციებისა და მშპ-ის მაჩვენებლები, რაც საბოლოოდ ქვეყნის კეთილდღეობის ზრდას განაპირობებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთავრობის მიერ გატარებულმა საგადასახადო რეფორმამ მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი გამოიღო. აღნიშნულის პარალელურად, მიზანშეწონილი იყო საბიუჯეტო რეფორმის გატარებაც, მათ შორის, მთავრობის ზომის შემცირების მიმართულებით, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, დააჩქარებდა ეკონომიკურ ზრდას. თუმცა მოგების გადასახადის რეფორმის პარალელურად არ მომხდარა საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, ხოლო საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვა აქციზის გადასახადის ზრდითა და ვალის აღებით დაიგეგმა.

საგადასახადო რეფორმის შედეგად, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გამარტივდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, შეიქმნა ახალი შესაძლებლობები ბიზნესის განვითარებისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემის კრიზისული პერიოდებისადმი მდგრადობას. მნიშვნელოვანია, ასევე, ადმინისტრირების და აღრიცხვის გამარტივება, როგორც ბიზნესისთვის, ისე სახელმწიფოსთვის.

მოგების გადასახადის ახალ მოდელს აქვს გარკვეული ნაკლოვანებებიც. სასურველია, რომ გადასახადის გადახდის ეს წესი არ ვრცელდებოდეს ფინანსურ სექტორზე, მათ შორის, საბანკო და სადაზღვევო ბიზნესებზე, ვინაიდან მათი საგადასახადო ტვირთი ისედაც მინიმალურია, აგრეთვე, ენერგოსექტორში არსებულ ბუნებრივ მონოპოლიებსა და ფარმაცევტულ სექტორზე, რადგან ზემოაღნიშნული დარგების კომპანიები არაკონკურენტულ გარემოში იმყოფებიან.

საყურადღებოა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების დაბეგვრის სისტემების გამოცდილება. როგორც წესი, მთლიან საბიუჯეტო შემოსავლებში პირდაპირი გადასახადების მაღალი ხვერდითი წილი დადებითი ტენდენციის მანიშნებელია. საქართველოს მონაცემების ანალიზით კი ირკვევა, რომ პირდაპირი გადასახადები უარყოფით დამოკიდებულებაშია ეკონომიკურ ზრდასთან. ამიტომ მნიშვნელოვანია დაგეგმვის პროცესში ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებაც.

აღსანიშნავია, რომ 2005 წლიდან დღე-ის განაკვეთი შემცირდა 20%-დან 18%-მდე, თუმცა ამ ცვლილების გამო ბიუჯეტში დღე-ის სახით მობილიზებული შემოსავლები არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა. საჭიროა, ხელისუფლებამ კვლავ გააგრძელოს ამ მიმართულებით მუშაობა, რათა მომავალში მოხდეს აღნიშნული გადასახადის განაკვეთის ეტაპობრივი შემცირება.

ქვეყნის საბიუჯეტო გადასახდელების დასაფინანსებლად მნიშვნელოვანია ბიუჯეტში საკმარისი თანხების მობილიზება, რათა არ მოხდეს ვალის არარაციონალური ზრდა, რაც მომავალ თაობებს დააწვება ტვირთად. საბიუჯეტო პოლიტიკის ანალიზით გამოვლინდა, რომ ქვეყნის ზრდისა და განვითარებისათვის საბიუჯეტო შემოსულობების მობილიზება მომდევნო წლების განმავლობაში უნდა გაგრძელდეს გადასახდელების ოპტიმალური მნიშვნელობის შესაბამისად.

ქვეყნის შიგნით რესურსების მობილიზაცია გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე. გაზრდილი შემოსავლები აფინანსებს განვითარების საჭიროებებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. საკანონმდებლო შეზღუდვების გამო, ხელისუფლებას რეფერენდუმის გარეშე საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების (გარდა აქციზისა) ზრდა და ახალი გადასახადის შემოღება არ შეუძლია. შესაბამისად, აქციზის გადასახადის განაკვეთებით მანიპულირება ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთი ბერკეტია.

აქციზის გადასახადი, ძირითადად, წესდება ისეთ პროდუქტებზე, რომლებზეც მოთხოვნა არაელასტიურია, შესაბამისად, გაზრდილი გადასახადი საქონლის ფასში აისახება და მნიშვნელოვნად იზრდება გადასახადიდან მიღებული შემოსავალები. ამიტომ მთავრობას შეუძლია აქციზის გადასახადი ბიუჯეტის შევსების მიზნით ეფექტიანად გამოიყენოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია საგადასახადო ტვირთის თანმიმდევრულად შემცირება, რომლითაც შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ ეკონომიკურ აქტივობაზე. საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურ სიდიდეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

გადასახადების შემცირებამ შეიძლება შეანელოს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდის გამო. მეორე მხრივ, საგადასახადო

განაკვეთების ლიბერალიზაცია, რომელიც ხორციელდება არაპროდუქტიული ხარჯების შემცირების ფონზე, გამოშვებაზე დადებით გავლენას ახდენს.

კვლევის შედეგებით, საქართველოში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის შემცირება დადებით გავლენას მოახდენს ფიზიკური და იურიდიული პირების ქცევაზე, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის ფაქტორებზე ზემოქმედების მეშვეობით. მაგალითად, ხელფასებზე ზღვრული საგადასახადო განაკვეთების შემცირება იწვევს დასაქმებულთა შრომის წახალისებას. დაბალ ზღვრულ საგადასახადო განაკვეთებს აქტივებისგან შემოსავალზე (მაგალითად, პროცენტები, დივიდენდები) შეუძლია მოახდინოს დაზოგვის სტიმულირება. სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზე ზღვრული საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ შეიძლება უბიძგოს ზოგიერთ კომპანიას მეტი ინვესტიციის განხორციელებისკენ. შესაბამისად, საგადასახადო განაკვეთის დადებითი ეფექტი ეკონომიკის ზომაზე წარმოიქმნება იმის გამო, რომ დაბალი საგადასახადო განაკვეთები ზრდის დასაქმების, დანაზოგისა და ინვესტიციის სარგებელს და ასტიმულირებს მათ. ამასთან, გადასახადების შემცირებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მიწოდებაზე. თუ ეს შემცირება ზრდის მშრომელთა შემოსავალს, ზოგიერთმა შეიძლება ამჯობინოს ნაკლები მუშაობა და მეტი დასვენება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი საგადასახადო ცვლილებები განხორციელდა, მოქმედი საგადასახადო სისტემა ჯერ კიდევ არასრულყოფილია და მისი პრაქტიკული ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ოპტიმალურისაგან ჯერ კიდევ შორსაა. ამიტომ მიზანშეწონილია შემდგომში დამატებითი საგადასახადო რეფორმების გატარება.

საბიუჯეტო რესურსების ეკონომიკის ცალკეულ დარგებს შორის ოპტიმალურად გადანაწილების მიზნით, საჭიროა პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. კვლევის შედეგებით მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება დაუთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანად განხორციელებას. ასევე, მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს განათლების სფეროს განვითარების ხელშეწყობა, მეტი სახსრები გამოიყოს მეცნიერების განვითარებაზე. მიზანშეწონილია, დასაფინანსებელი სფეროებისა და პროგრამების ყურადღებით

შერჩევა, რათა ხელი შეეწყოს კერძო სექტორის განვითარებას და სახელმწიფო არ გახდეს მისი კონკურენტი.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტური იყო, რისი მიზეზიც ეკონომიკური ზრდის არასაკმარისი დონე, ასევე, სახელმწიფო ხარჯების ზრდა და არასრულყოფილი საგადასახადო კანონმდებლობაა. აღნიშნული აისახება ვალის ზრდაში. შესაბამისად, აუცილებელია მომდევნო წლებში ბიუჯეტი იმგვარად დაიგეგმოს, რომ მიღებული შემოსულობები და ნაშთი საკმარისი იყოს გადასახდელების დასაფინანსებლად.

ქვეყანაში ვალის მართვის კუთხით ძირითად გამოწვევებს მიეკუთვნება: საგარეო ვალის სიდიდე და მის მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, საგარეო სესხებით დასაფინანსებელი პროექტების შეფასების პოლიტიკის არარსებობა, ვალის პორტფელში მაღალი დოლარიზაციის დონე. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია იმით, რომ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის გაუფასურება ამძიმებს ვალის ტვირთს.

კვლევის შედეგების საფუძველზე, ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის საჭიროა სახელმწიფო ვალში საშინაო სესხების ხვედრითი წილის ზრდა. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ვალის ზრდა მიზანშეწონილია მხოლოდ საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მიზნით. საინვესტიციოდ გამოყოფილი სესხების მიზნობრიობის შესაბამისად ათვისება, სახსრების რაციონალურად განაწილება და ეფექტიანად გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო ვალის ეფექტიანად მართვის უზრუნველსაყოფად მთავრობამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს გრძელვადიანი დაფინანსების მიზნები, ხოლო მათი მიღწევის გზები ასახოს ვალის მართვის სტრატეგიაში. საყურადღებოა არამომგებიან სახელმწიფო საწარმოებზე საგარეო სესხების გაცემის საკითხი. ვალის დაფარვის პროცესში საჭიროა შემოსულობების, განსაკუთრებით საგადასახადო შემოსავლების დონის სწორად დაგეგმვა, ყოველწლიურად ვალის მომსახურებისთვის საჭირო თანხების გათვალისწინებით. სასურველია ვალის აღების გააზრებული პოლიტიკის გატარება და მიღებული თანხების ინვესტირება შემოსავლიან პროექტებში (გამონაკლისია ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფოს აუცილებელი ხარჯების დაფინანსების საჭიროება), ასევე, ვალის დონის შემცირება მომავალი წლების განმავლობაში. ვალის მართვის სათანადო პოლიტიკის გამოყენებით შესაძლებელია



ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის თანმიმდევრული შემცირება, მათ შორის, ადმინისტრაციული ხარჯების, შრომის ანაზღაურების. ასევე, მიზანშეწონილია შეჩერდეს იმ სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების დაფინანსება, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი საკუთარი შემოსავლები.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოს სახელმწიფო ვალი მშპ-თან მიმართებაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მართალია, აღნიშნული არ არის გამოწვეული მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებული გარემოებებით და მიღებული გადაწყვეტილებებით, არამედ გლობალური კრიზისით, თუმცა სახელმწიფო ვალის მართვის საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. კვლევის შედეგების თანახმად, მისი მაჩვენებლები საგანგაშოა და უახლოვდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ლიმიტს - 60%-ს. აღნიშნული წარმოაჩენს ვალის მართვის საკითხში გრძელვადიანი სტრატეგიის გადახედვის საჭიროებას.

მომდევნო წლების განმავლობაში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მაღალბიუჯეტიანი პროექტების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხს, პროექტების შერჩევა მოხდეს და დაეყრდნოს წინასწარ ფინანსურ და ეკონომიკურ შეფასებებს და არა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. გადასახდელების თანდათანობით, ყოველწლიურად შემცირება საშუალებას მოგვცემს არსებული შემოსულობების დონის შენარჩუნების პირობებში მეტი სახსრები გამოიყოს ვალის დასაფარად, რაც ხელს შეუწყობს ვალის დონის შემცირებას.

კვლევა ცხადჰყოფს, რომ სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დაბალი დონე ვალის ეფექტური მართვის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. მისი განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია დაინერგოს გამოსყიდვა, რაც გააუმჯობესებს ვალის პორტფელის მართვას, შეამცირებს რეფინანსირების რისკებს და გაზრდის მთავრობის ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობას.

ვალის მართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაკრო-ფისკალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. სწორად განსაზღვრული ვალის მოცულობა სახელმწიფოს თავიდან არიდებს ვალის აღებასთან დაკავშირებულ ზედმეტ დანახარჯებს. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში ვალის მართვის პროცესის ეფექტიანობის შეფასება ძალზე მნიშვნელოვანია.

დღეისათვის არსებული ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია, რაც გარკვეულწილად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. კვლევის შედეგად დადგინდა, მთავრობის მიერ ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები ეკონომიკის ზრდასთან უარყოფით დამოკიდებულებაშია. სოციალური პროგრამების დაფინანსებისადმი სასურველია მთავრობამ გამოიყენოს რაციონალური მიდგომა. რაც შეეხება კაპიტალურ დანახარჯებს, მათი დაფინანსების საკითხი უნდა წყდებოდეს წინასწარი ანალიზისა და ეფექტიანობის შეფასების შედეგად. ამ შემთხვევაში მთავრობას ექნება შესაძლებლობა, გასწიოს მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი ხარჯები, დააფინანსოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ამასთან, ლიბერალური საგადასახადო განაკვეთების არსებობის პირობებში, მოსახლეობას გაუჩნდება დამატებითი ფულადი რესურსები ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაში ჩასართველად.

მნიშვნელოვანია წინა წლების გამოცდილების, კერძოდ კი, დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამების მაჩვენებლების შედარების შედეგების გათვალისწინება. ფინანსური და ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევის საფუძველზე უნდა ხდებოდეს ნაკლებეფექტიანი პროგრამების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტიდან ამოღება. მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ხარჯების ადეკვატური დაგეგმვა და თანდათანობით აუცილებელ მინიმუმამდე დაყვანა.

ფისკალური წესების დანიშნულება ფისკალური დისციპლინის გატარება და ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის პოლიტიკის უკეთესი კოორდინირების ხელშეწყობაა. იმისათვის, რომ ფისკალური წესები სათანადოდ უზრუნველყოფდნენ ფისკალური პოლიტიკის განვითარების პროგნოზირებას და გათვალისწინებელი მდგომარეობების თავიდან აცილებას, აუცილებელია ქვეყანაში შესაბამისი ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც შექმნიან მათი განხორციელების და მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმებს. ამ მიზნით, საჭიროა ფისკალური ინსტიტუტების ძლიერი პოლიტიკური მხარდაჭერა. ქვეყანაში ფისკალური დისციპლინის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია დამატებითი ფისკალური წესების შემოღება სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგატებისთვის - ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მიმართულებით.

ქვეყანაში საჯარო ფინანსების მართვის პოლიტიკა უნდა ემსახურობდეს შემდეგ მიზნებს: მთავრობის ხარჯების ეფექტიანობის ზრდას, ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლს, საბიუჯეტო პოლიტიკის ციკლურობის შემცირებას. ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის საბიუჯეტო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებაც. იმისათვის, რომ ფისკალური დაგეგმვა გრძელვადიან შედეგებზე იყოს ორიენტირებული, საჭიროა დამატებითი ფისკალური წესების შემოღება.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის კვლევის საფუძველზე, შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები:

- ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილები ყოველწლიურად იზრდება, თუმცა ისინი ვერ ახდენენ დადებით გავლენას მოსახლეობის ცხოვრების დონესა და კეთილდღეობაზე. საჭიროა გადასახდელების ეტაპობრივი შემცირება და არაეფექტიანი პროექტებისთვის დაფინანსების შეჩერება, ისევე, როგორც ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება, რათა გაიზარდოს გაწეული ხარჯების ეფექტიანობა და ხელი შეეწყოს ეკონომიკურ ზრდას;
- ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ფინანსური რესურსების ეფექტიანად გადანაწილების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება;
- შეზღუდული ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები;
- ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების სწორად შერჩევასა და განხორციელებას, რაც საინვესტიციო კლიმატის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. განვითარებული ინფრასტრუქტურა სწრაფი ეკონომიკური ზრდის მთავარი წინაპირობაა. ინფრასტრუქტურის განვითარების დონე ქვეყანაში დიდწილად განსაზღვრავს მის კონკურენტუნარიანობას;
- როგორც ცნობილია, მეცნიერების მიერ შექმნილი ტექნოლოგიები შეიცავენ ყველაზე მეტ დამატებულ ღირებულებას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი განათლების და მეცნიერების სფეროებია. თუმცა, კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ამ სფეროზე მიმართული გადასახდელები

არაეფექტიანად იხარჯება. შესაბამისად, მომავალში განათლებისა და მეცნიერების სისტემის ეფექტიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია დასაფინანსებელი პროგრამების გადახედვა-ოპტიმიზაცია, ასევე, მენეჯმენტის გაუმჯობესება, რაც, გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას შეუწყობს ხელს;

- საქართველოში საგადასახადო დაბეგვრის სტრუქტურა ჯერ კიდევ არ არის ოპტიმალური. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოხდეს საგადასახადო პოლიტიკის გადასინჯვა;
- ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად მიზანშეწონილია საგადასახადო შემოსავლებში პირდაპირი გადასახადების წილის შემცირება;
- სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ დაბეგვრისას გამოყენებული იყოს საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთი. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს საშემოსავლო გადასახადის რეფორმის პირველ ეტაპზე, რისთვისაც მიზანშეწონილია პროგრესული განაკვეთის ზედა ზღვარი გაუტოლდეს ამჟამად მოქმედ განაკვეთის სიდიდეს - 20%-ს;
- თანამედროვე პერიოდში საგადასახადო პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა გახდეს საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია. აღნიშნული მიიღწევა საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფით, ადმინისტრირების გაუმჯობესებითა და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების არსებობით. ასევე, გასათვალისწინებელია ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგები, რომლის თანახმად, შრომაზე ფისკალური წნეხის შემცირებას დადებითი შედეგები მოჰყვება;
- ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებული შემოსავლების წილი საკმაოდ მაღალია, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი მეშვეობით მიღებული საგადასახადო შემოსავლების ცვლილების დინამიკაზე დაკვირვება. მიზანშეწონილია ამ მიმართულებით შემდგომი კვლევების ჩატარება, ვინაიდან ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგად, არაპირდაპირი გადასახადების უარყოფითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არ გამოვლენილა;

- მიზანშეწონილია მთავრობამ ხელი შეუწყოს ისეთი საქონლის წარმოებასა და ექსპორტზე გატანას, რომელიც შეიცავს დიდი ოდენობის დამატებულ ღირებულებას, რაც გამოიწვევს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს;
- მიზანშეწონილია საგადასახადო სისტემის მოდიფიკაცია მოხდეს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე, გადასახადების ფისკალურ ფუნქციასთან ერთად ყურადღება დაეთმოს მათ მასტიმულირებელ ფუნქციას;
- საყურადღებოა ქვეყანაში საგარეო ვაჭრობის სალდოს მაჩვენებელი. საანალიზო პერიოდში წმინდა ექსპორტი, რომელიც მშპ-ის მნიშვნელოვანი შემადგენელია, უარყოფითი იყო, ანუ იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ექსპორტს. გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური სტაბილიზაციისათვის აუცილებელია მთავრობამ ხელი შეუწყოს ექსპორტის წილის ზრდას მთლიან შიდა პროდუქტში, მათ შორის მრეწველობის განვითარების ფისკალური სტიმულირებით;
- ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მიზანშეწონილია სახელმწიფო ვალში საშინაო სესხების წილის ზრდა, ასევე, სესხების აღება ხდებოდეს მხოლოდ საინვესტიციო პროექტების დაფინანსების მიზნით;
- აღსანიშნავია, რომ კრიზისულ პერიოდში უმუშევრობის დონე მკვეთრად გაიზარდა. შესაბამისად, დასაქმების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება კვლავაც აქტუალურია. ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს უმუშევრობის დონის შემცირება;
- ფისკალური პოლიტიკის სრულყოფისათვის და ფისკალური დისციპლინის გასატარებლად, ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებთან ერთად, სასურველია ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინებაც, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევასა და ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს მთავრობის ზომის შემცირებას, რაც, ჩემი აზრით, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით,

მისი განვითარების აღნიშნულ ეტაპზე ეკონომიკური ზრდის საუკეთესო სტრატეგიაა. ამასთან, სახელმწიფო სექტორის ზომის გარდა, მნიშვნელოვანია მისი შემადგენლობა და ხარისხი.

